

თეა ბურჭულაძე

წინადადების

წევრთა

სინტაგმატიკის

საკითხი

ქართულში

Arnold Chikobava Institute of Linguistics  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

**Tea Burchuladze**

**Principles of Distinguishing  
Syntactic Pairs  
in Georgian**

Tbilisi  
2018

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
არნოლდ ჩიქობავას სახელობის  
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

თეა ბურჭულაძე

წინადადების წევრთა  
სინტაგმატიკის საკითხი  
ქართულში

თბილისი

2018

მონოგრაფიაში „წინადადების წევრთა სინტაგმატიკის საკითხი ქართულში“ გაანალიზებულია შესიტყვება ყველა ტიპის წინადადებაში, შემუშავებულია სინტაგმურ წევრთა გამოყოფის პრინციპები. განხილულია სინტაქსური კავშირის საკითხი ფრაზეოლოგიზმებსა და სინტაგმურ ნეოლოგიზმებში.

წიგნი განკუთვნილია ლინგვისტების, მასწავლებლებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტთათვის.

რედაქტორები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. **რ. ჭიკაძე**  
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. **გ. ახალაია**

ტექნიკური რედაქტორი **ლ. გაშაკიძე**

კომპიუტერული უზრუნველყოფა **რ. რატიანი**

*დაიბეჭდა თსუ გამომცემლობის სტამბაში*

© ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
არნოლდ ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი, 2018

ISBN 978-9941-13-788-4

## წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა

შესიტყვების სტრუქტურა-მექანიზმის დადგენა სინტაქსის ძირითადი მიზანია. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა მისი შედგენილობისა და სტრუქტურის შესახებ (არნ. ჩიქობავა, ა. შანიძე, ვ. თოფურია, ა. დავითიანი, ა. კიზირია, ლ. კვაჭაძე, ლ. გეგუჩაძე, ლ. კვანტალიანი). კვლევის შედეგად მიღებულია მეტად მნიშვნელოვანი და ფასეული დასკვნები. სწორედ მათი გათვალისწინებით შევეცადეთ გაგვეანალიზებინა სინტაქსურ წყვილთა გამოყოფის საკითხები ყველა ტიპის წინადადებაში (აქამდე, ძირითადად, საკითხს განიხილავდნენ მარტივი წინადადების მიხედვით). ნაშრომში არის მსჯელობა წინადადების წევრთა სინტაგმატიკისათვის დამახასიათებელი პრინციპების შემუშავების შესახებ სხვადასხვა კონსტრუქციის წინადადებაში. გათვალისწინებულია წინადადების აგებულების სპეციფიკა და სიტყვაფორმათა სინტაქსური ნიშან-თვისება.

წინამდებარე ნაშრომი შესიტყვების გამოყოფის შესწავლის ცდაა. აღნიშნულ საკითხებზე კვლავაც გაგრძელდება მუშაობა. ყველა საქმიან შენიშვნას მაღლიერებით მივიღებთ და გავითვალისწინებთ შემდგომი კვლევისას.

## შესიტყვების რაობა

სამეცნიერო ლიტერატურაში მკვლევართა უმეტესობა (მიკლოშიჩი, დელბრიუკი, ფორტუნატოვი, პეშოვსკი...) სინტაქსის კვლევის საგნად მიიჩნევს **წინადადებას**, თუმცა გრამატიკის ამ დარგის დეფინიციისას გვხვდება სხვადასხვა განმარტება, რომელთაგანაც საკითხის მიდგომა ან ლოგიცისტურია, ან ფსიქოლოგისტური, ხანაც ენობრივ-გრამატიკული.

ფ. დე-სოსიური სინტაქსის არსის შესახებ შემდეგ თვალსაზრისს გვთავაზობს: „სინტაქსი, ანუ გავრცელებული განმარტების მიხედვით – შესიტყვებათა თეორია – სინტაგმატიკაში შედის, რადგან შესიტყვებები მუდამ გულისხმობენ სივრცეში განაწილებულ სულ ცოტა ორი ერთეულის არსებობას. სინტაგმატიკის ყველა ფაქტი არ მიეკუთვნება სინტაქსს, მაგრამ სინტაქსის ყველა ფაქტი სინტაგმატიკაში შედის. ის მიუთითებს, რომ სინტაგმის შესწავლა სინტაქსში არ უნდა აგვერიოს, იგი მხოლოდ სინტაქსის ნაწილია [სოსიური 2002: 129-143].

არნ. ჩიქობავა მართებულად შენიშნავს, რომ „ამა თუ იმ ენის სინტაქსის მიზანია გამოარკვიოს: 1. **რა ფორმები შეიძლება შეახამოს ენამ ანუ... რაგვარი შესიტყვებანი მოეპოვება ენას** და 2. **როგორია მის შესიტყვებათა სტრუქტურა-მექანიზმი**“ [ჩიქობავა 1968: 114].

თ. უთურგაიძე აღნიშნავს, რომ მორფოლოგიური და სინტაქსური მოვლენები გრამატიკაში მკაფიოდაა გამიჯნული ერთმანეთისაგან შემადგენელი ელემენტებისა და ელემენტთა ურთიერთობის კანონზომიერებათა მიხედვით, მაგრამ მათი **აბსოლუტური გამოიჯვნა** შეუძლებელია. ამის მიზეზი ისაა, რომ ისინი ერთდროულად მოქმედებენ და ერთიმეორის რეალიზაციაში სრულიად ბუნებრივად იღებენ მონაწილეობას. ამის ნათელ ნიმუშად მეცნიერს შემდეგი მაგალითი მოჰყავს: „მსაზღვრელი საზღვრულს უნდა ეთანხმებოდეს ბრუნვაში. ბრუნება სახელის მორფოლოგიური კატეგორიაა, ბრუნვა კი – ამ კატეგორიის ელემენტი. სინტაქსისა აქ ის არის, რომ მმართველი წევრი მასთან და-

კავშირებული წევრისგან იმავე ბრუნვას ითხოვს, რაც თვითონ აქვს“ [უთურგაიმე 2009: 146].

ცხადია, სინტაქსის საგანი **შესიტყვებაა**, მაგრამ ყოველგვარი შესიტყვება არ გვამღვეს სინტაქსურ კავშირს. სინტაქსური თვალსაზრისით მისი შესწავლა გულისხმობს ორ მომენტს – ა) შესიტყვების შედგენილობის შესწავლასა და ბ) შესიტყვების სტრუქტურის დადგენას. არნ. ჩიქობავა მიუთითებს, რომ შესიტყვების შედგენილობის შესწავლა არ არის თავისთავად სინტაქსური ღირებულებისა. ის „შემამზადებელი საფეხურია“ შესიტყვების სტრუქტურა-მექანიზმის გამოსარკვევად. სწორედ ეს ფაქტორი მიაჩნია მკვლევარს სინტაქსური ძიების ძირითად მიზნად [ჩიქობავა 1968: 115]. ესაა **იმანენტური (შინაგანი) საზომი**. ლ. ენუქიძე შენიშნავს, რომ არნ. ჩიქობავა არ უარყოფს წინადადების ფუნქციონალურ ანალიზს, მაგრამ იგი სინტაქსის სფეროდან გააქვს, რაც იწვევს სინტაქსის ამოცანების ნათლად ჩამოყალიბებას, მაგრამ ძლიერ ავიწროებს მის ჩარჩოებს. მთელი რიგი საკითხი (მაგალითად, რთული წინადადების პრობლემა) სინტაქსის გარეთ გადის. სინტაქსმა კი მოიცვა როგორც მარტივი, ისე რთული წინადადება, მისი ფორმალური თუ შინაარსობრივი ანალიზი [ენუქიძე 1995: 63]. ცხადია, რთული წინადადების ანალიზისას გასათვალისწინებელია მისი ფორმალური და შინაარსობრივი მხარე, მაგრამ კვლევისას ისევე ეწევა ანგარიში იმანენტისმს, როგორც ეს მარტივი წინადადების შემთხვევაშია – რთულ წინადადებაშიც ხომ სინტაქსური, შინაგანი საზომით უნდა ვიხელმძღვანელოთ.

ბოლო პერიოდის ყველაზე გავრცელებული ენათმეცნიერული კვლევის მიხედვით, სინტაქსის შესწავლის ერთ-ერთი ძირითადი საკითხი არის შესიტყვება<sup>1</sup>, მისი რაობის განსაზღვრა. ზოგადი განმარტებით, ის არის „სიტყვათა შენაერთი, სიტყვათა შეხამება“ [ჩიქობავა 2010: 80]. იმთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ ცალკე აღებული ნებისმიერი სიტყვა **შესიტყვება** ვერ იქნება. რო-

---

<sup>1</sup> სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული და გავრცელებულია ტერმინი **სინტაგმა**. ნაშრომში ჩვენ ვიყენებთ არნ. ჩიქობავასეულ ქართულ მარჯვე ტერმინს – **შესიტყვება**.

გორც ვ. თოფურია შენიშნავს, ეს ცალკე სიტყვები, როგორც ასეთები, სინტაქსის საგანი ვერ იქნებიან. მათ მორფოლოგია სწავლობს [თოფურია 1929: 93].

**სინტაქსური წყვილი ა.** შანიძის მიერ შემოღებული ტერმინია. ის აღნიშნავს ერთმანეთთან სინტაქსურად დაკავშირებული ორი წევრის შემცველ ერთეულს, რომელიც ორი სიტყვითაც შეიძლება გადმოიცეს და ორზე მეტითაც [შანიძე 1948: 4].

შესიტყვებას ვერ მივიღებთ, თუ არ არსებობს გარკვეული დამოკიდებულება სიტყვათა შორის, თუნდაც რომ თითოეულ სიტყვას თავისი ფორმა ჰქონდეს [ჩიქობავა 1968: 114]: **ხავშვს ბურთად თამაშობ.** მართალია აქ წარმოდგენილ თითოეულ სიტყვას თავისი გრამატიკული გამოხატულება აქვს (**ხავშვი** მიც. ბრუნვაშია დასმული და დაირთავს ნიშანს **-ს**, **ბურთად** – ვითარებით ბრუნვაში (ნიშანი **-ად**), ხოლო **ზმნა აწმყო დროითაა წარმოდგენილი**), მაგრამ არ გვაქვს შესიტყვება. ისინი აღნიშნული ფორმებით ვერ ამყარებენ ერთმანეთთან სინტაქსურ კავშირს. ამიტომ გამოტანილია საყურადღებო დასკვნა: **„არ ყოფილა საკმარისი, ყოველ სიტყვას ჰქონდეს ფორმა, აუცილებელი ყოფილა მათ ჰქონდეთ განსაზღვრული ფორმა, რომელიც შეეხამება სხვა ფორმას და მოგვეცემს შესიტყვებას, ბუნებრივს ამა თუ იმ ენისათვის“** [ჩიქობავა 1968: 114].

მაშასადამე, სიტყვათა შორის დამოკიდებულება ქმნის შესიტყვებას, ეს დამოკიდებულება შეიძლება გამოიხატოს სხვადასხვა საშუალებით. ესენია: **სიტყვათა ფორმა, სიტყვათა ადგილმდებარეობა, სიტყვათა ინტონაცია.** ამათგან ზოგ ენაში პირველი სკარბობს, ზოგში კი – სხვა საშუალება. გარდა ამისა, ცნობილია, რომ, მაგალითად, ინდოევროპულ ენებში შესიტყვებისათვის მნიშვნელობა აქვს ადგილმდებარეობასაც, თუმცა ამ საშუალებას ენა მაშინ მიმართავს, როცა მას **ფორმა** აკლია [ჩიქობავა 1968: 113-114].

სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ აფიქსებით მდიდარ ახალ ქართულ ენაში სიტყვათგანლაგებას არ აქვს **გრამატიკული** მნიშვნელობა. ის არ მონაწილეობს სიტყვათა შორის სინტაქსური ურთიერთობის დამყარებაში, რადგან არ აკისრია

**წინადადების წევრთა განმასხვავებელი ფუნქცია.** „ახალი ქართული ენის სინამდვილეში სიტყვათგანლაგება არ გამოდგება ენის სისტემის ფუნქციონალურ მახასიათებლად. სიტყვათგანლაგების საკითხი მხოლოდ ენობრივი უზუსის, ნორმის საკითხს უკავშირდება“ [აფრიდონიძე 1986: 121].

არნ. ჩიქობავა განმარტავს: „შესიტყვება რომ შეიქმნეს, საჭიროა, რომ მასში შემავალი სიტყვები ერთმანეთს შეეფერებოდეს თავისი ფორმით“. მხოლოდ მაშინ შეეფერება ამა თუ იმ სიტყვის ფორმა მეორე სიტყვის ფორმას, თუ მათ შორის არსებობს გარკვეული დამოკიდებულება. თუკი ეს ფაქტორი არსებობს, შესიტყვებაც გვექნება, თუნდაც შინაარსობრივად სრულ უაზრობას შეიცავდეს: „შინაარსით უაზრო, მაგრამ აგებულებით სწორი შესიტყვება ისევე გამოდგება ამა თუ იმ ენის თვისებათა გასათვალისწინებლად, როგორც შესიტყვება, რომლის შინაარსი მეცნიერულად სწორ დებულებას გადმოგვცემს“ [ჩიქობავა 2010: 82-83].

ზემოთქმულიდან გამოსაყოფია შემდეგი საკითხი: რა სახისაა ესა თუ ის შესიტყვება და რაში მდგომარეობს მათ შორის დამოკიდებულება. ამისთვის საჭიროა გაანალიზდეს, შესიტყვებაში რა როლს თამაშობს ესა თუ ის სიტყვა, რა შესაძლებლობა აქვს მას – გაბატონებულია თუ დამოკიდებული? თუ გაბატონებულია, მმართველია თუ მართული სიტყვა? რომელი სიტყვა რომელს ითანხმებს და რაში? რომელი სიტყვა რომელს მართავს და რაში? შესიტყვებებში რა სინტაქსური ურთიერთობებია? [ჩიქობავა 2010: 94]. ერთი სიტყვით, ის გულისხმობს სიტყვათა სინტაქსური დამოკიდებულების შესწავლას და ამ დამოკიდებულებაში ცალკე სიტყვათა როლის გარკვევას.

არნ. ჩიქობავას დასკვნით, „შესიტყვება გულისხმობს სულ მცირე ორ სიტყვას. შესიტყვება არ არის სიტყვათა უბრალო წყება: შესიტყვება ისეთ სიტყვათა წყებაა, რომელნიც ერთმანეთთან გარკვეულს დამოკიდებულებაში იმყოფებიან. ეს დამოკიდებულებაა, სიტყვათა რიგს რომ შესიტყვებად ხდის“ [ჩიქობავა 2010: 94].

შესიტყვებებში ორი ძირითადი ტიპი გაირჩევა: ერთი შედგება მხოლოდ სახელებისაგან, მეორეს ზმნა და სახელი (ან სახელები) ქმნიან. სახელებისაგან შემდგარი სინტაგმა ატრიბუტუ-

ლია: ერთი სახელი მეორის რაიმე თვისებაზე, ატრიბუტზე მიუთითებს, ერთი სახელი მეორეს განსაზღვრავს. როცა ზმნა და სახელია სინტაქსურად დაკავშირებული, მაშინ ვიღებთ პრედიკატულ სინტაგმას. პრედიკატული სინტაგმის საყრდენი არის ზმნა [ჩიქობავა 1979: 185-186].

სხვაგვარად, შესიტყვება შედგენილობის მიხედვით სხვადასხვა სახისა შეიძლება იყოს. მასში შეიძლება შედიოდეს უფორმო სიტყვა და სახელი, უფორმო სიტყვა და ზმნა, სახელი და ზმნა. ყველაზე მეტი შესაძლებლობა ამ თვალსაზრისით სახელსა და ზმნას მოეპოვება, რადგან ისინი ფორმით ყველაზე მრავალფეროვანნი არიან. შესაბამისად, მათ ურთიერთდამოკიდებულებაში ყველაზე რთული სინტაქსური ურთიერთობაა [ჩიქობავა 2010: 94].

ა. კიზირიას თვალსაზრისით, შესიტყვებათა დაყოფა ამგვარადაა შესაძლებელი: „შესიტყვებას წარმართავს ზმნა, სახელი ან ფორმაუცვლელი სიტყვა და გვაქვს: ა) ზმნური შესიტყვება, ბ) სახელური შესიტყვება, გ) ზმნისართული შესიტყვება და დ) თანდებულნი შესიტყვება. შესიტყვება ემყარება სინტაქსურად არათანაბარი უფლების მქონე სიტყვების შეერთებას“ [კიზირია 1982: 61].

ა. დავითიანი შენიშნავს, რომ შესიტყვება წინადადების სტრუქტურიდან გამოიყოფა, როგორც ერთმანეთთან გრამატიკულად (სემანტიკურადაც) დაკავშირებულ სიტყვათა ჯგუფი. ის წინადადების გარკვეულ რგოლს წინადადებასთან მიმართებით (**მიკრორგოლს**) ქმნის. მკვლევარი შესიტყვებას განიხილავს, როგორც წინადადების შუალედურ სტრუქტურულ ერთეულს, რომელთა წევრებს შორის „აზრობრივი კავშირი გრამატიკულად (სინტაქსურ-მორფოლოგიური საშუალებებით) არის გაფორმებული“ [დავითიანი 1973: 124-125].

აქვე შევნიშნავთ, რომ ჩვენი კვლევა დაფუძნებულია არნ. ჩიქობავასეულ მეთოდოლოგიური იმანენტიზმის საფუძველზე, რადგან სწორედ ამ გზითაა შესაძლებელი სინტაქსური საკითხების მართებული გადაწყვეტა, მათ შორის სხვადასხვა აგებულების წინადადებაში შესიტყვებათა გამოყოფის პრობლემები.

## არნოლდ ჩიქობავა და იმანენტიაზმის თეორია

სინტაქსი მორფოლოგიასთან ერთად გრამატიკის ერთ-ერთი მთავარი დარგია. ის შეისწავლის ენის აგებულებას გარკვეული თვალსაზრისით – ფართო გაგებით სინტაქსის სფერო სიტყვათა შეკავშირება და წინადადებაა. ცნობილია, რომ ამ დარგის კვლევას ხანგრძლივი ისტორია აქვს. მის მამამთავრად ითვლება ბერძენი გრამატიკოსი აპოლონიოს დისკოლო (II საუკუნე). მისთვის სინტაქსის არსი სიტყვათა შეკავშირება-შეხამებაა. მიუხედავად კვლევის ხანგრძლივობისა, სპეციალისტთა შორის კვლავაც დავის საგანია მისი ძირითადი ცნებები, სფერო. ანალიზის საფუძველზე სინტაქსის არსის გაგებაში გამოიკვეთა ოთხი მიმართულება: 1. სინტაქსი შეისწავლის ნებისმიერ შესიტყვებათა სისტემას (ამ შემთხვევაში წინადადება არის შესიტყვების ერთ-ერთი სახე); 2. სინტაქსი შეისწავლის წინადადებებს და წინადადებათა შიგნით სიტყვათა შეერთებებს; შესიტყვება გაიგება როგორც წინადადების ნაწილი; 3. სინტაქსში ცალ-ცალკე შეისწავლება შესიტყვება და წინადადება. ამათგან პირველი წარმოადგენს არაკომუნიკაციური დონის ერთეულს, ხოლო წინადადება კომუნიკაციურ დონეს განეკუთვნება. 4. შესიტყვების აგბეულება სინტაქსის ობიექტადაა მიჩნეული, ხოლო შესიტყვების მნიშვნელობა სტილის საგანადაა მიჩნეული [ენუქიძე 1987: 3].

ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში სინტაქსის, როგორც ენათმეცნიერების დარგის, ანალიზისას გარდამტეხი მნიშვნელობის კვლევა ეკუთვნის არნ. ჩიქობავას. ძნელია სათანადოდ შეაფასო დიდი მეცნიერის „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“, მეთოდოლოგიური იმანენტიაზმის თეორია და მისი დამკვიდრება. „ბატონი არნოლდის სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის ამსახველი მშრალი ნუსხაც რომ წარმოვადგინოთ, იქ თითქმის ყველგან გამოჩნდება სიტყვა **პირველი**“ [ბურჭულაძე 2005: 46]. თამამად შეიძლება ითქვას, რომ არნოლდ ჩიქობავას ფუნდამენტური ნაშრომით „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“ **პირველად** დამკვიდრდა მეთოდოლოგი-

ური იმანენტიზმი, რომელსაც თავის მხრივ საფუძვლად დაედო ჰომოგენურობის პრინციპი.

„დღეს აღიარებულია, რომ არნ. ჩიქობავას ეს ფუნდამენტური გამოკვლევა წინ უსწრებს ანალოგიურ ევროპულ ნაშრომებს სტრუქტურული სინტაქსის სფეროში, ხოლო სიმწყობრივით არაფრით ჩამოუვარდება ამ რიგის საუკეთესო გამოკვლევებს“ [არაბული 2018: 5].

გადავხედოთ ისტორიას... მანამდე წინადადებისა და მისი შემადგენელი ნაწილების განსაზღვრისას სამეცნიერო ლიტერატურაში (როგორც ქართულ, ისე საზღვარგარეთულ სამეცნიერო წრეებში) გამოიყოფოდა სამი ძირითადი მიმართულება: 1. ლოგიცისტური; 2. ფილოსოფიური; 3. ფორმალური (ენობრივ-გრამატიკული). ამისდა მიხედვით, ზოგ შემთხვევაში წინ წამოიწეოდა წინადადების ფორმალურ-სტრუქტურული თავისებურება, რიგ შემთხვევაში კი მხოლოდ მის ფუნქციას გაესმის ხაზი. არნ. ჩიქობავა შენიშნავდა:

„**ლოგიცისტურია** ყოველი კვალიფიკაცია, რომელიც წინადადებაში ლოგიკის მსჯელობის გამოხატულებას ხედავს, ხოლო ქვემდებარე-შემასმენელს ისევე განსაზღვრავს, როგორც ტრადიციული ლოგიკა სუბიექტსა და პრედიკატს. მსჯელობის მაგივრობა შეიძლება დაეკისროს **აზრსაც**, – ამ სიტყვის ყოველდღიური გაგებით.

**ფსიქოლოგისტურია** ყოველი კლასიფიკაცია, რომელიც წინადადებას განსაზღვრავს ცნობიერების იმ პროცესების მიხედვით, რომლებიც წინადადებას თან ახლავს; ქვემდებარე-შემასმენლის განსაზღვრებასაც ამ ნიადაგზე იძლევა.

**ენობრივ-გრამატიკულია** ყოველი კვალიფიკაცია, რომელიც წინადადებისა და მისი ნაწილების განსაზღვრისას მხოლოდ ენობრივ ნიშნებს მოიხმარს“ [ჩიქობავა 1968: 3].

ამ მიმართულებებით (ლოგიციზმი, ფსიქოლოგიზმი) ანგარიში არ ეწეოდა ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების ძირითად დასკვნას, რომ **ფუნქციის** ერთგვარობა **სტრუქტურის** ერთგვარობას ვერ განსაზღვრავს.

ენის აღწერისას არნ. ჩიქობავასათვის სახელმძღვანელო პრინციპი მართებულად გახლდათ ჰომოგენურობის პრინციპი, რადგან ის არის საფუძველი მეთოდოლოგიური იმანენტინიზმისა. ეს გულისხმობს იმას, რომ ცნება უნდა შეიცავდეს ნიშნებს, რომლებიც იმანენტურია აღსაწერი ობიექტისათვის, ე. ი. **შესასწავლი ობიექტისათვის შინაგანად დამახასიათებელი**. ნაშრომში გვხვდება საყურადღებო შენიშვნა ავტორისეული დამოკიდებულებისა ფუნქციისა და სტრუქტურის მიმართ. კერძოდ, ფუნქცია ესაა მიმართება აღსანიშნთან, ხოლო სტრუქტურა გამოხატავს მიმართებას მიმართებათა შორის [ჩიქობავა 1968: 010]. იგი პრინციპულად განასხვავებს ფუნქციასა და სტრუქტურას, თუმცა არ უპირისპირებს მათ ერთმანეთს, რადგან ორივე მიმართებებს გადმოგვცემს. ზოგადად, „არნოლდ ჩიქობავას თეორიაში ენათმეცნიერება განხილულია როგორც ინტეგრალური ჰუმანიტარული მეცნიერება, რომელმაც ენა უნდა შეისწავლოს როგორც აღწერითი, ისე ისტორიული თვალსაზრისით, გამოიკვლიოს ენობრივ ერთეულთა როგორც სტრუქტურა, ისე – ფუნქციაც, ჰომოგენურობის პრინციპის დაცვით. ეს არის არნ. ჩიქობავას თეორიული მეცვიდრეობის, ორი ზემოგანხილული მიმართულების გამაერთიანებელი ხაზი. ამ ხაზმა უზრუნველყო ფაქტობრივად პირველი ქართული ზოგადლინგვისტიკური მოძღვრების შინაგანი მთლიანობა და თავისთავადობა, თეორიულ შეხედულებათა არაცალმხრივი და არაწინააღმდეგობრივი სისტემის შექმნა“ [კვარაცხელია 2014: 483]. მართლაც, არნ. ჩიქობავას შეხედულების მიხედვით, ენათმეცნიერების პირველი და მთავარი ამოცანა არის ის, რომ ენობრივ მოვლენას მოუძებნოს **შინაგანი**, მისთვის დამახასიათებელი **იმანენტური საზომი** [ჩიქობავა 1968: 107].

მკვლევართა უმეტესობა წინადადებას მიაკუთვნებდა სინტაქსს, მაგრამ სიტყვათა კლასებისა და ფორმების ანალიზისას აზრთა სხვადასხვაობა იყო სინტაქსის არსის განსაზღვრისას. სათანადოდ არ იყო განხილული **შესიტყვება**, რომელიც ქმნის დამოკიდებულებას სიტყვათა შორის. საქმე ისაა, რომ სხვადასხვა ენაში შესიტყვება გამოიხატება ან სიტყვათა ადგილმდებარეობით, ან სიტყვათა ფორმითა თუ სიტყვათა ინტონაციით. არნ. ჩი-

ქობავა შენიშნავს, რომ ზემოთქმულის მიხედვით, თუ ერთ ენაში სინტაქსური ცნებები აგებული იქნება ფორმათა დამოკიდებულების საფუძველზე, მეორეში დასაყრდენი იქნება სიტყვათა ადგილმდებარეობა, სხვაგან კი – ინტონაცია. თუმცა აქ ყველგან ხაზგასმულია ერთი მნიშვნელოვანი საერთო პრინციპი – **სიტყვათა ურთიერთობის ბუნება და ამ ურთიერთობის აღსანიშნავად გამოყენებული საშუალება** [ჩიქობავა 1968: 114]. ცხადია, სიტყვათა ადგილი და ინტონაცია მხოლოდ იმდენად ჩაითვლება სინტაქსურ საშუალებად, რამდენადაც ისინი ასრულებენ **ფორმის** ფუნქციას.

სწორედ იმანენტისმიის თეორიის მიხედვით სინტაქსის მიზანია გაარკვიოს 1. რა ფორმები შეიძლება შეახამოს ენამ (რა სახის შესიტყვებანი მოეპოვება ენას) და 2. როგორია მის შესიტყვებათა სტრუქტურა-მექანიზმი. პირველის მიზანი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ის შემამზადებელი საფეხურია მეორე მომენტისათვის. რაც შეეხება შესიტყვების სტრუქტურა-მექანიზმის გამორკვევას, სწორედ ისაა სინტაქსის ძიების მთავარი მიზანი. ამრიგად, **სინტაქსის საგანი თუ შესიტყვებაა, სინტაქსის მიზანი შესიტყვების მექანიზმის შესწავლაა** [ჩიქობავა 1968: 114-115].

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, არნ. ჩიქობავამ ქართული ენის შესიტყვების ანალიზისას გამოყო ორი ძირითადი სახე – **შეთანხმება** და **მართვა**. ამათგან, მისი განმარტებით, შეთანხმებაა სიტყვათა ისეთი დამოკიდებულება, როდესაც გაბატონებული მოითხოვს დამოკიდებულისაგან ისეთ ფორმას, რომელშიც ის თვითონ არის და რომლის მიხედვითაც ცვალების უნარი აქვს. ხოლო მართვაა დამოკიდებულების ისეთი სახე, როდესაც გაბატონებული მოითხოვს დამოკიდებულისაგან ისეთ ფორმას, რომელიც მას თვითონ არ აქვს ამ მომენტში, ან არც შეიძლება ჰქონდეს საერთოდ [ჩიქობავა 1968: 115-119]. შეთანხმებისა და მართვის გამოყოფილ ცალკეულ შემთხვევებზე ახლა არ შევჩერდებით. მასში მთავარია ის ფაქტი, რომ **ესაა სწორედ ქართული ენის სინტაქსის სპეციფიკა, რაც მკაფიოდ აისახა კოორდინაციის თეორიაში: ქართული ზმნა – კოორდინაციის ცენტრი – დიდად განსხვავებულია ინდოევროპული ენების ზმნისაგან, იგი მრავალპირიანია,**

რის საფუძველზედაც ქვემდებარესთან ერთად წინადადების მთავარი წევრებია დამატებებიც [ბურჭულაძე 2005: 48].

არნ. ჩიქობავას არც გარემოების ფაქტორი დაუტოვებია იმანენტისმიის თვალსაზრისით ყურადღების მიღმა. მან ცალკე გამოყო სიტყვათა ურთიერთობის ახალი სახე – **მირთვა**, როგორც ურთიერთობის ნოლი ფორმა (თუმცა ის არაა სიტყვათა პოზიტიური ურთიერთობა): „მირთვა შორეულ კავშირში იმყოფება მართვასთან, მირთვა ნულამდე დაყვანილი მართვაა; მართვის დასუსტების მიხედვით მივდივართ მირთვისაკენ“ [ჩიქობავა 1968: 120].

იმანენტისმიის თეორიის მიხედვით, მკვლევრისთვის წინადადება ერთ-ერთი სახის შესიტყვებაა, მაგრამ არა ისეთი წინადადებები, რომლებიც შეიცავენ მხოლოდ უფორმო სიტყვებსა და ნაწილაკებს (კი! არა! გუშინ! ვაიმე!...), ან ისეთი ფორმაცვალებადი სიტყვებიც, როგორებიცაა ამომახილი, პასუხად თქმული, ცალკეული სიტყვები (ბილეთები! გაზეთი! ხანძარი!...). მართალია, ეს უკანასკნელნი მეტია, ვიდრე ცალკე სიტყვა (უტოლდება ფრაზას), მაგრამ მეტია არა სინტაქსური თუ მორფოლოგიური თვალსაზრისით, არამედ მნიშვნელობის მიხედვით, განსხვავებულია **ფუნქციონალურად** და არა **სტრუქტურულად** [ჩიქობავა 1968: 122].

ფუნდამენტურია მსჯელობა ცალკე აღებული ზმნის შესახებ, როგორც შესიტყვებისა მინიატურაში. მიუხედავად იმისა, რომ შეიძლებოდა ზმნა გათანაბრებულიყო შესიტყვებასთან (ეს შესაძლებლობა განსაკუთრებით აქვს ქართულ ზმნას მისი მრავალპირიანობის გამო), მაგრამ მეთოდოლოგიური იმანენტისმიისათვის მეცნიერმა ის მიიჩნია წინადადების ეკვივალენტად იმდენად, რამდენადაც ზმნა, ცალკე სიტყვა, მთელი შესიტყვების სქემას წარმოადგენს. ის აუცილებელია შესიტყვებისათვის, რათა უკანასკნელი წინადადებად მივიჩნიოთ. ამის მიხედვით შემუშავდა დასკვნა, რომ ე. წ. ატრიბუტული წინადადება ვერ ჩაითვლება წინადადებად [ჩიქობავა 1968: 123].

ერთი სიტყვით, არნ. ჩიქობავამ წინადადება და მისი წევრები განსაზღვრა იმ მიმართებათა საფუძველზე, რომლებიც მყარ-

დება ზმნასა და სახელს შორის, ზმნური შესიტყვების ფორმალური სტრუქტურის საფუძველზე.

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს თვალსაზრისი, რომ იმანენტიზმის თეორიის მიხედვით მთელი რიგი საკითხები, რომლებიც ტრადიციულად სინტაქსის სფეროს წარმოადგენდა (მათ შორის რთული წინადადების პრობლემა), სინტაქსის გარეთ გადის. „საფიქრებელია, რომ სწორედ ამიტომ სასკოლო (სასწავლო) გრამატიკებში არ დამკვიდრდა არნ. ჩიქობავას აზრი და სინტაქსმა ტრადიციულად მოიცვა როგორც მარტივი, ისე რთული წინადადება, მისი როგორც ფორმალური, ისე შინაარსობრივი ანალიზი“ [ენუქიძე 1995: 6].

შევეცდებით იმანენტიზმის თეორიიდან ამოსვლით განვიხილოთ რთული წინადადება. ცხადია, რთული წინადადების ანალიზისას გასათვალისწინებელია მისი ფორმალური და შინაარსობრივი მხარე, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩიქობავასეული იმანენტიზმი სრულიადაც არ გამორიცხავს რთულ წინადადებას და ის ისევე ვლინდება რთულ წინადადებაში (პარატაქსშიცა და ჰიპოტაქსშიც), როგორც მარტივ წინადადებაში. რთულ წინადადებაშიც ხომ სინტაქსური, შინაგანი საზომით უნდა ვიხელმძღვანელოთ. თავად მეცნიერი აღნიშნავს, რომ იმანენტიზმის მიხედვით რთული წინადადება ასე წარმოიდგინება: „მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებებს შორის პრინციპული განსხვავება არ არსებობს; როგორც მასალა, ისე სტრუქტურა ორივესი ერთნაირია: ბრუნვადი და უღვლილებადი სიტყვა ისეთივე აუცილებელია და ამავე დროს საკმარისი პირობაა დამოკიდებული წინადადებისათვის, როგორც მთავარისათვის; ხოლო მართვა და შეთანხმება (თუ მირთვა) ის საფუძველია, რომელზედაც აგებულია როგორც ერთი, ისე მეორე. ერთმანეთს შეიძლება დაუკავშირდეს წინადადება და წინადადების ეკვივალენტი... ყველა ამ შემთხვევაში დამოკიდებული და მთავარი ნაწილი კავშირდება რაიმე (დამხმარე) სიტყვის საშუალებით“ [ჩიქობავა 1968: 125].

განვიხილოთ შესიტყვების საკითხი მეთოდოლოგიური იმანენტიზმის თეორიის მიხედვით რთულ წინადადებაში<sup>1</sup>. როგორც ცნობილია, წინადადების წევრები ერთმანეთს ენაში შემუშავებული გრამატიკული წესების მიხედვით უკავშირდება. ხოლო წევრებს შორის ენაში ისტორიულად შემუშავებული გრამატიკული წესების მიხედვით დამყარებულ კავშირს სინტაქსური კავშირი ჰქვია [კვაჭაძე 2010: 9]. ამოსავლად კვლავ იმანენტიზმს ვიშველიებთ. ცხადია, მაგალითად, რთულ ქვეწყობილ წინადადებაში სხვა კონსტრუქციისათვის დამახასიათებელი შესაძლებელი სიტყვათშეკავშირება ვერ გამოდგება. გასათვალისწინებელია ის ფაქტორი, რომ რთულ ქვეწყობილ წინადადებაში ერთი წინადადების მეორისადმი დაქვემდებარებაა, დაქვემდებარება კი სხვადასახვა საშუალებითა და ხერხით ხორციელდება – აქვს თავისი ნიშნები, რომელთა უმეტესობაც გარეგნული მახასიათებლებითაა გამოხატული, ზოგი კი **შინაგანი ნიშნითაა წარმოდგენილი**.

ჩვენ შევნიშნავთ, რომ მაქვემდებარებელი კავშირი თუ წევრ-კავშირი დამოკიდებული წინადადების **სტრუქტურულ ნაწილს** წარმოადგენს. რა გვამლევს იმის მყარ საფუძველს, რომ წევრ-კავშირი მივიჩნიოთ სინტაგმის ერთ-ერთ წევრად? **პირველი ფაქტორი** არის ის, რომ ასეთი სიტყვა წინადადების კავშირიცაა და ამავედროულად **წევრიც**. ის ასრულებს გარკვეული წევრის ფუნქციას ჰიპოტაქსურ წინადადებაში – ზოგჯერ ქვემდებარეა, ზოგჯერ – დამატება ან განსაზღვრება და ა.შ. მაგალითად, „ცოდვაა ის კაცი, ვინც ამ დიდი ნიჭის გარეშე წავა ამ ქვეყნიდან“ (დუმბ.) – აქ წევრ-კავშირი **ვინც** ქვემდებარის ფუნქციას ასრულებს; „**რაც** შენთვის არ გინდა, იმას ნურც სხვას უზამო“ – წევრ-კავშირი **რაც** პირდაპირი დამატების ფუნქციისაა; „ახლა ზაზა სწორედ იმისათვის იყო დაღუპული, **ვისთვისაც** სწადდა თავისი სიცოცხლე“ (გოთ.) – აქ **ვისთვისაც** უბრალო დამატებაა; „ფარნაოზს ეცოდებოდა მეგობარი, **რომელსაც** ყველაფერი ეცადა ამ ქვეყნად და ახლა ცალა დარჩენოდა იმედად“ (ჭილ.) – **რომელსაც**

<sup>1</sup> დაწვრილებით რთული წინადადების შესიტყვების გამოყოფის შესახებ მსჯელობა შემდგომ გვექნება.

განსაზღვრებაა; „მერე იქ მივიდა, **სადაც** ახალმღებული ზესად-გარები ელაგა“ (ფანჯ.) – **სადაც** ადგილის გარემოების ფუნქციას ასრულებს; „ეს გულები მყისვე უკან ისე იხევდნენ, როგორც ეს დღევანდელიობას შეეხებოდა“ (რობ.) – **როგორც** აქ ვითარების გარემოებაა და ა. შ. როგორც დაკვირვებამ აჩვენა, წევრ-კავშირი სინტაქსურ კავშირს ამყარებს მხოლოდ ზმნა-შემასმენელთან: ვინც წავა, რაც არ გინდა, რომელსაც დარჩენოდა, სადაც ელაგა, როგორც შეეხებოდა... წინადადების სხვა წევრთან ის სინტაქსურად არაა დაკავშირებული.

**მეორე ფაქტორია** მისი შესაბამის წყვილში მყოფი ზმნა-შემასმენლისგან ბრუნვის ფორმით მართვა და რიცხვში შეწყობა: **ვინც** წავა – შდრ. **ვისაც** ეს არ მოუსმენია, **ვისთვისაც** ეს მიუღებელი იყო, **ვისკენაც** გაიქცა; **რომელიც** მოვიდა – შდრ. **რომელსაც** ელაგა, **რომლისკენაც** წავიდა, **რომლისთვისაც** საჭირო გახდა... რიცხვში შეწყობის მაგალითები: რომელსაც – რომელთაც, როგორიც – როგორებიც...

რა სინტაქსური ურთიერთობა იქნება წევრ-კავშირის შემცველ სინტაქსურ წყვილთა შორის? ვფიქრობთ, აქ შეკავშირების ორი სახე – მართვა და მირთვა გვაქვს. ისეთ სინტაგმებში, სადაც წევრ-კავშირი გამოხატავს წინადადების მთავარ წევრს (ქვემდებარეს, პირდაპირ და ირიბ დამატებას) ან უბრალო დამატებას, მაშინ ის მართვაა. ასეთ შემთხვევაში ზმნა-შემასმენელი მართავს წევრ-კავშირს შესაბამის ბრუნვაში. აქ საურთიერთო მართვა კი არ გვექნება, არამედ მხოლოდ ცალმხრივი მართვა, ანუ სუბორდინაციული მიმართება: ცოდვია ის კაცი, ვინც ამ დიდი ნიჭის გარეშე წავა ამ ქვეყნიდან – **ვინც წავა** – ზმნა-შემასმენელი მართავს წევრ-კავშირს სახელობით ბრუნვაში (ვინც – კაცი წავა); ვისაც ეს არ უნდა, ნუ მოვა – აქაც მართვაა, ზმნა-შემასმენელი მიცემით ბრუნვაში მართავს წევრ-კავშირს (ვისაც არ უნდა – კაცს არ უნდა), რომლისთვისაც საჭიროა – ნათესაობით ბრუნვაში მართავს (რომლისთვისაც საჭიროა – კაცისთვის საჭიროა). თუ წევრ-კავშირი, რომელიც მიმართებითი ზმნიზუებითაა გადმოცემული, რომელიმე სახის გარემოებას გამოხატავს, აქ, ცხადია, **მირთვა** გვექნება – სადაც მივიდა, როგორც უნდოდა, რისთვისაც და-

სჭირდა...აქ ვითარება ისეთივე იქნება, როგორც ნებისმიერი სახის გარემოების გადმოცემისას გვხდება – ყველა გარემოება მიერთვის ზმნა-შემასმენელს [ბურჭულაძე 2015: 54-58]. თუმცა სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია განსხვავებული მოსაზრებაც, რომ გარემოება, რომელიც წარმოდგენილია სახელის ამა თუ იმ ბრუნვის ფორმით (უთანდებულო, შერწყმულთანდებულიანი თუ ცალკე მდგომი თანდებულის) ყოველთვის მართული იქნება ზმნა-შემასმენლის მიერ. ამ ტიპის შემთხვევები განხილულია როგორც მართვის ერთ-ერთი სახეობა – ნულამდე დაყვანილი მართვა, მაგრამ მაინც მართვა (წარვედ წყლისა პირს, შევიდა სახლში, ლამაზად თოვს...) , ხოლო ყველა სხვა შემთხვევაში გარემოება მართული იქნება (გუშინ ჩამოვიდა, შევიდა იქ...) [ვაშაკიძე, 2012: 70].

ჩვენთვის ერთი და იგივე სინტაქსური მიმართებაა სინტაგმებში: **აქ მოვიდა და სადაც მოვიდა; გუშინ გავიგე და როდესაც გავიგე; უცბად გამოჩნდა და როგორც გამოჩნდა; იმიტომ მერჩინა და რადგანაც მერჩინა; ამისთვის დამჭირდა და რისთვისაც დამჭირდა.**

მაშასადამე, რთულ ქვეწყობილ წინადადებაში არამხოლოდ ცალკე აღებული მთავარ ან დამოკიდებულ წინადადებაში ვლინდება სინტაქსური კავშირი, არამედ მათ შორისაც, წევრ-კავშირის შემთხვევაშიც **ფუნქციურად და სტრუქტურულადაც** (სწორედაც რომ იმანენტის (შინაგანი ბუნების) მიხედვით) შესიტყვებას მივიღებთ. მართალია, რთული წინადადების ნაწილებისთვის საერთო და აუცილებელი პირობა არის ბრუნვადი და უღვლილებადი სიტყვა, ხოლო დამოკიდებული და მთავარი ნაწილი ერთმანეთს უკავშირდება რაიმე (დამხმარე) სიტყვის საშუალებით, მაგრამ მათ შორის სინტაქსური, შინაგანი კავშირია. აქ ხომ ფუნქციის ერთგვარობა არ ნიშნავს სტრუქტურის ერთგვარობას. სწორედაც, რთულ წინადადებაში, როგორც იმანენტისთვისაა დამახასიათებელი, **სტრუქტურული სხვაობა** გვაქვს.

რაც შეეხება შერწყმულ წინადადებას, რაკი მასში რამდენიმე ერთგვარი წევრი გვხვდება, ამიტომ ყოველი ერთგვარი წევრი ცალ-ცალკე კი არა, არამედ ერთად იანგარიშება სინტაგმაში. მა-

გალითად, ერგვარი ქვემდებარეები ერთად დაუკავშირდება ზმნა-შემასმენელს, ერთგვარი განსაზღვრებები – მსაზღვრელს ერთ სინტაგმად და ა. შ. რთული წინადადების შესახებ სინტაგმა-თა გამოყოფის მსჯელობისას შენიშნულია, რომ პარატაქსული წინადადების სინტაგმათა რაოდენობა მასში შემავალ წინადადე-ბებში ცალ-ცალკე იანგარიშება [კვაჭაძე 2010: 16]. **ყველა სახის რთულ წინადადებაში წევრებს შორის მარტივ წინადადებაზე დამყარებული სინტაქსური კავშირი მყარდება, მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს რთული წინადადების განსხვავე-ბულ სტრუქტურას, თავისებურებასა და მის შინაგან ბუნებას.**

ვგიქრობთ, არნ. ჩიქობავას მოსაზრების მიხედვით ზემოთ დასახელებულ ყველა შემთხვევაშიც გამიჯნულია მორფოლოგი-ური სისტემა და სინტაქსური მექანიზმი. აქაც ეს ასახულია კო-ორდინაცია-სუბორდინაციის წესებში. „არნ. ჩიქობავას „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“ ის ნაშრომია, რომელსაც დროის არ ეშინია. იგი არ არის მხოლოდ ქართული ენის სინტაქ-სის თეორია – მისი უზოგადესი დებულებები ნებისმიერი ენის სინტაქსური ანალიზისათვის გამოდგება“ [ბურჭულაძე 2005: 49]. მისეული მეთოდოლოგიური იმანენტიზმის თეორია კი კვლავ რჩება სინტაქსური საკვანძო საკითხების (და არა მხოლოდ მარ-ტივი წინადადების!) უმთავრეს გზამკვლევ საშუალებად, თუმცა ზოგი მათგანის რეალიზაციის ავტორისეული ინტერპრეტაცია დღეს შეიძლება სხვაგვარადაც შეფასდეს.

## სინტაქსური კავშირი

სინტაქსური კავშირის სპეციფიკის ერთ-ერთი ძირითადი საკითხია ზმნა-შემასმენლის პირიანობა და ვალენტობა. ვალენტობა სინტაქსური კატეგორიაა. ცნობილი ფაქტია, რომ ქართული ზმნის მთავარი თავისებურება მრავალპირიანობაა – ერთდროულად ზმნაში მორფოლოგიურად შეიძლება აისახოს ერთზე მეტი პირი. ზმნასთან დაკავშირებულ ყველა პირს ზმნაში არ მოეპოვება თავისი ნიშანი, ე. ი., ერთდროულად ყველა არ აისახება მორფოლოგიურად. ამისდა მიხედვით, არ არის შესაბამისობა ზმნასთან სინტაქსურად დაკავშირებულ პირთა რაოდენობასა და ზმნაში მორფოლოგიურად გამოხატულ პირთა რაოდენობას შორის. სწორედ ამ შეუსაბამობის გამო გაიმიჯნა ვალენტობა და პირიანობა [ახალი ქართული ენა 2016: 8].

სუბიექტისა და ობიექტის სხვადასხვა სახეობათა აღმნიშვნელი სახელები ან ნაცვალსახელები გარკვეული ფორმით უკავშირდებიან ზმნა-შემასმენელს და ქმნიან სინტაქსურ ერთიანობას, რომელსაც შეიძლება „წინადადების ბირთვი“ ეწოდოს. ბირთვის ცენტრალური სინტაქსური ელემენტია ზმნა-შემასმენელი. ლ. ტენიერის თვალსაზრისის მიხედვით, „ზმნური ფორმის უნარს შეიწყოს წინადადების ბირთვში სუბიექტურ-ობიექტურ მიმართებათა გამომხატველი სახელების (resp. ნაცვალსახელთა) ანუ „აქტანტების“ განსაზღვრული რაოდენობა შეიძლება ზმნის „ვალენტობა“ ეწოდოს [გამყრელიძე 2000: 136]. თ. გამყრელიძის ანალიზით, ქართულში ზმნური ფორმა შეიძლება იყოს როგორც უაქტანტო (თოვს, წვიმს – ნულვალენტიანი ზმნები ქართულში, ისევე როგორც სხვა ენებში, ძირითადად მეტეოროლოგიურ მოვლენებს გამოხატავს), ისე ერთ, ორ, სამ და ოთხაქტანტიანი, ე. ი., მაქსიმალური რაოდენობა სუბიექტურ-ობიექტურ მიმართებათა გამომხატველი სახელებისა (რომლებიც შესაძლოა ზმნურ ფორმას შეეწყოს), არის ოთხი. სხვადასხვა ტრანსფორმაციული წესების შემოღებით შესაძლებელია აღიწეროს ენის სინტაქსურ კონსტრუქციათა გარდაქმნები ზმნური ფორმის ვალენტობის გარდაქმნისდა შესაბამისად. მაგალითად, ორვალენ-

ტიანი ზმნური ფორმა გარდაიქმნება სამვალენტო ან ზმნურ კონსტრუქციად ზმნური ფორმის ტრანსფორმაციით კაუზატიური ან ვერსიის კატეგორიის მიხედვით – მამა წერილს წერს – მამა წერილს მისამართს აწერს. მკვლევარი ამგვარი სინტაქსური კავშირისათვის იყენებს ტერმინს – **კონექსია**. რამდენი სახელიც არ უნდა იყოს წარმოდგენილი წინადადების ბირთვში ზმნასთან სინტაქსურად დაკავშირებული, აქტუალურად გამოვლენილ მორფოლოგიურ ნიშანთა რაოდენობა ზმნურ სტრუქტურაში არ აღემატება ორს [გამყრელიძე 2000: 140-141].

არსებობს ვალენტობის სხვაგვარი გაგებაც, რომლის მიხედვითაც რიგი ირიბი ბრუნვა და თანდებულობის ფორმა აუცილებელია ამა თუ იმ ზმნასთან შესიტყვებაში. ამ ფაქტორით ისინი გაითვალისწინება ვალენტობაში [ენუქიძე 1974: 66]. თუმცა ეს თვალსაზრისი არ გულისხმობს ვალენტობის მორფოლოგიურ კატეგორიად მიჩნევას, რადგან იგი ემყარება შესიტყვების წევრებს შორის კავშირს, შესიტყვების სტრუქტურას და არა ოდენ ზმნას.

ვალენტობის შესახებ ზემოთ მოყვანილ თვალსაზრისთა სხვადასხვაობის მიუხედავად, ცხადი ხდება ის, რომ ის **სინტაქსური მოვლენაა** და შესიტყვების გამოყოფისას ირიბ ბრუნვასა თუ თანდებულობის ფორმებს აქვთ სინტაქსური კავშირის უნარი. ესაა სწორედ ქართული ენის ზმნა-შემასმენლის სპეციფიკა.

მაშასადამე, წინადადების წევრები ერთმანეთს ენაში შემუშავებული გრამატიკული წესების მიხედვით უკავშირდებიან. წინადადების წევრებს შორის ენაში ისტორიულად შემუშავებული გრამატიკული წესების მიხედვით დამყარებულ კავშირს სინტაქსური კავშირი ჰქვია [კვაჭაძე 2010: 9]. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ თუ წინადადება მრავალწევრიანია, მაშინ ესა თუ ის წევრი შეიძლება იმავე წინადადების ყველა სხვა წევრს უკავშირდებოდეს, ან კიდევ ერთს, ან რამდენიმეს. როგორც აღინიშნა, ამ თვალსაზრისით ყველაზე მეტი უნარი ზმნა-შემასმენელს აქვს. სქემატურად ეს სინტაქსური კავშირი ასე შეიძლება გამოიხატოს. მაგალითად:

„შემოსულ სტუმარს მე წავუკითხავ მთვარიან ღამით ლექსებს“ (ჭილ.).



ხოლო დანარჩენ წევრებს უნარი აქვთ მხოლოდ თითო წევრთან (ზოგჯერ ორთანაც) ჰქონდეს სინტაქსური კავშირი. მაგალითად, ქვემდებარე ამყარებს სინტაქსურ კავშირს ზმნა-შემასმენელთან (მე წავუკითხავ), ირიბი დამატება – განსაზღვრებასთან (შემოსულ სტუმარს), დროის გარემოება – ზმნასთან და განსაზღვრებასთან (ღამით წავუკითხავ, მთვარიან ღამით).

სინტაქსური კავშირისას მნიშვნელობა აქვს არამხოლოდ იმას, თუ რა წევრია წინადადებაში, არამედ იმასაც, თუ რა მეტყველების ნაწილით არის ეს წევრი გადმოცემული.

„სინტაქსური კავშირისა თუ მიმართების გამოხატვის ძირითადი ენობრივი საშუალებებია: ფორმა სიტყვისა, დამხმარე სიტყვები, სიტყვათა განლაგება (რიგი) და ინტონაცია“ [კვაჭაძე 2010: 10]. ა. შანიძე სინტაქსური თვალსაზრისით სიტყვებს ორ ჯგუფად ყოფს: 1. თავისთავადი, ანუ დამოუკიდებელი მნიშვნელობის სიტყვები, რომლებიც წევრებად შედიან წინადადებაში; 2. „სიტყვები“, რომელთაც დამოუკიდებლობა აკლიათ, წინადადების წევრობა არ შეუძლიათ, მაგრამ მეტად საჭირონი არიან წინადადებაში. ისინი მნიშვნელობას უცვლიან წინადადების წევრს ან მთელ წინადადებას და ამით გარკვეულ სამსახურს ასრულებენ [შანიძე, 1980: 35].

სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეულია, იმისათვის, რომ წინადადების წევრებს შორის სინტაქსური კავშირი დამყარდეს, აუცილებელი მნიშვნელობა აქვს ამა თუ იმ სიტყვის გრამატიკულ ფორმას. ორი წევრი ერთმანეთთან სათანადო ფორმით უნდა იყოს შეწყობილი (წითელი ვაშლი, ბავშვი თამაშობს, ღამაზად ცეკვავს...). ამავე დროს, გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება დამხმარე სიტყვებს სინტაქსური მიმართებისათვის (თანდებულებს, კავშირებს), რადგან მათი საშუალებითაც ამყარებს სახელი სინტაქსურ კავშირს სხვა სიტყვასთან (ამ საკითხზე დაწვრილ-

ბით ქვემოთ ვიმსჯელებთ). წინადადებაში გარკვეულ როლს ასრულებენ ნაწილაკებიც.

არნ. ჩიქობავა სიტყვათა სინტაქსური დამოკიდებულების სამ სახეს გამოყოფს, ესაა **შეთანხმება, მართვა და მირთვა**. თითოეულ მათგანს სპეციალური სინტაქსური დანიშნულება აქვს:

**„შეთანხმება** ეწოდება დამოკიდებულების ისეთ სახეს, როცა გაბატონებული მოითხოვს დამოკიდებულისგან ისეთ ფორმას, რომელშიც ის თვითონ არის და რომლის მიხედვით ცვალების უნარი აქვს...

**მართვა** არის დამოკიდებულების ისეთი სახე, როდესაც გაბატონებული მოითხოვს დამოკიდებულისგან ისეთ ფორმას, რომელიც მას თვითონ არა აქვს ამ მომენტში ან არც შეიძლება ქონდეს...

სიტყვა, რომელიც მიერთვის სხვა სიტყვას, იწოდება **მირთულად**. მირთული სიტყვა არც ეთანხმება რომელსამე სიტყვას, არც იმართვის რომელიმე სიტყვის მიერ, იგი, ასე ვთქვათ, შესიტყვების თავისუფალი წევრია. მისი არსებობა შესიტყვებაში გამართლებულია არა სიტყვათა ურთიერთობით, არამედ აზრის საჭიროებით“ [ჩიქობავა 2010: 92-93].

ცალკეა გამოყოფილი მართვის რთული ფორმა – კოორდინაცია (საურთიერთო მართვა), რომელსაც ქმნის რელატიურ-გარდამავალზმნიანი წინადადების მექანიზმი. კოორდინაციულ სისტემაში გაიმიჯნა კოორდინატები (დიდი, მცირე, უმცირესი) თავიანთი სინტაქსური ზემოქმედების მიხედვით იმ წევრთან, რომელთანაც ის შედის შესიტყვებაში (ამაზე დაწვრილებით არ შევჩერდებით) – ესაა პირის ნიშნის, ბრუნვაში მართვისა თუ რიცხვში შეთანხმების საფუძველზე. ამასთან დაკავშირებით არსებობს განსხვავებული თვალსაზრისი, რომ ჩიქობავასეულ კოორდინაციულ სისტემაში **„უფლებელყოფილია ნულოვან ალომორფთა მნიშვნელობა სტრუქტურულ ანალიზში**, სადაც ნულოვან ალომორფებს იგივე მნიშვნელობა აქვთ, რაც მათ ფიზიკურად რეალიზებულ სახეობებს, რომლებიც მაშინ ჩნდება, როცა სამპირიან აქტივებში პირუცვლელია ირიბი დამატება, პირდაპირი კი – პირცვალებადი“ [უთურგაძე 2016: 59].

თანამედროვე სინტაქსურ მიმდინარეობებს შორის მნიშვნელოვანია ე. წ. **სტრუქტურული სინტაქსის** თეორია, რომელიც შემასმენლის მიერ წინადადების სხვა წევრების მართვის მოდელს ემყარება (ლუსიენ ტენიერი).

ზოგი ფორმულირებით სინტაქსური კავშირები იერარქიულია – **ზედა**, მმართველ ელემენტს უკავშირდება **ქვედა**, მართული, დაქვემდებარებული ელემენტი. თუ სიტყვა მართავს ერთზე მეტ ელემენტს, იგი ქმნის **კვანძს** [გამყრელიძე 2008: 253-254].

საენათმეცნიერო ლიტერატურაში მირთვის, როგორც სინტაქსური ურთიერთობის, შესახებ არაერთი თვალსაზრისია გამოთქმული. თავად არნოლდ ჩიქობავას მირთვა „ურთიერთობის ნოლ-ფორმად“ მიაჩნდა. მკვლევარი მას ერთი გარემოების გამო მოიაზრებს შესიტყვების განხილვისას: „მირთვა შორეულ კავშირში იმყოფება მართვასთან, მირთვა ნულამდე დაყვანილი მართვაა; მართვის დასუსტების ხაზით მივდივართ მირთვისაკენ. ამ ხაზზე კი შეიძლება შემოგვხვდეს ისეთი მოვლენები, რომელთა შესახებ ძნელია თქმა, მართვაა იგი თუ მირთვა“ [ჩიქობავა 1968: 120]. ა. დავითიანი კი შენიშნავს, რომ „მირთვა ჰქვია ისეთ დაქვემდებარებას, როდესაც სიტყვათა შეხამებაში დაქვემდებარებული წევრი თავისი გაბატონებულის მოთხოვნას მხოლოდ ლექსიკურად (გრამატიკული უუნარობის გამო – უფორმოდ) აკმაყოფილებს [დავითიანი 1973: 293]. ამდაგვარადვე განიხილავს მას ლ. კვაჭაძეც. გ. ბურჭულაძის თვალსაზრისით, „მართალია, დადებით სინტაქსურ ურთიერთობებთან (როგორცაა მართვა და შეთანხმება) შეპირისპირებისას მირთვაც შეიძლება ჩაითვალოს ურთიერთობის ნოლ-ფორმად, მაგრამ **მირთულ სიტყვას არ შეუძლია ზმნა-შემასმენლებზე რაიმე გავლენის მოხდენა**“ [ბურჭულაძე 1979: 150-151]. კ. გაბუნია აღნიშნავს, რომ არის გარკვეული ტიპი სიტყვებისა (ასე, ისე, როგორც, ძალიან...), რომელთაც არ მოეპოვებათ საპირისპირო ცალი ბრუნვისა თუ რიცხვის კატეგორიების მიხედვით. ამგვარი სიტყვები ფუნქციურად არიან დაკავშირებული წინადადების სხვა წევრებთან, მაგრამ ამ ფუნქციურ კავშირ-ურთიერთობას ფორმოზრივი ასახვის საშუალება არ გააჩნია. ამიტომ წინადადების სხვა წევრებთან სინტაქსურ ურ-

თიერთობას ამ ერთადერთი არსებული ფორმით ამყარებენ. მკვლევარი ამ ფორმებს **სტატიკური მართვის** ერთგვარ სახეობას უწოდებს: „განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ეს დებულება იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ უპირველეს ყოვლისა, სწორედ შეთანხმებისა და მართვის სახეობების მიხედვით განისაზღვრება წინადადების წევრთა, როგორც სინტაქსური ცნებების, სტატუსი – ერთადერთი მკაფიო და სანდო **სინტაქსური კრიტერიუმის** მიხედვით“ [გაბუნია 2016: 48-49].

ჩვენ მირთვას განვიხილავთ სიტყვათა სინტაქსური ურთიერთობის ერთ-ერთ სახედ. მართალია, მირთვისას სიტყვათა შორის გრამატიკული დაკავშირება არ გვაქვს, არც რაიმე გავლენის მოხდენა შეუძლია ზმნა-შემასმენელზე, მაგრამ **შემასმენლის უნარი – მიიერთოს ფორმაუცვლელი სიტყვა გრამატიკული ნიშნის გარეშე, მხოლოდ ფორმოზრივად, მაინც მიგვაჩნია შეკავშირების გარკვეულ სახედ**. დასახელებული შემთხვევები გამოწვეულია იმ ფაქტორით, რომ ფორმაუცვლელ სიტყვებს არ გააჩნიათ გრამატიკული კატეგორიები, თუმცა რამდენადაც **წინადადების წევრები** არიან, აქვთ უნარი იყვნენ შესიტყვების წევრი (და არა სიტყვათა წყება). ეს სინტაქსური შეკავშირების „ნოლ-ფორმა“, სუბორდინაციის ერთ-ერთი სახეა – ფორმაუცვლელი სიტყვა ფორმოზრივად ექვემდებარება გაბატონებულ წევრს (ზმნა-შემასმენელს).

არაერთგზის აღინიშნა, რომ ქართულში სიტყვათა განლაგება შედარებით თავისუფალია. თუმცა წინადადების წევრთა ადგილის შენაცვლებამ სტრუქტურას შეიძლება მხოლოდ სტილისტიკური შეფერილობა შესძინოს, ან ერთ-ერთმა გაწყვიტოს შესაბამის სიტყვასთან სინტაქსური კავშირი და დაუკავშირდეს სხვას: „ლამაზი მხრები გაშალეს მთებმა“ (კალ.). თუ **ლამაზს** გადავსვამთ **მთებთან**, მისი შინაარსი ასეთი იქნება – მხრები გაშალეს ლამაზმა მთებმა. ასეთ შემთხვევაში განსაზღვრება **ლამაზი** მიემართება არა **მხრებს** (პირდაპირ დამატებას), როგორც ეს პირველ წინადადებაშია, არამედ ის სინტაქსურად დაუკავშირდება **მთებს** (ქვემდებარეს). წინადადების წევრის ადგილის შეცვლა ასეთ შემთხვევაში არ ცვლის ასეთი სიტყვის სინტაქსურ ფუნქციას, ის ორივე შემთხვევაში განსაზღვრებაა, მაგრამ შესი-

ტყვებათა გამოყოფისას ენიჭება მნიშვნელობა. პირველ წინადადებაში გამოიყოფა შემდეგი წყვილი – **ლამაზი მხრები**, ხოლო მეორეში კი – **ლამაზი მთები**. მართალია მოყვანილი განსაზღვრება სინტაქსურად სხვადასხვა წევრს დაუკავშირდა და ამის მიხედვით შექმნა შესიტყვება, მაგრამ სინტაქსური ფუნქცია ერთი აქვს. თუმცა შესიტყვებათა სინტაქსური კავშირი ორივე შემთხვევაში ერთია – **შეთანხმება** (ლამაზი მთები, ლამაზი მხრები).

ან კიდევ: ბავშვივით თამაში იცოდა. თუ გამოვყოფთ სინტაქსურ წყვილებს, ასეთ შესიტყვებებს მივიღებთ:

1. ბავშვივით თამაში
2. თამაში იცოდა

უბრალო დამატება მიემართება არა შემასმენელს, არამედ სახელს. თუ ადგილებს ასე შევუნაცვლებთ მას, ასეთ წინადადებას მივიღებთ – თამაში ბავშვივით იცოდა:

1. თამაში იცოდა
2. ბავშვივით იცოდა

ორივე შემთხვევაში **ბავშვივით** ფორმის სინტაქსური ფუნქცია ერთი და იგივეა, ის უბრალო დამატებაა, მხოლოდ სინტაქსურად მიემართება სხვადასხვა წევრს. აქ ყურადღება გასამახვილებელია იმ ფაქტზე, რომ იცვლება ერთი და იგივე სინტაქსური შეკავშირების სახე. პირველი წინადადების შესიტყვებაში (ბავშვივით თამაში), ჩვენი აზრით, სახელებს შორის მართვაა (შუალობითი მართვა), ხოლო მეორე შემთხვევაში (ბავშვივით იცოდა) – ცალმხრივი (სუბორდინაციული) მართვაა სახელსა და ზმნას შორის.

ამ თვალსაზრისების მიხედვით, ზოგჯერ წინადადების წევრის გადასმა ცვლის არამართო სინტაქსურ მიმართებას, არამედ მის სინტაქსურ ფუნქციასაც.

1. ქალი შველივით შემოვიდა
2. შველივით ქალი შემოვიდა

**-ვით** თანდებულიან შესიტყვებაში შესაძლოა დადგეს შედარების ბინალურობის საკითხი: ის გოგო ძმასავით უყვარს – როგორც ძმა უყვარს, თუ როგორც ძმას უყვარს?

დღეს **-ვით** თანდებული თანხმოვანფუძიან სახელებს მართავს სახელობითსა და მიცემითში (კაც-**ო-ვით**, კაც-ს-**ა-ვით**), ხოლო ხმოვანფუძიან სახელებს – მხოლოდ მიცემითში (მიწა-ს-**ა-ვით**). ე. ი. **-ვით** დაერთვის სახელს, თუ ამ უკანასკნელს **ახლავს ისტორიულად ჩვენებითი (განსაზღვრული) ნაწილაკი -ა ან -ო**. რაკი **-ვით**, როგორც თანდებული, მიღებულია **ვითარ** ფორმისაგან, ჩანს, **მას შეუწარჩუნებია მისთვის ამოსავალი თანდებული-ზმნისართის თვისება – იყოს გავრცობილი (ისტორიულად განსაზღვრულ ფორმასთან)** და ეს წესი საბოლოოდ განუზოგადებია: გვხვდება მხოლოდ ე. წ. გავრცობილ ფორმებთან [ბურჟულაძე 1985: 85-87].

**-ვით** თანდებულიანი სიტყვის სინტაქსური ფუნქციის შესახებ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთი თვალსაზრისია გამოხატული. ის ზოგი მკვლევრის მიერ გააზრებულია, როგორც **როგორ** კითხვის სემანტიკის გამომხატველი. ამიტომ **ბავშვივით**, **შველივით...** ფორმები განხილულია არა მსგავსებაშედარების, არამედ ისეთი შინაარსით, რომელიც გამოხატავს მოქმედების პროცესს, ან მოქმედი პირის მდგომარეობას. მას უსვამენ კითხვას **როგორ?** და ამიტომაც ის ჩათვლილია ვითარების გარემოებად.

ჩვენი თვალსაზრისით, **შველივით** სიტყვის ფუნქციის განსასაზღვრად მხოლოდ კითხვის დასმა არ ივარგებს – **როგორი ქალი** შემოვიდა თუ **რასავით ქალი** შემოვიდა? ისე ჩანს, თითქოს პირველ შემთხვევაში **შველივით** ვითარების გარემოებაა (როგორ შემოვიდა? – შველივით შემოვიდა), ხოლო მეორეში – უბრალო დამატება (რასავით ქალი? – შველივით ქალი შემოვიდა). **-ვით** თანდებულიანი ფორმები სინტაქსურ წყვილს ქმნიან არა მხოლოდ შემასმენელთან, არამედ სხვა წევრებთანაც. ამ თვალსაზრისით, ის მკვეთრად განსხვავდება ვითარების გარემოებისაგან. ერთ-ერთი განმასხვავებელი ფაქტორი ზოგადად უბრალო დამატებასა და გარემოებას შორის ისაა, რომ ვითარების გარემოება ზმნიზუდით გადმოიცემა, მირთული წევრი, უბრალო დამატება უპირო ფორმაა და ზედსართავი სახელით შეიძლება გამოიყენებოდეს სხვადასხვა წევრი. გარემოება კი მხოლოდ შემასმენელს

მიემართება [ბურჟულაძე 2013: 45-46]. ერთი რამ ცხადია, შესიტყვება პირველ და მეორე წინადადებაში სხვაგვარად გამოიყოფა: ქალი შველივით შემოვიდა:

1. ქალი შემოვიდა
2. შველივით შემოვიდა

შველივით ქალი შემოვიდა:

1. შველივით ქალი
2. ქალი შემოვიდა

აქ ასეთი სინტაქსური წყვილი ვერ გამოიყოფა – ქალი შველივით; ზოგი თვალსაზრისით, პირველ შემთხვევაში **ვითარების გარემოებაა** და მიემართება ზმნა-შემასმენელს, ხოლო მეორეგან **უბრალო დამატებაა** და **ქალს** მიემართება.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სიტყვებისაგან წინადადებათა შედგენისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ინტონაციასა და ლოკურ მახვილს [კვაჭაძე 2010: 13-14].

ა. დავითიანი აღნიშნავს, რომ ინტონაციის სტრუქტურულად მადიფერენცირებელი როლი განსაკუთრებით ძლიერდება მაშინ, როდესაც დაქვემდებარებულ წევრს ან საერთოდ არ აქვს გრამატიკული ფორმები, ან დაქვემდებარებული წევრი სხვადასხვა გაბატონებულთან საზიარო ფორმით არის წარმოდგენილი: **გუშინ ჩამოსული** ამხანაგი//ვნახე – **გუშინ**//ჩამოსული ამხანაგი **ვნახე** [დავითიანი 1973: 156].

რუსულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ვ. ვინოგრადოვი მიიჩნევდა, რომ შესიტყვებას განსაზღვრავდა ინტონაცია. მისი აზრით, სინტაგმა, რომელიც წინადადებაში გამოიყოფა გარკვეული ინტონაციით, შესიტყვებასაც გულისხმობს, რადგანაც „ცნება სინტაგმის შესახებ არ გამორიცხავს ცნებას სიტყვათშეერთების შესახებ“. ა. კიზირია მიიჩნევს, რომ თუ შესიტყვებას საფუძვლად დავუდებთ ინტონაციას და მასში მოვიაზრებთ სიტყვასაც, სიტყვათშეერთებასაც და წინადადებასაც კი, მაშინ სინტაგმა ჩამოშორდება სინტაქსს, რადგან ინტონაციის გამოყოფის საფუძველი ფონეტიკური პრინციპია. ასეთ შემთხვევაში მეცნიერი გულისხმობს ერთ სიტყვას, სადაც შესიტყვება გამორიცხულია, თვით

შესიტყვებასა და მთელ წინადადებასაც, სადაც სიტყვათშეერთების სხვადასხვა სახე გვაქვს [კიზირია, 1954: 209-210].

არნ. ჩიქობავა შენიშნავს, რომ ინტონაცია არ არის ფორმალურ-ენობრივი ნიშანი, ის ფსიქიკურ-ენობრივია. ენობრივ მოვლენათა აღწერისას მისი გათვალისწინება არც საჭიროა და არც შესაძლებელი – ამ ნიშნის მიხედვით ყოველგვარი საშუალება მოგვესპობოდა შესიტყვება გაგვეჩია სიტყვისაგან, ფორმიანი სიტყვა – უფორმოსაგან, უფორმო – ნაწილაკისაგან, ნაწილაკი – შორისდებულისაგან. მკვლევარი იქვე დასძენს, რომ ყოველი ინტონაცია არ არის ფსიქიკურის გამოვლინება, ზოგი ფორმის მაგვირობას ეწევა [ჩიქობავა 1868: 108-109].

ვფიქრობთ, რომ აქაც ეს ფაქტორი არ იწვევს გავლენას მათ სინტაქსურ ფუნქციაზე, მან შესაძლოა იმოქმედოს იმაზე, თუ რა წევრს მიემართებოდა ის.

ავტორთა უმრავლესობა ადრეულ წლებში შესიტყვების განსაზღვრისას ემყარებოდა ფონეტიკურ პრინციპებს. ფ. დე-სოსიურის თვალსაზრისით, სინტაგმის ცნება მოიცავს არამართო სიტყვებს, არამედ სიტყვათა შეერთებასაც, ყოველი ზომისა და სახის რთულ ერთეულებს, ფრაზის ნაწილს, მთელ ფრაზას. ა. კიზირია მართებულად მიიჩნევს, რომ სინტაგმის სოსიურისეული გაგება მიუღებელია, რადგან იგი სცილდება სინტაქსის ფარგლებს [კიზირია, 1954: 206].

სინტაქსური წევრების გამოყოფის შესახებ მნიშვნელოვანი დებულება აქვს გამოთქმული ანტონ კიზირიას. მისი აზრით, „სინტაქსური ჯგუფი“ არ შეიძლება საფუძვლად დაედოს სინტაგმას (როგორც ამას თავის დროზე ი. მეშჩანინოვი მიიჩნევდა), ის უცხოა სინტაქსისათვის. წინადადებაში ერთმანეთთან სინტაქსურად დაკავშირებულია ორი სიტყვა და არა სიტყვათა მთელი კომპლექსი, რომელიც ასეთ ჯგუფს ედება საფუძვლად [კიზირია 1954: 212]. სიტყვათა შეკავშირება ივარაუდება მხოლოდ წინადადებაში შემავალ ორ წევრს შორის.

საბოლოოდ, გამოტანილია მნიშვნელოვანი დასკვნა:

**1. წინადადებაში სიტყვათა შეკავშირების წესების დადგენისათვის მნიშვნელობა აქვს სინტაგმის მართებულ გაგებას.**

2. სინტაგმა უმცირესი სინტაქსური ერთეულია, რომელიც ემყარება ორ სიტყვას შორის სინტაქსურ ურთიერთობას. ასეთი ურთიერთობა გამოიხატება შეთანხმებით, მართვითა და მართვით.

3. სინტაგმის, როგორც სინტაქსური ერთეულის, საფუძველია სინტაქსური მონაცემი. ის ემყარება სიტყვათა ფორმალურ დამოკიდებულებას, რომელიც ვლინდება აფიქსიან ენაში აფიქსების საშუალებით [კიზირია 1954: 214].

საინტერესოა მიმართვისფორმიანი სიტყვების სინტაქსური საკითხი. სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა წოდებითის სინტაქსური ძალის შესახებ. ვ. თოფურას აზრით, ის „არ იმართვის არც ზმნის, არც სახელისა და არც თანდებულის მიერ... მართვის საფუძველზე სინტაქსური კავშირის არ არსებობის გამო მძიმით ან მახილის ნიშნით გამოიყოფა წინადადებაში“ [თოფურია 1996: 46]. წოდებითის ძირითად განმასხვავებელ ფაქტორად მეცნიერი მიიჩნევს მის წინადადების წევრებთან სინტაქსური კავშირის უქონლობას. როგორც ცნობილია, არნ. ჩიქობავამ პირველმა არ შეიტანა წოდებითი ბრუნვათა რიგში სწორედ სინტაქსური თვალსაზრისის გამო. ა. შანიძე კი მიიჩნევს, რომ ჩემო კარგო მეგობარო ტიპის შემთხვევებში სახელებს შორის ისეთივე ურთიერთობაა, როგორც ჩემმა კარგმა მეგობარმა სახის ფორმებში. მკვლევრის შეხედულებით, ასეთი ურთიერთობა (ჩემო კარგო მეგობარო) შეთანხმებაა და რადგან ის სინტაქსური კავშირის ერთ-ერთი სახეა, ამიტომ მას აქვს სინტაქსური ძალა [შანიძე 1956: 49].

ვფიქრობთ, წოდებით ბრუნვაში დასმული სახელი აზრობრივად უკავშირდება შესაბამის სახელს. ასეთ შემთხვევებში შეთანხმება ბრუნვაში ფორმობრივია, ის მიმართვის ფორმაა, ამიტომ არ გამოვყოფთ შესიტყვებად.

ა. კიზირია მართებულად სვამს კითხვას: რა ქმნის სინტაგმას – წინადადების წევრთა შეერთება თუ მეტყველების ნაწილთა შეერთება საერთოდ? თუ ამოვალთ იქიდან, რომ სინტაგმა ემყარება საერთოდ მეტყველების ნაწილთა შეერთებას, მაშინ სინტაგმების შექმნაში მონაწილეობას მიიღებენ ნაწილაკებიცა და თან-

დებულებიგ [კიზირია 1954: 213]. შენიშნულია, რომ ცალკე ნაწილაკები ან თანდებულები არ შეიძლება დაუკავშირდნენ სინტაგმურად სხვა დანარჩენ წევრებს. „ისინი იმ სიტყვებთან ერთად, რომელთაც ერთვიან, უკავშირდებიან სხვა სიტყვას და მთლიანად წარმოადგენენ სინტაგმის კომპონენტს“ [კიზირია 1954: 214].

ქართულში სინტაქსური კავშირის დასამყარებლად მნიშვნელობა აქვს თანდებულის საკითხსაც. საქმე ეხება განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებს, როცა თანდებულად ზმნიზედაა გამოყენებული. მიჩნეულია, რომ ასეთი თანდებული არ ჩაითვლება შესიტყვების წევრად (ა. კიზირია, ლ. კვაჭაძე, ლ. გეგუჩაძე...). იგი სინტაგმის წევრია მხოლოდ იმ სიტყვასთან ერთად, რომელსაც ის ერთვის. თუმცა იგივე თანდებული თუ თავისივე დანიშნულებითაა წინადადებაში, მაშინ ის ქმნის შესიტყვებას, როგორც წინადადების წევრი. მაგალითად: ბიჭი მდინარის წინ გაშლილ ხეობაში წამოგვეწია. მოყვანილ წინადადებაში სინტაქსური კავშირი შემდეგ სიტყვებს შორის იქნება:

1. ბიჭი წამოგვეწია
2. მდინარის წინ წამოგვეწია
3. გაშლილ ხეობაში
4. ხეობაში წამოგვეწია

შესიტყვებაში **მდინარის წინ; წამოგვეწია წინ** არა დამოუკიდებლად, არამედ ნათესაობითი ბრუნვის ფორმასთან ერთად შევიდა წყვილში (მდინარის წინ). მაგრამ წინადადებაში – ისინი წინ მიიწევდნენ – **წინ** დამოუკიდებელი მნიშვნელობითაა, აქ ის ადგილის გარემოებაა და ამიტომ ცალკე შევა შესიტყვების წევრად:

1. ისინი მიიწევდნენ
2. წინ მიიწევდნენ

წინადადებაში გამოიყოფა სინტაქსური წყვილები, ანუ ისეთ სიტყვათა წყება, რომლებიც ერთმანეთთან გარკვეულ დამოკიდებულებაში არიან. მათი შესწავლა კი გულისხმობს იმის გაანალიზებას, თუ რა სახის სინტაქსური ურთიერთდამოკიდებულებაა მათ შორის. ნებისმიერი სინტაქსური ჯგუფი არ შეიძლება საფუძვლად დაედოს სინტაგმას. ისაა უმცირესი სინტაქსუ-

რი ერთეული, რომელიც ემყარება ორ სიტყვას შორის სინტაქსურ ურთიერთობას. ასეთი ურთიერთობა კი, როგორც ცნობილია, გამოიხატება შეთანხმებით, მართვით ან მირთვით. სინტაგმას ქმნიან ერთმანეთთან შეკავშირებული სიტყვები, შეკავშირება კი მხოლოდ წყვილებს შორის შეიძლება არსებობდეს [კიზირია 1954: 241].

სიტყვათშეკავშირება შედგენილობის მიხედვით სხვადასხვა სახისა შეიძლება იყოს. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ შესიტყვებაში შეიძლება შედიოდეს: 1. სახელი და სახელი; 2. უფორმო სიტყვა და სახელი; 3. უფორმო სიტყვა და ზმნა; 4. სახელი და ზმნა. როგორც ზემოთაღნიშნულთაგან, არანაირი ჩიქობავა შენიშნავს, რომ ყველაზე მეტი შესაძლებლობა ამ თვალსაზრისით სახელსა და ზმნას მოეპოვება, რადგან ისინი ფორმით ყველაზე მრავალფეროვანნი არიან. შესაბამისად, მათ ურთიერთდამოკიდებულებაში ყველაზე რთული სინტაქსური ურთიერთობაა [ჩიქობავა 2010: 99]. მკვლევარი მიიჩნევს, რომ სინტაგმებში (შესიტყვებებში) ორი ძირითადი ტიპი გამოირჩევა – ატრიბუტული და პრედიკატული. ერთი შედგება მხოლოდ სახელებისაგან, მეორეს ზმნა და სახელი (ანდა სახელები) ქმნიან. სახელები-საგან შემდგარი სინტაგმა ატრიბუტულია, ხოლო როცა ზმნა და სახელია სინტაქსურად დაკავშირებული, ვიღებთ პრედიკატულ სინტაგმას [ჩიქობავა 1979: 185-186].

„სინტაქსური მიმართების ძირითადი ენობრივი საშუალებებია: ფორმა სიტყვისა, დამხმარე სიტყვები, სიტყვათა განლაგება (რიგი) და ინტონაცია“ [კვაჭაძე 1996: 11]. ამასთან ერთად სინტაქსური კავშირისათვის ქართულ ენაში ძირითადი მნიშვნელობა ენიჭება სიტყვის გრამატიკულ ფორმას. როგორც ცნობილია, შესიტყვებათა მიმართებაში გარკვეულ როლს თამაშობენ თანდებულებიც. მათი მეშვეობით სახელი ამყარებს სინტაქსურ კავშირს სხვა სიტყვასთან.

სიტყვათა სინტაქსური დამოკიდებულება სხვადასხვაგვარია: ზოგჯერ სინტაგმის ერთი წევრია გაბატონებული და მეორე – მასზე დაქვემდებარებული, ანუ ცალმხრივი დაქვემდებარებაა (სუბორდინაცია), ზოგჯერ კი სინტაგმებში უფრო რთული ურ-

თიერთმიმართებაა, როცა დაქვემდებარება საურთიერთოა, ორ-მხრივი (კოორდინაცია) [კვაჭაძე 1996: 19].

სინტაგმათა შედგენილობა სამგვარია. გამოიყოფა სამი ძირითადი ტიპი: სახელური, ზმნური და ზმნიზედური. როგორც აღნიშნავენ, სახელურ სიტყვათა შეკავშირება თავის მხრივ ოთხგვარია: სუბსტანტიური, ადიექტური, რიცხვითსახელური და ნაცვალსახელური [კვაჭაძე 1996: 34]. სიტყვათშეხამებაში სინტაქსური ურთიერთდამოკიდებულების სახეებია შეთანხმება, მართვა თუ მირთვა. ა. დავითიანი მიიჩნევს: ის „არაა არც წმინდა სინტაქსური, არც წმინდა მორფოლოგიური, არც წმინდა ლექსიკურ-სემანტიკური ოდენობა. ჩვენ იგი მივიჩნიეთ შუალედურ ენობრივ ერთეულად ლექსიკურ-მორფოლოგიურსა და სინტაქსურ დონეთა შორის: ლექსიკურ-მორფოლოგიური დონის მაღალი რიგის, ხოლო იმავე დროს სინტაქსური დონის დაბალი რიგის ერთეულად“ [დავითიანი 1973: 251]. აქვე შევნიშნავთ, რომ ჩვენთვის ეს მოსაზრება არაა მართებული – **სინტაგმებში თანაბარია ლექსიკურ-მორფოლოგიური და სინტაქსური დონე**. ერთიმეორის გარეშე შეუძლებელია სინტაქსური წყვილის გამოყოფა. წყვილის წევრები ერთმანეთს უკავშირდებიან გარკვეული გრამატიკული (სინტაქსური) თუ აზრობრივი ნიშნით. სწორედ ამიტომაც, რომ ნებისმიერი სინტაქსური ჯგუფი არ შეიძლება დაედოს საფუძვლად სინტაგმას, აუცილებელია, რომ ისინი ერთმანეთს **სინტაქსური** (ამასთანავე, აზრობრივიც) **ნიშნით** უკავშირდებოდნენ.

ყოველივე ზემოთქმულიდან ჩანს, რომ სინტაგმათა გამოყოფის პრინციპები სამეცნიერო ლიტერატურაში შემუშავებულია, თუმცა ზოგ შემთხვევაში გარკვეული ფორმები დასაზუსტებელი და გასაანალიზებელია. ყურადღებას შევაჩერებთ ისეთ სინტაქსურ წყვილებზე, რომლებშიც ორივე წევრი სახელია და ამათგან ერთი თანდებულიანი ფორმითაა წარმოდგენილი. მაგალითად: დიდ ბალიშში ჩარგო თავი; ვიწრო გზაზე გაიარა; ჭრელი კაბისათვის არც შეუხედავს; მანქანა პატარა მოსახვევამდე გააჩერა. მოყვანილ მაგალითებში ჩვენ გამოვყოფთ სინტაგმებად შემდეგ სიტყვათშეკავშირებებს: **დიდ ბალიშში, ვიწრო გზაზე**.

**ჭრელი კაბისათვის, პატარა მოსახვევამდე.** ჩვენთვის ისინი შესიტყვებებია, რადგან მათ შორის არის როგორც აზრობრივი, ისევე სინტაქსური კავშირი. აქ მათ შესაბამისი გრამატიკული გამოხატულება აქვთ. ზოგადად, თანდებული უკავშირდება რომელიმე გარკვეულ ბრუნვას, ანუ ესა თუ ის თანდებული, რომელსაც თავად საერთოდ არა აქვს ბრუნვის კატეგორია, სახელისაგან მოითხოვს ამა თუ იმ ბრუნვას [გეგუჩაძე: 22]. ერთი მხრივ, **-ში, -ზე** თანდებულიანი სახელის შემთხვევაში სინტაგმის პირველი წევრი შესაბამის მიცემით ბრუნვაში დგას, **-თვის** თანდებულიანი სახელთან – ნათესაობით ბრუნვაში, ხოლო **-მდე** თანდებულის შემთხვევაში ვითარებითის ფორმითაა, ასევე **-დან** თანდებულისას შესაბამისი წყვილის წევრი მოქმედებითი ბრუნვითაა წარმოდგენილი. მეორე მხრივ კი, მათთან დაკავშირებული სინტაგმის მეორე წევრი სათანადო ბრუნვითაა ასახული:

მართალი კაცი**ვით** – ორივე სახელობით ბრუნვაშია

ლამაზ შენობას**თან** – ორივე მიცემით ბრუნვაშია

დიდ ბალიშ**ში** – ორივე მიცემით ბრუნვაშია

ვიწრო გზა**ზე** – ორივე მიცემით ბრუნვაშია

ჭრელი კაბისა**თვის** – ორივე ნათესაობით ბრუნვაშია

მაღალი ქალისა**გან** – ორივე ნათესაობით ბრუნვაშია

ვიწრო ქუჩისა**კენ** – ორივე ნათესაობით ბრუნვაშია

უზარმაზარი სახლი**დან** – ორივე მოქმედებით ბრუნვაშია

პატარა მოსახვევ**ამდე** – ორივე ვითარებით ბრუნვაშია

რა სინტაქსური კავშირია მოყვანილ შესიტყვებათა შორის? წარმოდგენილია ერთი ბრუნვისნიშნისანი სახელი და მეორე თანდებულდართული ფორმა. მართალია მოყვანილ შესიტყვებებში ორივე სახელი ერთი ბრუნვითაა წარმოდგენილი, მაგრამ ეს ბრუნვაში შეთანხმების შემთხვევა არაა, რადგან მეორე თანდებულიანი წევრია და, ამასთანავე, გარემოებაა. ვფიქრობთ, დასახელებულ სინტაგმებში **მირთვია – უთანდებულო სახელს მიერთვის თანდებულდართული წევრი** (გარემოება). სამეცნიერო ლიტერატურაში განიხილავდნენ მირთვის ისეთ შემთხვევებს, როცა ზმნას მიერთვოდა უფორმო სიტყვა – ზმნიზედა, ან ზმნიზედის წყებაში ჩამდგარი თანდებულიანი სახელი. სახელი წამყვან სი-

ტყვად წარმოდგენილია **ძალიან დიდი, ოდნავ წითელი, უფრო ნელა** ტიპის ფორმებში. მკვლევრები შენიშნავენ, რომ ზმნიზედა, გარდა ზმნისა, შეიძლება მიერთოს ზმნიზედასაც და ზედსართავ სახელსაც: **მეტისმეტად გონიერი, ძალიან გვიან** [გეგუჩაძე 2010: 27]. ვფიქრობთ, ჩვენ მიერ დასახელებულ სინტაგმებში სწორედ მსგავსი შემთხვევები გვაქვს. გარდა ამისა, მოყვანილი სიტყვათშეკავშირებები სინტაქსური წყვილებია იმ პრინციპის მიხედვითაც, რომ მასში შემავალი კომპონენტები წინადადების წევრები არიან. ამიტომაცაა, რომ თუ ისინი გვხვდება, მაგალითად, მართვით წინადადებაში, ტრადიციულად, წინადადების რამდენი წევრიცაა, ერთზე ნაკლები სინტაგმა გამოიყოფა:

ის მართალი კაცივით იქცევა (წინადადება ოთხი წევრისაგან შედგება):

1. ის იქცევა
2. კაცივით იქცევა
3. **მართალი კაცივით**

ან კიდევ:

მანქანამ პატარა მოსახვევამდე ძლივს მიაღწია (წინადადებაში ხუთი წევრია):

1. მანქანამ მიაღწია
2. **პატარა მოსახვევამდე**
3. მოსახვევამდე მიაღწია
4. ძლივს მიაღწია

მოყვანილ ნიმუშებში ჩვენ არ გამოვყოფთ სამწევრა შესიტყვებებს: **მართალი კაცივით იქცევა ან პატარა მოსახვევამდე მიაღწია...** მართალია, ზოგადად სინტაქსურ წყვილებში გვხვდება სამწევრა ფორმები (ხის ქვეშ დაჯდა, კაკლის გვერდზე თამაშობდნენ...), მაგრამ, როგორც ცნობილია, ისინი იმიტომ გამოიყოფა ერთ სინტაგმად, რომ „ნაწილაკები და თანდებულები წინადადების ცალკე წევრებად არ გამოიყოფიან, ამიტომ ისინი სინტაგმის კომპონენტები არ შეიძლება იყვნენ“ [კიზირია 1954: 213]. თანდებულები და თანდებულების ფუნქციით გამოყენებული სახელები კი არიან არა წყვილის ცალები, არამედ – წყვილის ცალის შემადგენელი ნაწილები [გეგუჩაძე 2010: 23]. ჩვენს შემთხვევებში

თანდებულები შერწყმულია და სათანადო სახელთან ერთად დამოუკიდებლად იღებენ მონაწილეობას შესიტყვების სინტაქსურ ურთიერთობაში.

ცხადია, აქ დადგება უბრალო დამატების საკითხიც. თუ მოყვანილი ტიპის სინტაგმებში მეორე თანდებულიანი წევრი **უბრალო დამატებაა** (ჰრელი კაბისათვის, საინტერესო ფილმისათვის...), მაშინ ისინი **მართულ-შეთანხმებულნი** იქნებიან – შესიტყვების პირველი წევრი იმ ბრუნვაშია, რომელშიც მეორე და ამავე დროს თანდებული მართავს სახელს ნათესაობით ბრუნვაში (კაბ-ის-ა-თვის, ფილმ-ის-ა-თვის). აქ შუალობითი მართვაა. გარდა ამისა, შესიტყვების წევრებს შორის შეთანხმება ბრუნვაში: ჰრელ-ო კაბ-ის-ა-თვის (ორივე ნათესაობით ბრუნვაშია). საკითხისადმი მიდგომა ისეთივეა, როგორც მოყვანილ თანდებულიან წევრთა ზმნასთან მიმართებისასა – გარემოება მიერთვის ზმნას, უბრალო დამატებასა და ზმნა-შემასმენელს შორის მართვაა. შესიტყვებებიც შესაბამისად გამოიყოფა:

**მას საინტერესო ფილმისათვის უყურებია** (წინადადება ოთხი წევრისაგან შედგება):

1. მას უყურებია
2. საინტერესო ფილმისათვის
3. ფილმისათვის უყურებია

ჩვენ ვემხრობით იმ ავტორებს (ა. კიზირია, ლ. კვაჭაძე), რომელთაც მიაჩნიათ, რომ მართვა-შეთანხმების ფორმებში ნათესაობითის ფორმა მართვით არის გამოწვეული, მიცემითისა – შეთანხმებით. ოღონდ ჩვენ მიერ მოხმობილ მაგალითებში საქმე გვაქვს არა ამ ტიპის მართვა-შეთანხმებასთან, არამედ ისეთ შემთხვევებთან, როცა აშკარაა ბუნვაში შეთანხმება, ხოლო შესიტყვების მეორე წევრის თანდებული მართავს სახელს ბრუნვაში (შუალობითი მართვა).

შინაგანი მართვის შესახებ არსებობს მოსაზრება, რომ ის არ შეიძლება განხილულ იქნეს სინტაქსური დონის მოვლენად, რადგან სინტაქსური მოვლენა მხოლოდ წევრთა შორის ურთიერთობას გულისხმობს. თანდებულიანი სახელი კი ერთ ფუნქციურ ერთეულად, ანუ წინადადების ერთ წევრად გვევლინება. ამ

მხრივ განსხვავებულია ზმნიზედები, რომლებიც თავიანთი ძირითადი ფუნქციის გარდა ხშირად თანდებულთა როლშიც წარმოდგებიან ხოლმე [დავითიანი 1973: 289]. ჩვენი თვალსაზრისით, შუალობითი მართვა სინტაქსური მოვლენაა. მართალია თანდებული ცალკე ფუნქციური ერთეული არაა და სახელთან ერთად წარმოდგება ერთ წევრად, მაგრამ სწორედ ის იწვევს მართვას, მოითხოვს ამა თუ იმ ბრუნვას (და არა ნებისმიერს) და მისი საშუალებით ხორციელდება სინტაქსური კავშირი შესაბამის სახელთან. ამიტომ ჩვენ მიერ მოყვანილი ტიპის მაგალითებში დადასტურებულ შესიტყვებებში **სინტაქსური კავშირია**.

სადავოდ დარჩება ისეთი ფორმები, როცა ჭირს დაზუსტებით იმის თქმა, თანდებულიანი სახელი გარემოებაა თუ უბრალო დამატება. მაგალითად, **დიდ ბალიშში**. რა კითხვა დავუსვათ მას – **რაში** ჩარგო თავი თუ **სად** ჩარგო თავი? რაკი ასეთ შემთხვევებში საკითხისადმი სუბიექტური მიდგომაა, მაშინ პირველ შემთხვევაში **მარულ-შეთანხმებულია** სინტაქსური კავშირი (ბალიშში – რაში? უბრალო დამატება) ხოლო მეორე შემთხვევაში – **მირთვა** (ბალიშში – სად? ადგილის გარემოება).

ასევე სადავოა **-კენ** თანდებულიანი სახელთა საკითხიც. მართალია ის ყველა შემთხვევაში მიმართულებას გამოხატავს, მაგრამ გარემოების გარდა უბრალო დამატებადაც გვევლინება ხოლმე. შენიშნავენ, რომ **-კენ** თანდებულიანი სახელი უბრალო დამატებად უნდა მივიჩნიოთ მაშინ, თუ იგი მიუთითებს: ა) არასივრცულ გადაადგილებას, ბ) სივრცულ გადაადგილებას სულიერი ყველა და არასულიერი ისეთი საგნებისაკენ, რომელთაც სივრცეში მასშტაბური ორიენტირის მნიშვნელობა არ აქვთ [კოშორიძე 1985: 121]: ხელყოფისაკენ, თავისუფლებისაკენ... მაგრამ ტყისკენ, სასახლისაკენ გარემოებაა. ამის მიხედვით დადგინდება მათ შორის სინტაქსური კავშირი – თუ წყვილში სახელთან **-კენ** თანდებულიანი წევრი გარემოებაა, მაშინ მათ შორის მირთვაა, ხოლო **-კენ** თანდებულიანი უბრალო დამატების შემთხვევაში – მართვა:

**დაბურული ტყისაკენ** წავიდა – მირთვა

**სრული თავისუფლებისაკენ** მიილტვოდა – მართვა-შეთანხმება.

ბოლო წლებში სამეცნიერო ლიტერატურაში გაჩნდა ახალი თვალსაზრისი თანდებულიანი სახელების გარემოების ფუნქციის შესახებ. ტრადიციული გაგებით, პირმიუმართავი დამატების გარდა, თანდებულს ირთავს ზოგი სახის გარემოება: სახლში, გაზზე, ქუჩაში, მხეცივით, დილიდან, შენობისაკენ... მათი სინტაქსური ფუნქციის გარკვევისას აღნიშნულია, რომ „როდესაც ლაპარაკია სინტაქსური მიმართების ისეთ სახეზე, დაქვემდებარებულ სიტყვას რომ ფორმაუცვლელად მიიჩნევს, დაუშვებელია გარემოებას მივაკუთვნოთ ბრუნვის ნიშანდართული სახელი“. გარდა ამისა, შეუძლებელია მსჯელობა ამ რიგის წევრთა სინტაქსური დამოკიდებულების „ნოლ-ფორმის“ შესახებ. მკვლევრის აზრით, სახელის ამა თუ იმ ბრუნვის ფორმით წარმოდგენილი გარემოება წინადადების მართული წევრი ვერ იქნება. იგი შეიძლება ზმნა-შემასმენელთან იყოს მხოლოდ **სტატიკური მართვის** დამოკიდებულებაში. მიჩნეულია, რომ ზმნა-შემასმენელსა და სახელის ამა თუ იმ ბრუნვით (თანდებულთ ან უთანდებულოდ) წარმოდგენილ წევრს შორის, გარემოებას გამოხატავს იგი თუ უბრალო დამატებას – სინტაქსური ნიშნის მიხედვით არანაირი სხვაობა არ ჩანს (ჩანს მხოლოდ შინაარსობრივი დიფერენციაცია) [გაბუნია 2016: 139-141].

თანდებულიან გარემოებათა შესახებ მსჯელობისას თ. ვაშაკიძე დაასკვნის, რომ გარემოება, რომელიც წარმოდგენილია სახელის ამა თუ იმ ბრუნვის ფორმით (უთანდებულო, შერწყმულ-თანდებულიანი თუ ცალკე მდგომი თანდებულთ) ყოველთვის მართული იქნება ზმნა-შემასმენლის მიერ. „ამ ტიპის შემთხვევები შეიძლება განვიხილოთ, როგორც მართვის ერთ-ერთი სახეობა – **ნულამდე დაყვანილი მართვა**, მაგრამ – მაინც მართვა“ [ვაშაკიძე 2012: 70].

წარმოდგენილ შემთხვევებში ზმნა-შემასმენელი მართავს სახელს სხვადასხვა ბრუნვის ფორმით. აღნიშნულია, რომ წინადადების ერთი და იგივე წევრი (კერძოდ, გარემოება), შესაძლოა ერთ შემთხვევაში **მართული** იყოს ზმნა-შემასმენლის მიერ, ხოლო სხვა შემთხვევაში **მართულია** იმის მიხედვით, თუ რა მეტყველების ნაწილით არის იგი გამოხატული – პირველადი

ზმნისართითა თუ ზმნისართის ფუნქციით გამოყენებული სახელის თანდებულიანი ან უთანდებულო ფორმით – **შევიდა სახლში** და **შევიდა იქ** [ვაშაკიძე 2012: 68].

სამეცნიერო ლიტერატურაში **სამწევრა სახელურ შესიტყვებად** მიიჩნევა **წყლით სავსე ჭიქა** ტიპის ფორმები, რომლებშიც კონსტრუქციის ბირთვის, ე. ი. მთავარი წევრის (საზღვრულის) სატელიტად (მსაზღვრელად) უბრალოდამატებიანი მიმღეობა გვაქვს [კარტოზია 1996: 121]. მსგავსი ფორმებია: **შეშით დატვირთული ურემი, მსხლით გადაპენტილი ეზო, თოვლით დაფარული მიწა, ტალახით მოსვრილი კიბე, გასაღებით დაკეტილი კარი, ბურთით მოთამაშე ბავშვი**; ასეთივეა ვითარებითი ბრუნვით წარმოდგენილი შემდეგი შესიტყვებები: **მოყვრულად მოსული მტერი, გმირულად დაცემული ჯარისკაცი, ზღაპრად გაგონილი ამბები, ცხადად ნანახი სიზმარი, ნაზად გადაშლილი ყვავილი...**

როგორც ცნობილია, სახელზმნებს სახელის ნიშნებიცა აქვთ და ზმნისაც. ისინი მათთან დაკავშირებულ სიტყვებთან ავლენენ როგორც სახელურ, ისე ზმნურ სინტაქსურ ძალას – ერთი მხრივ, შეთანხმება და სახელური მართვა, მეორე მხრივ, ზმნური მართვა და მირთვა [კარტოზია 1996: 122].

დასახელებულ შემთხვევებში სამწევრა შესიტყვებები იმიტომ გვაქვს, რომ საზღვრულს მთლიანად, ერთიანობაში განსაზღვრავს ორი მსაზღვრელი (შეშით დატვირთული, მსხლით გადაპენტილი, ცხადად ნანახი, მოყვრულად მოსული).

ჩვენ ვიზიარებთ ზემოაღნიშნულ შეხედულებებს იმ თვალსაზრისით, რომ მეთოდოლოგიური იმანენტიზმის პრინციპიდან ამოსვლით, თანდებულდართული გარემოება სტრუქტურულად არ არის სხვა სახის (უთანდებულო) გარემოების მსგავსი (ისეთებისა, როგორებიცაა **სწრაფად, ხვალ...**). შესაძლოა, მართლაც დავუშვათ მათ შორის შინაგანი სინტაქსური კავშირი და არა მხოლოდ აზრობრივი, გარკვეული ტიპის მართვის სახით შეკავშირება.

სინტაქსურ წყვილად გამოიყოფა **ლამაზად კერვა, უცბად წასვლა, მოულოდნელად გამოჩენა** ტიპის შესიტყვებებიც: დედამ **ლამაზად კერვა** იცოდა, მან **უცბად წასვლა** გადაწყვიტა, მას-

წავლებელმა **მოულოდნელად გამოჩენა** იცოდა... ზმნა ფართო მნიშვნელობით, როგორც ცნობილია, სახელზმნებსაც გულისხმობს, რომლებიც დაქვემდებარებულ წევრებს პირიანი ფორმებით იკავშირებენ. განსხვავება მათ შორის მინიმალურია [კვაჭაძე 1996: 35]. ამიტომ სახელზმნურ სიტყვათა შეკავშირებები სამეცნიერო ლიტერატურაში ცალკე არ განხილულა. ზემოთ მოყვანილ ფორმებში შესიტყვების წევრებად წარმოდგენილია გარემოება და სახელზმნა. მოყვანილი ფორმები სინტაგმებია, რომელთა წევრებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია არა მხოლოდ შინაარსობრივად, არამედ სინტაქსურადაც. მათ შორის სინტაქსური კავშირი მირთვაა – სახელი (გარემოება – ლამაზად, უცბად, მოულოდნელად) მიერთვის სახელზმნას (კერვა, წასვლა, გამოჩენა). აქაც მარტივი წინადადების წევრების ერთით ნაკლები სინტაგმა გამოიყოფა:

დედამ ლამაზად კერვა იცოდა

1. დედამ იცოდა
2. ლამაზად კერვა
3. კერვა იცოდა

მსგავს შემთხვევებშიც არ გამოვყოფთ სამწევრა სინტაგმას: **ლამაზად კერვა იცოდა...**

სამეცნიერო ლიტერატურაში მართვის ერთ-ერთ სახედ სახელსა და სახელს შორის მიჩნეული იყო **აგურის სახლი** ტიპის შესიტყვებები. აღინიშნებოდა, რომ მართული სახელი ასეთი სახის შეკავშირებისას არის ბრუნვადი სახელი (ჩვენ მიერ დასახელებულ შემთხვევაში **სახლი**), რომელიც მოითხოვს მეორე წევრისგან ყველგან ნათესაობით ბრუნვას.

მართვაა **ფანქრით ხატვა, წყლით წუწაობა, ჩანთით სიარული...** ტიპის შემთხვევებში: **ფანქრით ხატვა** დაიწყო, **ფანქრით ხატვამ** გაიტაცა, **ფანქრით ხატვას** ავალებდა, **ფანქრით ხატვით** გაიტყვა სახელი. ვფიქრობთ, მართვის ეს ტიპი ისეთივე შემთხვევაა, როგორც გვაქვს **ტყის ჰაერი, აგურის სახლის** სახის შესიტყვებებში. აქ მმართავი წევრი სახელზმნაა (ხატვა), ხოლო მართული – სახელი. შესიტყვების მეორე წევრი მოითხოვს, რომ პირველი სულ მოქმედებით ბრუნვაში იდგეს:

წყლით წუწაობა დაიწყო  
წყლით წუწაობა-მ გაიტაცა  
წყლით წუწაობა-ს შეუდგა  
წყლით წუწაობ-ის სურვილი აქვს  
წყლით წუწაობ-ით გაიყვანა დრო

ცხადია, მმართველი ანუ გაბატონებული წევრია **წუწაობა**, ხოლო **წყლით** – მასზე დამოკიდებული.

სინტაქსური კავშირი ასევე მყარდება ვითარებით ბრუნვაში დასმულ სახელსა და სახელზმნას შორის. მაგალითად, დავაჯგუფოთ სიტყვები **ლამაზად ცურვა**. შესაძლებელია მისი ყველა ბრუნვაში გამოყენება:

ლამაზად ცურვა იცოდა  
ლამაზად ცურვა-მ გაიტაცა  
ლამაზად ცურვა-ს შეეცადა  
ლამაზად ცურვ-ის სურვილი აქვს  
ლამაზად ცურვ-ით გაითქვა სახელი (არ დასტურ-

დება მოქმედებითბრუნვიანი ფორმები).

ნათელია, რომ აქაც ისეთივე ვითარება გვაქვს, როგორც ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვებში დასმული მსაზღვრელი სახელის შემთხვევაში გვქონდა (ტყის ჰაერი, წყლით წუწაობა...). **ლამაზად ცურვა** შესიტყვებაში სახელზმნა მოითხოვს სახელს სულ ვითარებით ბრუნვაში, მართავს მას ვითარებით ბრუნვაში (ცალმხრივი მართვა).

მაშასადამე, სახელებში გამოიყოფა სინტაქსური კავშირის ისეთი შემთხვევები, როცა შესიტყვების თანდებულებიანი წევრი (თუ ის გარემოებაა) სახელთან ერთად ქმნის მირთვას, ხოლო თუ თანდებულებიანი წევრი უბრალო დამატებაა, მაშინ საქმე გვაქვს მართვა-შეთანხმებასთან. გარდა ამისა, ხშირია სახელზმნით შედგენილი შესიტყვებები – თუ ის ახლავს გარემოებას, მაშინ წევრებს შორის მირთვაა, ხოლო თუ მისი შესაბამისი წევრი სულ მოქმედებითი, ან ვითარებითი ბრუნვის ფორმებითაა წარმოდგენილი, მაშინ მათ შორის სინტაქსური კავშირი მართვაა.

ქართულ ენაში გამოიყოფა მსაზღვრელ-საზღვრულის ორი ტიპი: ატრიბუტული და სუბსტანტიური. დაქვემდებარებული

სიტყვა შეიძლება იყოს სხვადასხვა მეტყველების ნაწილი: არსებითი სახელი (ურემი შეშა), ზედსართავი სახელი (წითელი ვაშლი), რიცხვითი სახელი (შვიდი ბავშვი), ნაცვალსახელი (ჩემი წიგნი), მიმღობა (მჭრელი დანა), საწყისი (წველა ყველი), ზოგჯერ ზმნიზედაც (გვიან ღამით).

როგორც ცნობილია, მსაზღვრელ-საზღვრულის სინტაქსური ურთიერთობა გულისხმობს ბრუნვასა და რიცხვში შეწყობას. გასაანალიზებელია, იქმნება თუ არა შესიტყვება და თუ იქმნება, რა სახის სინტაქსური კავშირი შეიძლება იყოს წევრებს შორის.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ კოორდინაციული კონსტრუქციის ნაირსახეობაა **აპოზიციური** კონსტრუქცია, რომელშიც ძნელია იმის დადგენა, თუ რომელი შემადგენელია ბირთვი და რომელი – ატრიბუტი. მაგალითად, პროფესორი ახვლედიანი, ბატონი გიორგი, ინგლ. queen mother (დედა დედოფალი). ასეთ კონსტრუქციებში თითოეული შემადგენელი შეიძლება მივიჩნიოთ როგორც ბირთვად, ისე ატრიბუტად. მაგალითად, დედა დედოფალი შეიძლება გავიგოთ როგორც დედოფალი, რომელიც ამავე დროს დედაა [გამყრელიძე 2008: 259].

საინტერესო სურათს აჩვენებს ისეთი ფორმები, რომლებშიც მსაზღვრელად გვაქვს ზოგი სახის პროფესიის, წოდებათა, თანამდებობის, სოციალური სტატუსისა თუ დაწესებულებათა სახელწოდებების სახელები. გამოიკვეთა, რომ ზოგ შემთხვევაში შეუძლებელია მათი ბრუნება შებრუნებული წყობით. ამგვარია, მაგალითად: **კომპანია, მარკეტი, გაზეთი...**, რომელთაც თან ახლავს შესაბამისი სახელწოდებები. ასეთი დანართიანი სახელი შეიძლება წინ უძღოდეს მხლებელ სიტყვას, მაგრამ ინვერსიული წყობით მათი წარმოება მაინც ხელოვნური ჩანს. შდრ.:

სახ.	გაზეთი „ალია“	„ალია“ გაზეთი
მოთხრ.	გაზეთმა „ალიამ“	„ალიამ“ გაზეთმა
მიც.	გაზეთ „ალიას“	ალიას“ გაზეთს
ნათ.	გაზეთ „ალიას“(ი)	„ალიას“(ი) გაზეთის
მოქმ.	გაზეთ „ალიათ“(ი)	„ალით“(ი) გაზეთით
ვით.	გაზეთ „ალიად“	„ალიად“ გაზეთად

პირველ შემთხვევაში პრეპოზიციური წყობის „სრული შე-  
თანხმება“ მხოლოდ სამ ბრუნვაში გვხვდება. ეს ისეთ ფორმებში  
ვლინდება, რომლებშიც მსაზღვრელი თანხმოვანფუძიანია. გან-  
სხვავებულია პოსტპოზიციური წყობისას სინტაქსური კავშირი.  
დასახელებული ტიპის მსაზღვრელ-საზღვრულის შებრუნებუ-  
ლი ტიპის სახეობაში მათ ვერ გავაერთიანებთ, მიუხედავად იმი-  
სა, რომ თეორიულად შესაძლოა ისე იბრუნოს (შეითანხმოს მსაზ-  
ღვრელმა საზღვრული ყველა ბრუნვაში **ფორმოზრივად!**), რო-  
გორც ვთქვათ, **მინდორი მწვანე** წყობის ტიპი. შებრუნებული  
წყობის ხელოვნური ფორმების საფუძველს, როგორც ჩანს, სა-  
ხელწოდებათა სპეციფიკა წარმოადგენს – ისინი ბუნებრივია შე-  
საბამისი სახელის შემდეგ.

ანალოგიური ვითარება გვაქვს მაშინაც, როცა ატრიბუტულ  
მსაზღვრელად ზომის, წონის, ფართობის აღმნიშვნელი არსები-  
თი სახელები გამოიყენება. შევადაროთ: ჭიქა წყალი, ჭიქა წყალმა,  
ჭიქა წყალს... მაგრამ ძალზე ხელოვნურია **წყალი ჭიქა, წყალმა  
ჭიქამ, წყალ ჭიქას** სახის ფორმები (ან კიდევ ჰექტარი მიწა, ტომა-  
რა ცემენტი...). აქვე შევნიშნავთ, რომ პროფესიისა თუ წოდების  
აღმნიშვნელ სახელთა შემთხვევაშიც ინვერსიული რიგი არ დას-  
ტურდება: პროფესორი შანიძე, პროფესორმა შანიძემ, პროფესორ  
შანიძეს. შდრ.: **შანიძე პროფესორი, შანიძემ პროფესორმა, შანიძეს  
პროფესორს...** ასეთი შებრუნებული წყობისას ის უკვე არა მსა-  
ზღვრელ-საზღვრული, არამედ წინადადების სტრუქტურისა თუ  
შინაარსის მიხედვით, გარკვეული ტიპის ამხსნელ-დამაზუსტე-  
ბელი სიტყვებია – **შანიძეს, პროფესორს**, ეს დაუწერია, **შანიძის,  
პროფესორის**, ეს სტატია ცნობილია და სხვ. ასევე იქნება მარკე-  
ტი, გაზეთი ტიპის სახელებთან: **„კარფურს“, მარკეტს**, ახალი  
პროდუქცია მიუღია; **კომპანიას, „კლოზალს“**, გადასახადები და-  
უფარავს. მაგრამ ზომა-წონისა თუ ფართობის აღმნიშვნელი არ-  
სებითი სახელები ამგვარადაც ვერ განკერძოვდებიან. **წყალს, ჭი-  
ქას**, მომიტან? **ცემენტს, ტომარას**, ყიდულობს და სხვ. ეს შეუძლე-  
ბელი წყობაა. რაც შეეხება დანართად წარმოდგენილ **ყურნალი,**  
**გაზეთი** ტიპის არსებით სახელებს, ამ შემთხვევაშიც ანალოგიუ-  
რი ვითარება ჩანს: **„ალიამ“ გაზეთმა, „ალიას“ გაზეთს...**

მოყვანილ მასალაში ნათლად გამოიკვეთა, რომ შებრუნებული წყობის შემთხვევაში დასახელებული ტიპის ხელოვნურობას განაპირობებს სიტყვათა წყობის არაბუნებრიობა, რაც იწვევს, ამავედროულად, შინაარსობრივ ბუნდოვანებას. ამიტომ, ის მსაზღვრელ-საზღვრულის შებრუნებული სახის ბრუნვათა ტიპში ვერ გაერთიანდება, როგორც არაბუნებრივი და პრაქტიკულად შეუძლებელი (არარსებული) სახეობა. შესაბამისად, ამგვარ ფორმებში შესიტყვებები არ გამოიყოფა, რადგან ისინი სინტაქსურად არ უკავშირდებიან ერთმანეთს. ცხადია, მათი პრეპოზიციული წყობა შესიტყვებებია და მათ შორის სინტაქსური კავშირი შეთანხმებაა.

## შესიტყვების გამოყოფის საკითხები მარტივ წინადადებაში

როგორც აღინიშნა, შესიტყვება არის სიტყვათა შეკავშირებისაგან წარმომდგარი უმცირესი სინტაქსური ერთეული. შესაბამისად, მრავალსიტყვიანი წინადადება ჩვეულებრივ ასეთი ერთეულებისაგან შედგება [კვაჭაძე 2010: 15].

ზოგადად, წინადადების განსაზღვრის საკითხი ერთ-ერთი მწვავე საკითხია ენათმეცნიერებაში. შეიძლება გამოიყოს **მარტივი წინადადების** დეფინიციის ორი ძირითადი ჯგუფი: 1. განსაზღვრებები, რომლებიც წინადადებას გამოყოფენ შინაარსის მიხედვით; 2. განსაზღვრებები, რომლებიც წინადადებას გამოყოფენ ფორმის მიხედვით. არსებობს ასეთი განმარტებაც: „მარტივი წინადადება არის უმცირესი აზრობრივ-ფორმალური დასრულებულობის მქონე კონსტრუქცია, რომელიც აიგება ზნასა და სახელებს შორის არსებულ ლოგიკურ-სემანტიკურ კავშირებზე და-მყარებით“ [ასათიანი 1982: 12-13].

მიჩნეულია, რომ წყვილთა რაოდენობა წინადადებაში ყოველთვის ნაკლებია წევრთა რაოდენობაზე. ამის მიხედვით, **მარტივ წინადადებაში იმდენი წყვილია, რამდენიც წევრია ერთის გამოკლებით** [კვაჭაძე 2010: 15]. მაგალითად, წინადადებაში „კაპიტანმა ბურთი ოთარს გაუგორა“ ყველა სიტყვა წინადადების წევრია (სულ 4 წევრი). ამიტომ გამოიყოფა სამი სინტაქსური წყვილი:

1. კაპიტანმა გაუგორა
2. ბურთი გაუგორა
3. ოთარს გაუგორა

თუკი წინადადებაში გვხვდება ფორმა, რომელიც არაა წინადადების წევრი, მაშინ ის იმ წევრთან ერთად შევა შესიტყვებაში, რომელსაც ახლავს, მიემართება (**ტყის გარშემო** მიმოიხედა, **კაცის გამო** შეშინდა...).

თუ წინადადების წევრად შედგენილი შემასმენელია, მისი სახელადი და ზმნური ნაწილი **ერთ წევრად** შევა შესიტყვებაში: „მას ხალხის წინაშე სიტყვის თქმა ჰქონდა დავალებული“ (ჭილ.);

„ჩვენ ადამიანები ვართ“ (იოს.); „სხვადასხვა სოფლის გლეხები სხვადასხვაგვარად იყვნენ დაბეგრილი“ (აკაკი); „ისინი ორნი იყვნენ“ (ჰილ.); „ფანჯრის რაფაზე წიგნები იყო დახვავებული“ (ონაშ.). შედგენილშემასმენლიანი შესიტყვება ამგვარად შეიქმნება:

**მას ჰქონდა დავალებული  
ჩვენ ადამიანები ვართ  
გლეხები იყვნენ დაბეგრილი  
ისინი ორნი იყვნენ  
წიგნები იყო დახვავებული**

შესაძლოა წინადადებაში ერთ-ერთ წევრად წარმოდგენილი იყოს ტოლადშერწყმული სახელი. ესაა ორცნებიანი კომპოზიტები: დედ-მამა, და-ძმა, ცოლ-ქმარი... ის, რა თქმა უნდა, შევა შესიტყვების ცალად:

**დედ-მამა მოვიდა  
და-ძმა სწავლობს**

თუ მსგავსი კომპოზიტები წარმოდგენილია ცალ-ცალკე და კავშირით, ასეთ შემთხვევაშიც ისინი ერთად შევლენ შესიტყვების ცალად (შერწყმულ წინადადებათა შესიტყვებათა შესახებ იხ. ქვემოთ).

**დედა და მამა მოვიდნენ  
და და ძმა სწავლობენ**

რიცხვში შეთანხმებასთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ხშირად წყვილის ცალთა სინტაქსური ურთიერთობა ლექსიკურ-ფორმობრივია. დასტურდება ისეთი შემთხვევებიც, როცა სიტყვათა შეხამება რიცხვის მიხედვით ცვალებადია, ან სიტყვის გრამატიკულ ფორმას ორი სხვადასხვა წევრი განსაზღვრავს [კვაჭაძე 2010: 19].

ერთ საზღვრულთან შეიძლება გვექონდეს რამდენიმე არაერთგვარი მსაზღვრელი. ასეთი ტიპის წინადადებაში ყოველი მსაზღვრელი სინტაქსურად უკავშირდება საზღვრულს, რომელიც ბრუნვაში ითანხმებს ან მართავს მათ. ანტონ კიზირია შენიშნავს, რომ ასეთ შემთხვევაში გვაქვს კომბინირებული შესიტყვება: მთავარ სიტყვას ახლავს დამოკიდებული სიტყვა, რომე-

ლიც შეიძლება იყოს სხვა სიტყვის მიმართ მთავარი სიტყვა. მკვლევარი აანალიზებს „სოფლის ყველა სტუმარი“ ტიპის შესიტყვებას და აღნიშნავს, რომ დასახელებულ შემთხვევებში თითო საზღვრულთან ორ-ორი მსაზღვრელია: ერთი – მართული, მეორე – შეთანხმებული. წამყვანი სიტყვაა **სტუმარი**, მასზე დამოკიდებულია მართული სიტყვა (სოფლის) და ამ უკანასკნელის მსაზღვრელი, მასთან ბრუნვაში შეთანხმებული **ყველა** [კიზირია 1989: 76]. ამასთან ერთად, ქართულში დასტურდება ისეთი შემთხვევები, როდესაც მსაზღვრელ სახელთან დაკავშირებულია მასთან ბრუნვაში შეთანხმებული ატრიბუტული მსაზღვრელები: „ჰკრა ერთმა მოსხეპილმა ყმაწვილკაცმა ცხენს ქუსლი...“ (ილია); „მათი დედა გადამბრუნებულმა თივიანმა მარხილმა გაიტანა“ (იოს.); „ერთხელ ერთმა თამამმა მოწაფემ ჰკითხა მასწავლებელს“ (აკაკი); „ამათი ლამაზი სიყვარული ყველაზე მეტად მაშინ გამოჩნდა“ (იოს.).

ჩვენთვის საინტერესოა შესიტყვებათა გამოყოფის საკითხი სწორედ ასეთ წინადადებებში, რომლებშიც რამდენიმე არაერთგვარი მსაზღვრელია საზღვრულთან. რამდენადაც დასახელებული წინადადებები მარტივია და მასში შემავალი **განსაზღვრებები არაერთგვარნი არიან**, ამიტომ ასეთი ატრიბუტული მსაზღვრელები ცალ-ცალკე შევლენ შესიტყვების წევრად სინტაქსურ წყვილში. მაგალითად, წინადადებაში „ჰკრა ერთმა მოსხეპილმა ყმაწვილკაცმა ცხენს ქუსლი“ ორი ატრიბუტული განსაზღვრებაა: **ერთმა, მოსხეპილმა**. სინტაქსური წყვილები კი ასე გამოიყოფა:

1. ჰკრა ყმაწვილკაცმა
2. ერთმა ყმაწვილკაცმა
3. მოსხეპილმა ყმაწვილკაცმა
4. ჰკრა ცხენს
5. ჰკრა ქუსლი

წინადადებაში ექვსი წევრი იყო და გამოიყო ხუთი სინტაქსური წყვილი, როგორც ეს მარტივ წინადადებაში გამოიყოფა ხოლმე. სხვაგვარია ვითარება ამ თვალსაზრისით ისეთ წინადადებაში, რომელშიც **ერთგვარი განსაზღვრებები** მოგვეპოვება

(ამის შესახებ იხ. მსჯელობა ქვემოთ, შესიტყვეების გამოყოფის საკითხი რთულ წინადადებაში, 2. შერწყმული წინადადება).

სამეცნიერო ლიტერატურაში ტრადიციულად გამოყოფილ ერთგვარ სუბსტანტიურგანსაზღვრებიან წინადადებათა გვერდით გვხვდება ისეთი წინადადებებიც, რომლებშიც სუბსტანტიური განსაზღვრებები ერთგვარი წევრები არ არის: „ეს მოხდა რომელიღაც **თანამშრომლის ზავშვის დაბადების დღეზე**“ (ფანჯ.); „ოთარ **რამიშვილის ცვლის უფროსობის** დროს გეგმას წელიწადში სამჯერ თუ შეასრულებდნენ“ (ფანჯ.); „მათი **თუჯის ზარბაზნების ლულების** ცქერას არაფერი მერჩია“. მართალია, აქ ყველა განსაზღვრება მართულია ნათესაობით ბრუნვაში, მაგრამ ისინი ერთმანეთს თანწყობით არ უკავშირდებიან და არც ერთსა და იმავე ნიშან-თვისებას (სემანტიკურ მიმართებას) გამოხატავენ. მეტყველებისას ასეთ წევრთა შორის ინტონაცია განსხვავებულია – არ გვაქვს ე. წ. ჩამოთვლის ინტონაცია. ამიტომაცაა, რომ მათ შორის არ დაისმის ხოლმე კავშირი და, რომელიც შერწყმული წინადადების ერთგვარ წევრებს შორის ყოველთვის შეიძლება ვიხმაროთ [ბურჭულაძე 1999: 22]. ასეთ წინადადებებში სუბსტანტიური განსაზღვრებები **ურთიერთგანმსაზღვრელნი** არიან. მაგ.: **დღეს** განსაზღვრავს **დაბადების, დაბადების – ზავშვის, ზავშვის – თანამშრომლის, თანამშრომლის – დღე** და ა. შ. აქ ესენი საზღვრულის (**დღე-ს**) უშუალო განსაზღვრებები კი არ არიან, არამედ ურთიერთგანმსაზღვრელი წევრები არიან. მაშასადამე, აქ გვაქვს მართულ მსაზღვრელთა რიგი. ამდენად, დასახელებული წინადადებებიც მარტივია და არა შერწყმული.

ძველ ქართულში გვექონდა სამმსაზღვრელიანი ნიმუშებიც [კალაძე 1961: 112-116], თუმცა უფრო ბუნებრივია ორმსაზღვრელიანი კონსტრუქციები. ახალ ქართულშიც ჩვეულებრივია ორმსაზღვრელიანი წინადადებები, მაგრამ არცთუ იშვიათად გვხვდება სამმსაზღვრელიანი კონსტრუქციებიც: „ექსპერიმენტული **ფილმების სტუდიის უფროსის** მოსაცდელში სამი კაცი იდგა“ (ფანჯ.); „**იუგოსლავიის თერმოატომგულის ინსტიტუტის** ოთხი თანამშრომელი მეგატრონზე მუშაობის დროს რადიაციული

გამოსხივების შედეგად დაავადდა სისხლის გათეთრებით“ (ფანჯ.).

შესაძლებელია სამსაზღვრელიანი კონსტრუქციების გავრცობა და ოთხ, ხუთ და ა. შ. მსაზღვრელიანი ნიშნულების მიღება: **უნივერსიტეტის რექტორის კანდიდატურის დასახელება; უნივერსიტეტის რექტორის კანდიდატურის დასახელების საკითხის დასმა; ეს არაა ურთიერთგანმსაზღვრელ კონსტრუქციათა ჭერი, რადგან შესაძლებელია ამ სახის ფრაზათა გავრცობაც; იუჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებულების შესრულების საკითხი. რა თქმა უნდა, ასეთ წინადადებებს გამოყენების თავისი არე არც, რაც სტილისტიკურადაა შეპირობებული. როგორც წესი, ამგვარი კონსტრუქციები ძირითადად დაწესებულებათა დასახელებებსა თუ ოფიციალურ-საქმიან ქაღალდებში გვხვდება.**

ა. კიზირია შენიშნავს, რომ დასახელებული ტიპის წინადადებებში „შესიტყვების შემადგენლობაში მსაზღვრელ-საზღვრულთა კომპლექსში შეიძლება ერთმანეთთან დაკავშირებული იყოს ორი, სამი და მეტი სახელი, მაგრამ მარტივ სინტაგმაში, რომელშიც ორი სიტყვის დამოკიდებულება იგრძნობა, სინტაქსურად ერთმანეთს უკავშირდება სწორედ ეს ორი სიტყვა“ [კიზირია 1997: 141]. მკვლევრის თვალსაზრისით, ამგვარი წინადადების სიტყვათა ურთიერთობაში თავს იჩენს **იერარქია**.

ჩვენ ამჯერად ყურადღებას შევაჩერეთ ამგვარ მარტივ წინადადებებში შესიტყვებათა გამოყოფის საკითხზე – შესაძლებელია თუ არა შესიტყვებების გამოყოფა და რა სახის სინტაქსური კავშირი არის მათ შორის.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნავენ, რომ სახელმა სახელი შეიძლება მართოს ბრუნვაში და ამავე დროს მართოს არა მარტო არსებითი სახელი (ან არსებითი სახელის მნიშვნელობით ნახმარი სხვა სახელები), არამედ სახელზმნაც. ამასთანავე, **მმართავი** სახელი შეიძლება **მართულიც** გახდეს. „კაცის მოკვლის ამბავი პაპას თავზარსა სცემს“ – წინადადების მაგალითზე შენიშნულია, რომ მიუხედავად იმისა, **კაცის** და **მოკვლის** ორივე ნათესაობით ბრუნვაშია, მათ შორის არა შეთანხმება, არამედ მართვაა

- „კაცის ნათესაობითში დგას იმიტომ, რომ ის მართულია მოკვლის მიერ“ [კვაჭაძე 1996: 22-23].

ჩვენ მიერ მოყვანილ წინადადებებში შესიტყვევების გამოყოფის საკითხს ერთი ნიმუშის მიხედვით წარმოვადგენთ: „უნივერსიტეტის რექტორის კანდიდატურის დასახელების საკითხის დასმის აუცილებლობას ხედავს“. სხვა მარტივ წინადადებათა მსგავსად, სადაც რამდენი წევრიცაა წინადადებაში, იმდენი სინტაგმა გამოიყოფა ერთის გამოკლებით, აქ ვერ გამოვყოფთ შესიტყვევებს. ცხადია, გამოიყოფა მხოლოდ შემდეგი:

1. აუცილებლობას ხედავს
2. საკითხის დასმის აუცილებლობას

მოყვანილ შესიტყვევებში, პირველსა და მეორეშიც, მართვა გვაქვს. პირველში სახელსა და სახელს შორისაა მართვა, ხოლო მეორეში – სახელსა და სახლზმნას შორის. ორივე შემთხვევაში სუბორდინაციასთან გვაქვს საქმე.

რა ვითარებაა წინადადების სხვა წევრებთან მიმართებით? ისინი (უნივერსიტეტის, რექტორის, კანდიდატურის, დასახელების) წინადადების წევრები კი არიან, მაგრამ ვერ ქმნიან ერთმანეთთან შესიტყვევას, გარდა ბოლო წევრისა, რომელიც სახელობითში დასმულ სახელზმნას ან ზმნას უკავშირდება. აქ, ცხადია, დადგება საკითხიც წინადადებაში წყვილთა რაოდენობის გამოყოფის აქამდე არსებული წესის გადასინჯვისა, რადგან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დასახელებულ წინადადებებში ყველა სიტყვა წევრია, წინადადებაც მარტივია, მაგრამ ვერ ქმნიან შესიტყვევებს. შესაძლოა არსებულ წესს დაემატოს მითითება: „**მარტივ წინადადებაში იმდენი წყვილია, რამდენიც წევრია ერთის გამოკლებით. მაგრამ თუ წინადადებაში ურთიერთგანმსაზღვრელი წევრები გვხვდება, მაშინ ისინი ვერ შექმნიან შესიტყვევებს**“. მაშასადამე, ცალკე არ გამოიყოფა, მაგალითად, შემდეგი ფორმები:

1. უნივერსიტეტის რექტორის
2. რექტორის კანდიდატურის
3. კანდიდატურის დასახელების
4. დასახელების საკითხის

როგორც აღვნიშნეთ, ისინი **ურთიერთგანმსაზღვრელი წებრები** არიან, ერთმანეთს განსაზღვრავენ და ფორმაუცვლელად მუდამ ნათესაობით ბრუნვაში დგანან. ისინი ერთმანეთს შინაარსობრივად და გრამატიკულად კი მიემართებიან, მაგრამ შესიტყვებას ვერ ქმნიან (გარდა ბოლო წევრისა).

ანტონ კიზირია სამართლიანად შენიშნავდა, რომ რუსულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული აზრი იმის შესახებ, რომ ცნება სინტაგმა შეიძლება გამოყენებულ იქნეს გრამატიკული ერთიანობის გამოსახატავად, მცდარია. ამ თეორიის საფუძველზე, ეს წევრი შეიძლება იყოს მარტივიცა და გავრცობილიც. ეს უკანასკნელი კი გულისხმობს „სინტაქსურ ჯგუფს“ [კიზირია 1954: 211]. ამის მიხედვით ვიღებთ მონაკვეთებს და არა შესიტყვებებს. „სინტაქსური ჯგუფი“ უცხოა სინტაქსისათვის: წინადადებაში ერთმანეთთან სინტაქსურად დაკავშირებულია ორი სიტყვა და არა სიტყვათა მთელი კომპლექსი, რომელიც ასეთ ჯგუფს ედება საფუძვლად. „სინტაქსური ჯგუფი არ შეიძლება საფუძვლად დაედოს სინტაგმას [კიზირია 1954: 212].

დასახელებულ კონსტრუქციებშიც სწორედ სინტაქსური ჯგუფები გვაქვს და არა შესიტყვებები. აქ ერთიანი აზრია, ერთიანი მიმართება და, ცხადია, ვერც მთლიან წინადადებას გამოვყოფთ შესიტყვებად. მაგალითად, ასე – **უნივერსიტეტის რექტორის კანდიდატურის დასახელების საკითხის დასმის აუცილებლობას**. ესე იგი, ამგვარ წინადადებებში ვერ გამოვყოფთ შესიტყვებებს.

როგორ დგას საკითხი **თანიანი მრავლობითის** შემთხვევაში? როგორც ცნობილია, დასახელებებსა და სახელწოდებებში ხშირად სწორედ თანიანი მრავლობითის ფორმა გამოიყენება: მეცნიერებათა აკადემია, მწერალთა კავშირი, ბავშვთა სახლი, მხატვართა კავშირი, კომპოზიტორთა სახლი და ა. შ. ვფიქრობთ, აქაც ანალოგიური ვითარება გვაქვს. **თანიანი მრავლობითი** თავისთავად ნათესაობითი ბრუნვის ფორმაა და ზემოთ მოყვანილ წინადადებათა ანალოგიურია – ცალკე აღებულ თანიანი მრავლობითის ფორმასთან გამოიყოფა შესიტყვება მაგ.: მეცნიერებათა აკადემია აცხადებს, მწერალთა კავშირმა განაცხადა, ბავშვთა სახ-

ლის აღსაზრდელებმა დახატეს, მხატვართა კავშირს გაუკეთებია, კომპოზიტორთა სახლმა შეიცვალა ადგილი...

1. მეცნიერებათა აკადემია
2. აკადემია აცხადებს

ან

1. მწერალთა კავშირმა
2. კავშირმა განაცხადა

ორივე შემთხვევაში მათ შორის სინტაქსური კავშირი მართვას, მაგრამ თუ მას ახლავს კიდევ ნათესაობითში დასმული განმსაზღვრელი წევრი, შესიტყვება არ გამოიყოფა. მაგალითად, **მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის განცხადების** საფუძველზე კომისიამ მუშაობა დაიწყო. აქაც მთლიანი მიმართება გვაქვს ერთ საერთო წევრთან, სინტაქსური ჯგუფი იქმნება და არა შესიტყვება.

მაშასადამე, ნათესაობითში წარმოდგენილ **ურთიერთგანმსაზღვრელთან** მარტივ წინადადებებში არ გამოიყოფა შესიტყვებები სხვა მარტივი წინადადების მსგავსად, რადგან ისინი მთლიანობაში ქმნიან ურთიერთგანმსაზღვრელ წევრებს, ვიღებთ მონაკვეთებს და არა შესიტყვებებს.

საინტერესოა პრედიკატული განსაზღვრების როლი შესიტყვებაში. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში პრედიკატული განსაზღვრების საკითხს არაერთი მკვლევარი შეხებია: ი. იმნაიშვილი, ა. კიზირია, ა. ლლონტი, ნ. ბასილაია, ა. დავითიანი, რ. ენუქაშვილი, ლ. კვაჭაძე. ცნობილია, რომ მიმღეობისა და სახელის ზოგი ფორმის სინტაქსური კვალიფიკაცია გრამატიკულ ლიტერატურაში სადავოდ არის ქცეული. ტერმინი „პრედიკატული განსაზღვრება“ გადმოღებულია გერმანული ენის გრამატიკებიდან, იგი ზუსტად გამოხატავს ნაგულისხმები წინადადების წევრის სინტაქსურ ფუნქციას. პრედიკატული განსაზღვრება არ არის იშვიათი ძველ ქართულში, ქართველურ ენებსა და ქართული ენის დილაექტებში [კვაჭაძე 2010: 226]. ზოგიერთი მეცნიერი პრედიკატულ განსაზღვრებას მიიჩნევდა წინადადების დამოუკიდებელ წევრად, კერძოდ, ვითარების გარემოებად (ი. იმნაიშვილი). სხვა შეხედულებით კი, მიმღეობის დასახელებული ტიპის

ფორმები დამოუკიდებელი ანუ ცალკე წევრი კი არ არის, არამედ ნაწილია წინადადების წევრისა, სახელდობრ, შედგენილი წევრი მენლის სახელადი ნაწილი (ა. ლონტი). არსებობს ისეთი თეორიისაზრისი, რომლის მიხედვითაც ამგვარი მიმდევობა ატრიბუტული მსაზღვრელის სემანტიკურ-სტილურ ვარიანტად შეიძლება ჩაითვალოს [დავითიანი].

ლ. კვაჭაძის აზრით, პრედიკატული ანუ შემასმენელი განსაზღვრება წინადადების არამთავარი წევრია, რომელიც შემასმენლის ჯგუფში შედის, მაგრამ ამასთანავე დამოკიდებულია ქვემდებარესა თუ დამატება-ობიექტზე და საგანს (ქვემდებარეს ან დამატება-ობიექტს) ახასიათებს, ანუ განსაზღვრავს ზნით გამოხატულ მოქმედებას შესრულების მომენტთან მიმართებით. იგი ერთდროულად ზმნასთანაც არის დაკავშირებული და ქვემდებარესა თუ დამატება-ობიექტებთანაც. ასეთი განსაზღვრება ჩვეულებრივ აღნიშნავს არა საგნის მუდმივ ან რამდენადმე ხანგრძლივად დამახასიათებელ ნიშანს, არამედ დროებითს, მომენტურს, ე.ი. ისეთს, რომელიც მისთვის (საგნისთვის) დამახასიათებელია ზნით გამოხატული მოქმედების შესრულების პროცესში [კვაჭაძე 2010: 214]. აღსანიშნავია, რომ პრედიკატული განსაზღვრების შესახებ მსჯელობისას მეტი ყურადღება ექცევა მის სემანტიკურ შეხამებას სახელთან, მაგრამ ამა თუ იმ წევრის კლასიფიკაციის დროს მთავარია სინტაქსური კავშირის, დაქვემდებარების კანონზომიერებათა დადგენა.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ მიმდევობისა და სახელის სახელობითი ბრუნვის უთანდებულო ფორმა ზმნა-შემასმენელთან ერთად შეადგენს სინტაქსურ წყვილს (სინტაგმას) [კვაჭაძე 2010: 223], მაგრამ არ ჩანს მსჯელობა იმის შესახებ, თუ რა სახის სინტაქსური კავშირია მათ შორის. ლ. კვაჭაძე შენიშნავს, რომ პრედიკატული განსაზღვრება ზმნა-შემასმენლის წყვილის ცალია და მიემართება მხოლოდ ზმნა-შემასმენელთან დაკავშირებულ მთავარ წევრებს: მის ბრუნვასა და რიცხვს პირმომართ წევრთა ბრუნვა და რიცხვი განსაზღვრავს. იგი იმდენად თავისთავადია, რომ საზღვრული პირმომართი წევრის დაუსახელებლადაც იხმარება [კვაჭაძე 2010: 224]. აღსანიშნავია ისიც, რომ

პრედიკატული განსაზღვრება შესაძლოა უშუალოდ იდგეს ზმნა-შემასმენელთან: „ხმაგაკმენდილმა ჭერს გაუშტერა თვალი და ჰფიქრობდა“. შესაძლოა ორ განსაზღვრებათაგან ერთი უსწრებდეს მისამართ წევრს, მეორე კი მოსდევდეს: „ცოტა ხანს ეგრე ხელეზღაბებენილი იდგა გარინდებული“ [ბურჭულაძე 2002: 52]. ეს ფაქტორები კიდევ ერთხელ უსვამენ ხაზს პრედიკატული განსაზღვრების თავისთავადობას.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ **პრედიკატული განსაზღვრების ბრუნვას განსაზღვრავს არა პირმიმართ წევრთა ბრუნვის ფორმა, არამედ ზმნა-შემასმენელი**. თვითონ პირმიმართ წევრთა ბრუნვა, როგორც არნ. ჩიქობავა აღნიშნავს, შესაბამისი შემასმენლისაგანაა გამოწვეული. პრედიკატული განსაზღვრება შესიტყვებაში მიემართება შემასმენელს და არა პირმიმართ წევრებს, მისი ბრუნვა სწორედ ზმნა-შემასმენლითაა განპირობებული. ხოლო პირმიმართი წევრი და პრედიკატული განსაზღვრება, ვფიქრობთ, იმიტომ არიან ერთსა და იმავე ბრუნვაში, რომ წინადადების ორივე წევრის ბრუნვას საერთო ზმნა-შემასმენელი განსაზღვრავს. მაგალითად: **ბიჭი აგრძელებდა** ამბავს უკვე **მომღიმარი, დამშვიდეული//ონოფრემ თავმალააღებულმა** იქაურობას თვალი მოავლო. პირველ წინადადებაში ზმნა-შემასმენელი (აგრძელებდა) I სერიაშია, გარდამავალია და, შესაბამისად, ქვემდებარეც სახელობით ბრუნვაში დგას. სწორედ I სერიის ზმნა-შემასმენლის გამოა პრედიკატული განსაზღვრება ასევე სახელობით ბრუნვაში (მომღიმარი, დამშვიდეული). მეორე წინადადებაში კი ზმნა-შემასმენელი (მოავლო) არის II სერიაში, გარდამავალია და შესაბამისად ქვემდებარე მოთხრობით ბრუნვაში დგას. ასევეა პრედიკატული განსაზღვრების მიმართაც – II სერიის ზმნა-შემასმენლის გამოა პრედიკატული განსაზღვრება მოთხრობით ბრუნვაში (თავმალააღებულმა), რადგან პრედიკატული განსაზღვრებები ორივე წინადადებაში მიემართება ზმნა-შემასმენელს. ანუ, ქვემდებარის, პირმიმართ დამატებათა და პრედიკატული განსაზღვრების ბრუნვას განაპირობებს წინადადებაში მათი საერთო ზმნა-შემასმენელი. მოსაზრება „პრედიკატული ანუ შემასმენლური განსაზღვრება წინადადების არამთავარი წევრია, რომელიც

შემასმენლის ჯგუფში შედის, მაგრამ ამასთანავე დამოკიდებულა ქვემდებარესა თუ დამატება-ობიექტზე“ მოითხოვს დაზუსტებას, რომ ის იმიტომაც დამოკიდებული შესაბამის ქვემდებარესა თუ დამატება-ობიექტზე, რომ სამივეს საერთო ზმნა-შემასმენელი აქვს და სწორედ ის განსაზღვრავს სახელთა ბრუნვას წინადადებაში. რაც შეეხება რიცხვს, აქაც, ცხადია, პრედიკატული განსაზღვრება ეთანხმება ზმნა-შემასმენელს რიცხვში.

აქვე დაისმის საკითხიც – ქმნის თუ არა ამგვარი განსაზღვრება შესიტყვებას. ცნობილია, რომ განსაზღვრებათაგან ატრიბუტული და სუბსტანტიური განსაზღვრებები ქმნიან შესიტყვებას სათანადო წევრთან. ამათგან ატრიბუტულ განსაზღვრებასა და სახელს შორის სინტაქსური კავშირი შეთანხმებაა, ხოლო სუბსტანტიური განსაზღვრების გრამატიკული ურთიერთობა შესაბამის სახელთან მართვის ერთ-ერთი სახეა.

იმისათვის, რომ დადგინდეს ამგვარი სიტყვის როლი შესიტყვებაში, უპირველესად ის უნდა განისაზღვროს, რა წევრია ის. ჩვენთვის პრედიკატული განსაზღვრება წინადადების დამოუკიდებელი წევრია და მიემართება ზმნა-შემასმენელს, განსაზღვრავს ზმნით გამოხატულ მოქმედებას: „ბიჭი **გაცხარებული** კამათობდა“; „ჩვენ აქ უნდა ვისხდეთ **გულხელდაკრეფილი**“, „ცოლ-ქმარნი **გაცხარებულნი** ამისთანა ღრმა აზრებს **ამტკიცებდნენ**“; „**ხმაგაკმენდილმა** ჭერს **გაუშტერა** თვალი“; „**ბიძაჩემი დარჩა გამარჯვებული**“. სრულიად მართებულია ლ. კვაჭაძის თვალსაზრისი, რომ პრედიკატულ განსაზღვრებას ვითარების გარემოების კითხვა რომ დაესმის, ამას ის ახსნა აქვს, რომ ორივე ზმნა-შემასმენლის წყვილის ცალია: ერთი საგნის მოქმედების პროცესს გადმოგვცემს, მეორე – ამ პროცესთან დაკავშირებით საგნის მდგომარეობას. კითხვითი სიტყვა არ არის საიმედო საშუალება მიმღეობისა და სახელის სადავო ფორმათა სინტაქსური ფუნქციის დასადგენად [კვაჭაძე 2010: 224]. ჩვენთვის პრედიკატული განსაზღვრების „ორგვარი“ ბუნება, იყოს ზმნა-შემასმენლის მიერ ბრუნვაში და ამავედროულად ეთანხმებოდეს ბრუნვაში (და შესაძლოა რიცხვშიც) წინადადების პირმომართ წევრსაც, ენაში **მეორეული ფაქტია**, იმდროინდელი, როცა **პრედიკატული**

**განსაზღვრება გაფორმდა, როგორც წინადადების ახალი წევრი.** ოღონდ მან შეინარჩუნა ძველი სინტაქსური ჩვევა – უთანხმდება ბრუნვაში (რიცხვში) პირმიმართ წევრს, იმას, რისი საზღვრულიც იყო იმთავითვე. ჩვენ შევნიშნავდით, რომ, როდესაც აღნიშნავენ, ასეთი განსაზღვრება დამოუკიდებელი წარმომავლობისააო, საჭიროებს გარკვეულ კორექტივს – ის ასეთად ჩანს იმ დროიდან, როცა ჩვეულებრივი განსაზღვრება უკვე იქცა დამოკიდებელ წევრად, პრედიკატულ განსაზღვრებად [ბურჭულაძე 2002: 53]. ყოველივე ამის გათვალისწინებით ვფიქრობთ, როგორც სხვა სახის განსაზღვრებები ქმნიან სინტაქსურ წყვილს, ასევე პრედიკატული განსაზღვრება ქმნის შესიტყვებას შესაბამის ზმნა-შემასმენელთან. შევადაროთ: **გაცხარებული ბიჭი კამათობდა და ბიჭი გაცხარებული კამათობდა.**

გაცხარებული ბიჭი – შეთანხმება (ბრუნვაში)

გაცხარებული კამათობდა – მართვა

პირველ შესიტყვებაში ორივე წევრი სახელობით ბრუნვაში დგას, ეთანხმებიან ერთმანეთს ბრუნვაში. მეორე შესიტყვებაში **გაცხარებული კამათობდა** ზმნა-შემასმენელი მართავს განსაზღვრებას ბრუნვაში (ამ კონკრეტულ შემთხვევაში მართავს სახელობით ბრუნვაში). მაგალითად, ბიჭი **გაცხარებული** კამათობდა//ბიჭმა **გაცხარებულმა** იკამათა// ბიჭს **გაცხარებულს** უკამათია. ოღონდ აქ ცალმხრივ მართვასთან გვაქვს საქმე. ა. დავითიანი შენიშნავს, რომ „პრედიკატული განსაზღვრების დაქვემდებარება ზმნა-შემასმენლისადმი გამორიცხულია, რადგანაც ყველა შემთხვევაში გრამატიკულად (და მეტ-ნაკლებად სემანტიკურადაც) იგი დაქვემდებარებულია არსებითი სახელით გამოხატული წევრისადმი, ე. ი. დომინაციურ კავშირს იგი მხოლოდ ამ უკანასკნელთან ამყარებს“. გარდამავალზმნიანი შემასმენლის მაგალითზე გამოტანილია დასკვნა, რომ „მიმღეობისა და სახელის სადავო ფორმები განსაზღვრებაა, რომლის გაბატონებული წევრი გარდამავალი ზმნით გამოხატულ შემასმენელთანაა კოორდინაციანი“ [დავითიანი 1973: 249]. ზმნა-შემასმენელი მართავს პრედიკატულ განსაზღვრებას ბრუნვაში, მაგრამ სახელი ვერ მართავს ზმნას. ზემოთ მოყვანილ სამივე ფორმაში დასმული ბრუნვა

ზმნა-შემასმენლისაგანაა გამოწვეული. რადგან პრედიკატული განსაზღვრება პირმიმართი წევრია, ამიტომ ასეთ შესიტყვებაში ცალმხრივი დაქვემდებარება გვექნება.

აქ დადგება კიდევ ერთი საკითხი – თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ პრედიკატული განსაზღვრებას აქვს „ორგვარი“ ბუნება, იყოს ზმნა-შემასმენლის მიერ ბრუნვაში და ამავედროულად ეთანხმებოდეს ბრუნვაში (და შესაძლოა რიცხვშიც) წინადადების პირმიმართ წევრსაც – შესიტყვებათა დონეზე როგორ ვლინდება? ერთი შეხედვით, შესაძლოა ასეთ შესიტყვებებში ბრუნვაში შეთანხმებაც იყოს შესაბამის პირმიმართ წევრთან, მაგრამ ის შესიტყვებას ქმნის მხოლოდ ზმნა-შემასმენელთან – ბიჭი გაცხარებულა//ბიჭმა გაცხარებულმა ან// ბიჭს გაცხარებულს არ ქმნის სინტაქსურ წყვილს. ამგვარი პრედიკატული განსაზღვრებისა და შემასმენლის შესიტყვებაში შესაძლოა სახელი ეთანხმებოდეს რიცხვში შესაბამის ზმნა-შემასმენელს: **გაცხარებული კამათობდა//გაცხარებულნი კამათობდნენ**. ზმნა-შემასმენლის რიცხვში შეთანხმება გვაქვს ერთდროულად როგორც პრედიკატულ განსაზღვრებასთან, ისე ქვემდებარესთან. ეს გამოწვეულია ქვემდებარის ფორმით – მხოლოდობითი რიცხვითაა ის წარმოდგენილი თუ მრავლობით.

პრედიკატული განსაზღვრება ჩვეულებრივ ქვემდებარეს განსაზღვრავს, მაგრამ იგი შეიძლება განსაზღვრავდეს დამატებობიექტებსაც (პირდაპირსა და ირიბს) და იმ ბრუნვაში დგას, რომელშიაც მისგან საზღვრული წევრი: ცხენს გამოკეთებულს დაგახვედრებს დარიკო; კოდალას ფულუროში მჯდომარეს წავაწყდი; თეკლასაც უვახშმოს დაეძინა [კვაჭაძე 2010: 215-2016]. ასეთ შემთხვევებშიც პრედიკატული განსაზღვრება, რომელიც მიემართება პირდაპირ ან ირიბ ობიექტს, ვერ შექმნის შესიტყვებას.

ცხენს გამოკეთებულს დაგახვედრებს დარიკო:

1. ცხენს დაგახვედრებს
2. გამოკეთებულს დაგახვედრებს (და არა ცხენს გამოკეთებულს)
3. დაგახვედრებს დარიკო

კოდალას ფულუროში მჯდომარეს წავაწყდი:

1. კოდალას წავაწყდი
2. მჯდომარეს წავაწყდი (და არა კოდალას მჯდომარეს)
3. ფულუროში წავაწყდი

თუ წინადადებაში რამდენიმე პრედიკატული განსაზღვრებაა (როცა განსაზღვრების მხლებელი სახელის სინკოპირებასთან გვაქვს საქმე), მაშინ შესიტყვებები ისე გამოიყოფა, როგორც ეს შერწყმული წინადადებისათვის არის დამახასიათებელი. მაგალითად, მოყვანილ წინადადებაში: „ამიტომაც დადიოდა ახლა სასახლის ეზოში ხელებგაშლილი, გაკვირვებული და სულელურად მომღიმარი“ სამი პრედიკატული განსაზღვრებაა და ისინი ერთად შევა წყვილის ცალად ზმნა-შემასმენელთან – ხელებგაშლილი, გაკვირვებული და მომღიმარი დადიოდა.

მაშასადამე, პრედიკატული განსაზღვრება ზმნა-შემასმენელთან ერთად ქმნის შესიტყვებას, მათ შორის სინტაქსური კავშირი მართვია, ოღონდ ეს სინტაქსური კავშირი ცალმხრივი დაქვემდებარებითაა გამოხატული და დომინანტი წევრი შემასმენელია. ხოლო წყვილში შემავალი სახელი არც ატრიბუტული განსაზღვრებაა და არც ვითარების გარემოება, ის სინტაქსურად პრედიკატული განსაზღვრებაა.

საინტერესოა შესიტყვებათა საკითხი ისეთ წინადადებებში, რომლებშიც პარანომაზიული გამოთქმებია. როგორც ცნობილია, პარანომაზია ერთი ზმნის ორი სახით (ფორმით) წარმოდგენაა, რომლებიც მკითხველში (resp. მსმენელში) ერთ ცნებას იწვევს (ამიტომაც, ებრაული ბიბლიის ახალ თარგმანებში პარანომაზია ერთი სიტყვითაა გადმოცემული). ქართულში პარანომაზიის შემთხვევები ჯერ კიდევ ბიბლიურ ტექსტებში გამოიყენებოდა, სადაც ერთი ვერბალი ცნება გადმოცემულია ერთი და იმავე ძირიდან ნაწარმოები ორი ზმნური სიტყვით, ე. ი., ძირეული პარანომაზიაა: „პრქუა უფალმან მოსეს: **ხილვით ვიხილე** მე ძკრი ერისა ჩემისა, რომელ არს ეგვპტეს შინა“; „**უწყებით უწყოდეთ** რამეთუ არღარა შესძინოს უფალმან ნათესავი ესე მოსრვად პირისაგან

თქუენისა...“; „...წყევად მტერთა ჩემთა მიუხადაც შექცევა ასე უაზრო  
აკურთხე კურთხევით...“ [წერეთელი 1954: 461-462].

პარანომაზიული გამოთქმები გვხვდება *სინტაქსურ* ან  
„ზოგჯერ იგი მათი **სიცილით იცნის** და მათი **ტირილით ტირის**.  
„**მოტებით** ერთი წვირიც არ **მოუტეხია**“; „**შედღეპით** ეს **შეჯიბრება**,  
მაგრამ ნიშნობაში მეც უნდა ვიყო“; „**მამა უღალბებდა** **სინტაქსურ**  
**ბით ცხოვრობდა**“ [კვაჭაძე 2010: 50].

სამეცნიერო ლიტერატურაში მართებულად *სინტაქსურ* ან *პარანომაზიული*  
რომ „სინტაქსურად პარანომაზია ერთი მთლიანობა, თუ წინააღ  
დებაში შემასმენელს წარმოადგენს. პარანომაზიულად *სინტაქსურ*  
სიტყვის ცალკე სინტაქსურ ერთეულად გამოყოფა არ შეუძლებელია,  
წინააღმდეგ შემთხვევაში პარანომაზია კარგავს თავის სარგებო  
კას და მოცემული მრავალსიტყვაობა გაუგებარი ხდება“ [წერეთელი  
1954: 476]. მკვლევრის თვალსაზრისით, პარანომაზია სინტაქს  
სურად სხვა არაფერია, თუ არა შედგენილი შემასმენელი. სინტაქსურ  
ხედულებით, პარანომაზიული წყვილი მყარ სიტყვათა შეჯიბრ  
ებად გვევლინება, ერთ ცნებას გამოხატავს და შემასმენელი, მაგ  
რამ არა შედგენილი შემასმენელი, არამედ მყარ სიტყვათა შეჯიბრ  
შირებით გადმოცემული შემასმენელი: „შედგენილ შემასმენელში  
ზმნის პირიანი ფორმა დამხმარეა, მეშველია, შემასმენლის გამო  
ხატვის ძირითადი დატვირთვა სახელად ნაწილზეა. პარანომა  
ზიულ გამოთქმებში კი ზმნის პირიანი ფორმა ნახმარია თავისი  
ძირითადი მნიშვნელობით, იგი თავისთავადია და არა მეშველი“  
[კვაჭაძე 2010: 51].

რამდენადაც ქართული პარანომაზიული გამოთქმების შე  
მადგენელ წევრთა სინტაქსურ რაობაზე შეუძლებელია მკვლევო  
ბა, ცხადია, იგი ცალკე სახით ვერ შექმნის შესიტყვებას. იმ  
მთლიანად მიემართება ერთ წევრს, იმ სიტყვას, რომელზეც სინ  
ტაქსურად უკავშირდება:

1. ზოგჯერ **სიცილით იცინის**
2. მათი **სიცილით იცინის**
3. მათი **ტირილით ტირის**
4. იგი **სიცილით იცინის**

შესიტყვების გამოყოფის საკითხი როგორ დადგება კომუნიკატივებთან? როგორც საენათმეცნიერო ლიტერატურაშია ცნობილი, საკომუნიკაციო საშუალება ორი სახისაა: 1. წინადადება, რომელიც მოიცავს სინტაქსური კანონების მიხედვით ერთმანეთთან დაკავშირებულ სიტყვებს (წინადადების წევრებს) და 2. დაუნაწევრებელი ერთეულები, რომელთაც კომუნიკატივები ეწოდება. ე. ი., წინადადება და კომუნიკატივი ერთმანეთისაგან განსხვავებული საურთიერთო საშუალებებია. ა. კიზირიას მიაჩნია, რომ კომუნიკატივი ვერ იქნება წინადადება, რადგან მასში არ გვხვდება წინადადებისათვის დამახასიათებელი ნიშნები, თუმცა წინადადებაცა და კომუნიკატივიც საინფორმაციო საშუალებებია. კომუნიკატივებად მიჩნეულია: ე. წ. სახელდებითი წინადადებები, ცალკეული წამომახილები, ამბები, გაზეთებისა თუ ჟურნალების სახელწოდებანი, ნაწარმოებთა სათაურები და ქვესათაურები, შორისდებულები და მიგებითი ნაწილაკები [კიზირია 1987: 66-67].

ჩამოთვლილ კომუნიკატივებში არ დადგება შესიტყვების გამოყოფის საკითხი, მათ შორის არც სახელდებით წინადადებებში: „ახოვანი ტანი, მაღალი კეთილშობილური შუბლი, მშვენიერი მოზრდილი წვერი, მშვენიერივე გამომეტყველებით აღსავსე დიდრონი თვალები“ (მოგ. აკ.); „სუფრაზე გრძელი და მოსაწყენი სადღეგრძელოები, ერთმანეთის უზომო ქება, ვიღაცის კილვა და დაცინვა, მეგობრობისა და ერთგულების მტკიცებითა, ღვინის დამალება და დანამუსება“ (ნინოშვ.); „კარში პირქვე ჩაწოლილი მამა და მის ზურგზე ტალახიანი ტერფის ანაბეჭდი; თვალებდაწყეტილი, მაგიდის ფეხს ჩაფრენილი ბებია“ (ჭილ.); „სოფელი, კარგად მოვლილი კარმიდამო, ქვითკირის პალატაზე წამოდგმული ხის ოდა, მაღალ ბოძებზე შემდგარი ნალია, გადაბელილ ხეზე მიყუდებული სარები... (იოს.). მართალია, გარკვეულწილად მასში შემაჯავალ სიტყვებს ერთმანეთთან აზრობრივი მიმართება აქვთ, მაგრამ ეს არ არის სინტაქსური კავშირი. მაგალითად, პირველი წინადადების მაგალითზე არ გამოიყოფა შესიტყვებები – ახოვანი ტანი, მაღალი შუბლი, მოზრდილი წვერი... მთავარი ფაქტორი, რის გამოც დასახელებულ წინადადებებში არ გამოი-

ყოფა შესიტყვევები, ისაა, რომ კომუნიკაციები მხოლოდ ერთ-ერთი ინტონაციის მექონე ერთეულებია. გარდა ამისა, სინტაქსური კავშირი არ მყარდება იმიტომ, რომ მოყვანილ წინადადებებს დაუნაწევრებელი ერთეულებია და არა წინადადების წევრები. შესიტყვევა კი მხოლოდ წინადადების წევრებს შორის შეიძლება წარმოიქმნას.

არნ. ჩიქობავა იმანენტიზმის თვალსაზრისით ყურადღებას ამახვილებს ხანძარი! ტიპის ფორმებზე. მას უპირისპირდება იგივე სიტყვა (ხანძარი), ოღონდ არაინტონაციური. მკვლევარი მიიჩნევს, რომ იმანენტიზმის თვალსაზრისით ორივე არის ცალკე სიტყვა. ფუნქციის მიხედვით კი მათ შორის არსებითი განსხვავებაა. აღნიშნავს, რომ ის მთელ ფრაზას უდრის (= ხანძარი გაჩნდა, ცეცხლი უკიდია რაღაცას). ე. ი. მათ გარეგნულად ინტონაცია განსხვავებს, ეს ინტონაცია ფსიქიკურ-ენობრივია და არა ფორმალურ-ენობრივი. ენის მოვლენათა აღწერისას მისი გათვალისწინება არც საჭიროა და არც შესაძლებელი [ჩიქობავა 1968: 108].

ანალოგიური იქნება მსჯელობა რეკლამის ენაში გამოყენებული მარტივი სლოგანების შესახებ. როგორც ცნობილია, რეკლამაში ძირითადად იყენებენ მოკლე, ლაკონიურ ფრაზებს, მარტივი წინადადებით ახერხებენ მთავარი სათქმელის გადმოცემას, ხშირ შემთხვევაში გამოყენებულია წინადადებათა უზმნო კონსტრუქციები:

ბორჯომი – გათავისუფლდი ზედმეტისაგან!

ნატახტარი – ნატახტარი ჩვენი ლუდია!

მაკდონალდსი – აი, რა მიყვარს.

ზედაზენი – აბა რა!

თიბისი – მუდამ თქვენ გვერდით.

ავერსი – თქვენი ოჯახის აფთიაქი.

ლიბერთი ბანკი – ყველგან და ყოველთვის.

ჩვენი აზრით, რეკლამაში გამოყენებული სლოგანები ვერ ჩაითვლება სრულ წინადადებებად. ისინიც კომუნიკაციებს, ანუ დაუნაწევრებელ ერთეულებს მიეკუთვნებიან, როგორც ერთ-ერთი ინტონაციის მექონე ერთეული და საინფორმაციო საშუალება [ბურჭულაძე 2016: 14-19]. ამიტომ ისინი, როგორც წინადადებები

წევრები, ვერ შევლენ შესიტყვებაში, მათ შორის, ისეთი ჰიპოტაქსური კონსტრუქციები, რომლებიც ელიფსური სახის რთული ქვეწყობილი წინადადებებია: ხარისხი, რომელსაც ვენდობით; სახლი, რომელიც ჯერ არ უნახავს თბილისს; ვინც საკუთარ გზას ირჩევს; როცა სიმძლავრეს ერთვის კომფორტი...

## შესიტყვების გამოყოფის საკითხები რთულ წინადადებაში

### 1. რთული თანწყობილი წინადადება

როგორც აღინიშნა, საენათმეცნიერო შრომებში შესიტყვებათა საკითხის გადაჭრას ყველა ავტორი სხვადასხვანაირად ცდილობს. ქართულ ენაში სპეციფიკურია შესიტყვებათა გამოყოფის პრინციპი, რადგანაც აგებულების მიხედვით სხვადასხვა სახის წინადადებები გვაქვს (მარტივი, შერწყმული და რთული). ამიტომ სინტაგმათა გამოყოფის საკითხები ამაზეცაა დამოკიდებული.

ვ. თოფურიას მნიშვნელოვანი დებულების მიხედვით, „პარატაქსი (თანწყობა) ისტორიულად უსწრებს ჰიპოტაქსს (ქვეწყობას)... ინდოევროპულ და სხვა ენათა განვითარების საფეხურთა ქრონოლოგიური გათვალისწინებით ირკვევა, რომ უძველეს საფეხურზე რთული წინადადება იყო უკავშირო, ასიდენტური, ურთიერთობა გამოიხატებოდა მხოლოდ ინტონაციით. თანწყობილი და ქვეწყობილი წინადადების სახეები უნდა გამორკვეულიყო მხოლოდ ინტონაციის საშუალებით“ [თოფურია 1960: 7]. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ის ფაქტი, რომ პარატაქსიდან ჰიპოტაქსზე გადასვლის თანმდევი საფეხურები ზანურშია დადასტურებული – მასში წარმოდგენილია რთული წინადადების უძველესი საფეხური, როცა თანწყობილი და ქვეწყობილი წინადადება ერთმანეთისაგან გაირჩეოდა მხოლოდ ინტონაციით [ახალაია 2004: 190].

ზოგადად, რთული წინადადების ნაწილების აზრობრივი და გრამატიკული მიმართება მრავალფეროვანია. „თანწყობა გულისხმობს ერთიმეორის მიმართ გრამატიკულად თანასწორ წინადადებათა შეერთება-დაკავშირებას, ხოლო თანწყობის საშუალებით მიღებულ წინადადებას რთული თანწყობილი წინადადება ჰქვია [კვაჭაძე 2010: 343]. სხვა თვალსაზრისით, თანწყობის საფუძველზე გაერთიანებული პრედიკატული ცენტრები ქმნიან პარატაქსული კონსტრუქციის წინადადებას. თანწყობის საფუძ-

ველზე გაერთიანებულ ზმნა-შემასმენელთა ურთიერთობა უნდა განიხილებოდეს არა როგორც ერთგვარ წევრთა, არამედ როგორც წინადადებათა პარატაქსული კონსტრუქციის წინადადება. ამის მიხედვით, გვექნება **მონოპრედიკატული** და **პოლიპრედიკატული** წინადადებები. მონოპრედიკატულ წინადადებაში გვაქვს მხოლოდ ერთი პრედიკატული ცენტრი. პოლიპრედიკატულია წინადადება, რომელშიც მონაწილეობს რამდენიმე ზმნა-შემასმენელი [ჭიკაძე 1995: 166-169]. რამდენადაც პრედიკაცია დაედო საფუძვლად მკვლევრის თვალსაზრისს, ჩამოყალიბდა წინადადების აგებულების შემდეგი სქემა:

**მონოპრედიკატული:** მონოტაქსური ანუ ოდენწყობილი

**პოლიპრედიკატული:** ა) პარატაქსული ანუ თანწყობილი  
ბ) ჰიპოტაქსური ანუ ქვეწყობილი

ყველა ზმნა-შემასმენელს ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი სინტაქსური კონსტრუქცია აქვს. ისინი თავისი ფუნქციით წევრ-წინადადებები ანუ პრედიკატული ცენტრებია, ერთმანეთთან დაკავშირებული არიან თანწყობით და ქმნიან პარატაქსული კონსტრუქციის წინადადებას [ჭიკაძე 2017: 72]. მკვლევრის აზრით, ეს შეუძლია მხოლოდ ზმნა-შემასმენელს, რომელიც ქმნის პარატაქსულ ან ჰიპოტაქსურ კონსტრუქციას. ამ თვალსაზრისთან დაკავშირებით გამოთქმულია შენიშვნა: „ჰიპოტაქსურ (თუ პარატაქსულ) კონსტრუქციას ზმნა-შემასმენელი კი არ ქმნის, არამედ სათანადო კავშირები თუ წევრ-კავშირები. ამიტომაცაა, არიან ენები, რომლებშიც ქვეწყობა არცა გვაქვს საერთოდ“ [ბურჭულაძე 2003: 49].

მიიჩნევენ, რომ რთულ წინადადებაში სინტაქსურ წყვილთა რაოდენობა მასში შემავალ წინადადებებში ცალ-ცალკე იანგარიშება [კვაჭაძე 2010: 16]. მაგალითად, წინადადება „ქალიშვილები წავიდნენ და ნოდარმა ბურთი მომაწოდა“ რთული თანწყობილია და შედგება ორი მარტივი წინადადებისაგან. შესაბამისად, თითოეულ წინადადებაში ცალ-ცალკე გამოიყოფა შესიტყვებები. მოყვანილი წინადადების პირველ ნაწილში ორი წევრია და ამიტომ, ერთი წყვილი გამოიყოფა:

## 1. ქალიშვილები წავიდნენ

მეორე ნაწილში კი სამი წევრი გვაქვს და ორი წყვილი გამოყოფა:

### 1. ნოდარმა მომაწოდა

### 2. ბურთი მომაწოდა

შესიტყვებათა გამოყოფისას ჩვენთვისაც ამოსავალია შემდეგი ფაქტორი: „შერწყმული წინადადების შემასმენლები ერთ ქვემდებარესთან არიან დაკავშირებული, რთულ თანწყობილ წინადადებაში კი თითოეულ შემასმენელს თავისი ქვემდებარე აქვს“ [ბურჭულაძე 2003: 50]<sup>1</sup>.

მაშასადამე, შესიტყვებათა გამოყოფის პრინციპი რთულ თანწყობილ კონსტრუქციაში ზუსტად ისეთია, როგორც მარტივი წინადადების შემთხვევაში გვქონდა.

ყველა სახის თანწყობილ წინადადებაში ასე გამოიყოფა შესიტყვებები. როგორც ცნობილია, პარატაქსული წინადადება სხვადასხვა სახისაა: უკავშირო, მაჯგუფებელკავშირიანი, მაპირისპირებელკავშირიანი, მაცალკევებელკავშირიანი:

„სასაფლაოზე პატარა ბორცვი აღარსად ჩანდა, ერთიანად თოვლს დაეფარა, ირგვლივ ყველაფერი თეთრად ქათქათებდა (ფანჯ.); „მადლიდან ორბის თვალეზივით იყურებოდა გამოქვაბულები და კარგა ჩანდა ამ გამოქვაბულთა წინა მოედანი“ (იოს.); „მთის ძირში წყალი აქაფებული მოჰზუოდა, წყლის აქეთ პირას კი გზატკეცილი მიიკლაკნებოდა“ (ილია); „ან ყველაფერი თავიდან იწყებოდა, ან ძველი გრძელდებოდა“ (თ. ბიბლ.); „ისევ დაიწყო პეტრემ, მაგრამ ქალმა ისევ შეაწყვეტინა“ (ჭილ.).

## **უკავშირო რთული თანწყობილი წინადადების შესიტყვებები**

ზოგი ტიპის რთული თანწყობილი წინადადების ნაწილები ერთმანეთს რაიმე სახის კავშირით კი არ გამოეყოფიან, არამედ უკავშიროდ, ინტონაციურად: „ბექა ერთიანად გაწითლდა, კი-

<sup>1</sup> შერწყმული წინადადების შესიტყვებათა შესახებ ანალიზი იხ. ქვემოთ.

სერზე ძარღვები დაებერა, საჭეზე ჩაჭიდებული დიდი ხელები შეუთრთოლდა“ (ინაშ.:); „გზა თანდათან გაუარესდა, ერთ ადგილას მანქანის თვალი ტალახიან ორმოში ჩავარდა“ (ფანჯ.); „შეგირდებმა გადაიხარხარეს, მასწავლებელმა უღვაშებში ჩაიცინა“ (აკაკი).

ყველა უკავშირო პარატაქსულ წინადადებაში, რამდენი ნაწილისაგან (წინადადებისაგან) არ უნდა შედგებოდეს ის, თითოეულ ნაწილს ცალ-ცალკე გამოეყოფა შესიტყვებები. მაგალითად, წინადადება „ბექა ერთიანად გაწითლდა, კისერზე ძარღვები დაებერა, საჭეზე ჩაჭიდებული დიდი ხელები შეუთრთოლდა“ სამი მარტივი წინადადებისაგან შედგება. შესაბამისად, თითოეულ მათგანში სინტაქსური წყვილები ასე გამოიყოფა:

პირველი წინადადება (სამწევრიანი წინადადებაა და ორი შესიტყვება გამოიყოფა):

1. ბექა გაწითლდა

2. ერთიანად გაწითლდა

მეორე წინადადება (სამწევრიანი წინადადებაა და ორი შესიტყვება გამოიყოფა):

1. კისერზე დაებერა

2. ძარღვები დაებერა

მესამე წინადადება (ხუთწევრიანი წინადადებაა და ოთხი წევრი გამოიყოფა)

1. ხელები შეუთრთოლდა

2. დიდი ხელები

3. ჩაჭიდებული ხელები

4. საჭეზე ჩაჭიდებული

მაშასადამე, წინადადებაში სულ თერთმეტი წევრი იყო და მთლიანობაში გამოიყო რვა შესიტყვება.

მაპირისპირებელ კავშირთაგან რთულ თანწყობილ წინადადებებში გამოიყენება **მაგრამ**, **ხოლო** და **კი**. ამათგან ყველაზე გავრცელებულია **მაგრამ** კავშირი, **ხოლო** და **კი** უფრო სამწერლობო ენის კუთვნილებაა [კვაჭაძე 2010: 356]: „მე ბევრი მქონდა სათქმელი, **მაგრამ** დღეები უცებ გადიან“ (ჭილ.); „ყოველი წერთი ნამუშევრის მიღმა ცოცხალი ადამიანი იდგა, **ხოლო** ამ ადამიანის

ბედი ჩვენ ხელთ იყო“ (ონაშ.); „ებრძვის წყალს მღვდელი, ხალხი კი აქედან წასახალისებლად ხმას აძლევს“ (ილია).

ცხადია, შესიტყვებაში მონაწილეობას ვერ მიიღებენ წარმოდგენილი კავშირები, რადგანაც ისინი წინადადების წევრები არ არიან. ამიტომ, სინტაქსური წყვილების გამოყოფისას არ გაითვალისწინება და ვერ შექმნიან შესიტყვებას ვერც ცალკე, დამოუკიდებლად და ვერც სხვა წევრთან ერთად – „მე ბევრი მქონდა სათქმელი, მაგრამ დღეები უცებ გადიან“:

პირველი ნაწილი:

1. მე მქონდა სათქმელი
2. ბევრი მქონდა სათქმელი

მეორე ნაწილი:

1. დღეები გადიან
2. უცებ გადიან

მაცალკევებელ კავშირთაგან რთულ თანწყობილ წინადადებაში ხშირად დასტურდება **ან-ან**, **ან-ანდა**, **ან არადა**, **ან-კიდევ**, **ხან-ხან**, **ხან-ხან კიდევ**, **გინდ**, **თუნდ**: „**ან** მე აღარ ვიქნები, **ან** ის მოწაფე გააგდეთ“ (ილია); „**ხან** ელექტრონი არაა, **ხან** სარტყელია გაწყვეტილი, **ხან** იმ უშველებელი დოლაზის მოკოდვა დაეზარათ“ (იოს.); „**ხე ან** მოჭრეს, **ანდა** ძალიან გაიზარდა“ (აკაკი); „**ან** რომელი წაყვებოდა იასონს, **ან არადა** რომელს გაუშვებდა თვითონ“ (ჭილ.).

დასახელებულ შემთხვევებშიც არ მიიღებენ მონაწილეობას მაცალკევებელი კავშირები: „**ან** რომელი წაყვებოდა იასონს, **ან** არადა რომელს გაუშვებდა თვითონ“:

პირველი ნაწილი:

1. რომელი წაყვებოდა
2. წაყვებოდა იასონს

მეორე ნაწილი:

1. რომელს გაუშვებდა

2. გაუშვებდა თვითონ

**ანდა** კავშირი ცალკეც გვხვდება რთულ თანწყობილ წინადადებაში: „მანც გაუშხელდი ვინმეს, **ანდა** სულაც ჩვენით შეგამჩნევდით“, „რუკას ძახილი არავის გაუგონია, **ანდა** ვინ გაიგონებდა“ [ჭიკაძე 1995: 68]. ასეთ შემთხვევაშიც ანდა კავშირი ვერ შევა წყვილის ცალად შესიტყვებაში.

პარატაქსულ წინადადებაში მაცალკევებელი **გინდ** და **თუნდ** კავშირები განმეორებულად გამოიყენება (გინდ-გინდ, თუნდ-თუნდ), ისინი მნიშვნელობით ერთნაირია და მიგვითითებენ, რომ თანწყობილი წინადადების ნაწილებში დასახელებულ ამბავთაგან ერთ-ერთი უნდა იქნეს არჩეული: გინდ მე წავალ, გინდ შენ წადი... მსგავსი კონსტრუქციის წინადადებებში **გინდ წავალ/გინდ წადი** შესიტყვებები არ გამოიყოფა. ისინი უბრალოდ მაცალკევებელი ფუნქციის მქონე კავშირები არიან, როგორებიც ზემოთ განხილული **ან-ან, ხან-ხან, მაგრამ, ხოლო, კი...** კავშირები. გარდა იმისა, რომ ისინი არ არიან წინადადების წევრნი, არც სინტაქსური მიმართება აქვთ შესაბამის წევრთან (მათ შორის არ არის გრამატიკული კავშირიც). როგორც აღინიშნა, მხოლოდ წინადადების ერთ ნაწილს აკავშირებს (ხან მაჯგუფებელი, ხან მაპირისპირებელი თუ მაცალკევებელი ფუნქციით). მხოლოდ დაკავშირების ფუნქცია ვერ გამოდგება შესიტყვების გამოსაყოფად. სხვაგვარი ვითარება გვაქვს რთული ქვეწყობილი წინადადების კავშირებთან.

## 2. შერწყმული წინადადება

სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა შერწყმული წინადადების ცალკე ტიპად გამოყოფის შესახებ. ერთნი მას გამიჯნავენ ცალკე, როგორც აგებულებით განსხვავებულ კონსტრუქციას, ზოგისთვის მას შუალედური ადგილი უკავია მარტივსა და რთულ წინადადებებს შორის, ზოგიც არ გამოყოფს

მას ცალკე სახედ. რამდენადაც წინადადების სტრუქტურის ძირითადი მახასიათებელია მონოპრედიკატულობა და პრედიკატულობა, დაისმის კიდევ კითხვა – ასეთ კლასიფიკაციაში შერწყმული წინადადების ადგილი არის თუ არა, როგორც დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეულისა? რ. ჭიკაძისათვის მიუღებელია ის თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც წინადადების რომელიმე სტრუქტურულ ერთეულს შუალედური ადგილი ეკავოს და ამ ნიშნით იგი დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულად ჩამოყალიბდეს. მკვლევრის აზრით, შერწყმულად მიჩნეული მონოპრედიკატული წინადადება სტრუქტურულად მარტივი წინადადებაა, ხოლო პოლიპრედიკატული შერწყმული წინადადება – რთული. ამის მიხედვით, შერწყმული წინადადება არ არის დამოუკიდებელი თვითმყოფადი სტრუქტურული ერთეული [ჭიკაძე 2017: 66-67].

ზემოგანხილული სხვადასხვა თვალსაზრისის მიუხედავად, სინტაქსურ წყვილთა გამოყოფა სპეციფიკურია ამ ტიპის წინადადებებში.

სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ წყვილების შედგენის თვალსაზრისით შერწყმულ წინადადებაში ზოგჯერ ისეთი ვითარებაა, როგორც ისეთ მარტივ წინადადებაში, სადაც წინადადების წევრი ერთზე მეტი სიტყვით არის გადმოცემული [კვაჭაძე 2010: 15]: „ქალები და ვაჟები რიგრიგობით უახლოვდებოდნენ მუხას“ (გამს.). სინტაქსური წყვილები ასე გამოიყოფა:

1. ქალები და ვაჟები უახლოვდებოდნენ
2. რიგრიგობით უახლოვდებოდნენ
3. უახლოვდებოდნენ მუხას

მაშასადამე, წინადადებაში არსებული ერთგვარი ქვემდებარეები ცალ-ცალკე კი არ შევლენ შესიტყვების წევრად, არამედ ერთად ქმნიან სინტაქსური წყვილის ცალს. მოყვანილი თვალსაზრისის მიხედვით ჩანს, რომ ერთგვარი წევრები გააზრებულია, როგორც არა ორი სხვადასხვა წევრი, არამედ ერთი წევრი. ამის მიზეზი, როგორც ჩანს, ის ფაქტორია, რომ ისინი ერთი და იგივე წევრები არიან (ერთგვარი ქვემდებარეები, შემასმენლები, პირდაპირი, ირიბი და უბრალო დამატებები, განსაზღვრებები,

გარემოებები). ამიტომ რაოდენობა უგულებელყოფილია. ასეთ გამოყოფას ხელს უწყობს ისიც, რომ ერთსა და იმავე რიცხვში დგანან და ისე უთანხმდებიან რიცხვში შესაბამის ზმნა-შემასმენელს.

ერთგვარქვემდებარეანი წინადადებაში შესაძლოა ერთგვარ წევრს ახლდეს ამხსნელი ანუ მიმყოლი სიტყვები, ან არა: „მათი სილამაზე და მზეთუნახაობა არც ერთს გზას არ დააკარგვინებს“ (აკაკი); „მშვენიერი საღამო, ნათელი მთვარე, ნაზი ბუნება განმარტოებულ ოცნებისათვის იზიდავდა კაცს“ (ყაზბ.); „...იქვე ელაგა დამბაჩები, თოფები და ჯაზაირები, ოქროს ზარნიშოანი სატევრები, ვადამოხატული დამბაჩები, რკინის პერანგები, ჩუგლუგები და მუზარადები, ქართული უნაგირები, ამაზონური კაბები და ასალები“ (გამს.).

პირველ წინადადებაში ერთგვარი წევრები სინტაქსურად მიემართებიან როგორც ზმნა-შემასმენელს (არ დააკარგვინებს), ისე განსაზღვრებას (მათი). ამიტომ შესიტყვებათა გამოყოფისას ისინი წყვილის ცალუბად ერთად შევლენ მისამართ წევრთან:

1. მათი სილამაზე და მზეთუნახაობა

2. სილამაზე და მზეთუნახაობა არ დააკარგვინებს

როგორ გამოიყოფა შესიტყვებები ისეთ შერწყმულ წინადადებებში, სადაც ერთგვარ წევრებს ახლავს ამხსნელი სიტყვები? ასეთ შემთხვევებში ზემოთ აღნიშნული წესი ვერ გამოდგება, ისინი ერთად, ერთ წევრად ვერ შექმნიან სინტაქსურ წყვილს შესაბამის წევრთან. ცხადია, აქ ანალოგიური ვითარება არ იქნება. მაგალითად, წინადადებაში „მშვენიერი საღამო, ნათელი მთვარე, ნაზი ბუნება განმარტოებულ ოცნებისათვის იზიდავდა კაცს“ თითოეულ ერთგვარ ქვემდებარეს თან ახლავს თავისივე განსაზღვრება. ისინი ხომ წინადადების წევრები არიან და სინტაქსურად მიემართებიან შესაბამის წევრსაც და ზმნა-შემასმენელსაც. ასეთ შემთხვევაში, ვფიქრობთ, ისინი ცალ-ცალკე შევლენ შესიტყვების წევრადაც შესაბამის წევრთან და ერთადაც საერთო ზმნა-შემასმენელთან:

1. მშვენიერი საღამო

2. ნათელი მთვარე

3. ნაზი ბუნება
4. საღამო, მთვარე, ბუნება იზიდავდა
5. განმარტოებული ოცნებისათვის
6. იზიდავდა კაცს

მასხადამე, მეტი წყვილი გამოიყო, ვიდრე ისეთი სახის შერწყმულ წინადადებებში, რომლებშიც ერთგვარ წევრებს არ ახლავთ ამხსნელი სიტყვები.

ერთგვარშემასმენლიან შერწყმულ წინადადებაში ერთგვარი შემასმენლეები ერთად შევა წყვილის ცალად შესაბამის წევრთან ერთად: „მათ მიმიკეტეს კარები და დამტოვეს მარტო“ (აკაკი); „აილო ისევ კაც ზვამბაიამ, გაავსო და მეზორნეს მიაწოდა“ (გამს.); „აი, მე გავლანძღვ, დავტუქსავ, დავწყევლი...“ (ილია); „ამისთვის ის ამდგარიყო, გამოსულიყო გარედ და დასუსტებული წმინდა ჰაერზე კარებთან დამჯდარიყო“ (ყაზბ.). მაგალითად, პირველ წინადადებაში შემდეგნაირად გამოიყოფა შესიტყვებები:

1. მათ მიმიკეტეს, დამტოვეს
2. მიმიკეტეს კარები
3. დამტოვეს მარტო

აქაც გამოიკვეთა ის ვითარება, რომ ერთგვარი შემასმენლეები ერთ საერთო წევრთან ერთად შედიან სინტაქსურ წყვილად, ხოლო მხოლოდ მისთვის თანმხლებ წევრთან ერთად ცალ-ცალკე შევა შესიტყვებაში.

ამგვარი იქნება ყველა ტიპის შერწყმული წინადადების შემთხვევაში.

როგორ გამოიყოფა სინტაქსური წყვილები ისეთ ერთგვარშემასმენლიან შერწყმულ წინადადებაში, რომელშიც ერთგვარ შემასმენლეებს საერთო წევრად მოეპოვება პირდაპირი ან ირიბი დამატება. რ. ჭიკაძემ ასეთი ტიპის წინადადებებს რამდენიმე მოხსენება თუ სტატია მიუძღვნა, რომლებშიც გამოთქვამდა თვალსაზრისს, რომ ქართული ზმნის პოლიპერსონალიზმიდან გამომდინარე, ერთგვარ შემასმენელთა მიმართება უნდა განვიხილოთ არა მხოლოდ საერთო ქვემდებარესთან, არამედ საერო პირმიმართ დამატებასთან მიმართებითაც [ჭიკაძე 1984]. მკვლევარი იყენებს

ტერმინს **მისამართი წევრი**, მოგვიანებით კი – **საერთო მისამართი წევრი**. გ. ბურჭულაძე ამასთან დაკავშირებით შენიშნავდა, რომ ის „მარჯვე ტერმინია – ადეკვატურად ამსახველი იმ სინტაქსური დამოკიდებულებისა, რასაც ასეთი სიტყვა ავლენს სათანადო შემთხვევაში. ოღონდ ჩნდება ასოციაცია მისამართ და მიმართებით სიტყვებთან, ე. წ. წევრ-კავშირებიან რთულ ქვეწყობილ წინადადებაში რომ გვხვდება“ [ბურჭულაძე 2003: 47]. ამ ტიპის წინადადების შესახებ დებულება განავითარა გ. ბურჭულაძემ: „ქართულში შერწყმული წინადადების სახეობათა ტრადიციულ კლასიფიკაციაში ერთგვარშემასმენლიანი წინადადება განხილულია არა მხოლოდ ერთ საერთო ქვემდებარესთან, არამედ ერთ საერთო პირდაპირ და ირიბ-დამატება ობიექტებთანაც“ [ბურჭულაძე 1979: 150]: „მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის“; „ან ბრაზიანმა ძაღლმა არ დაგგლიჯოს, ან გველმა არ დაგკბინოსო“; „გული მიტოკავს და მკლავი მითრთის“; „კლანჭები დამიდუნდა, კისერზე ბუმბული ამეშალა“...

მოყვანილ წინადადებებში საერთო წევრად პირდაპირი ან ირიბი დამატება გვევლინება. სინტაქსურ წყვილთა გამოყოფისას უთუოდ გასათვალისწინებელია საერთო წევრის სინტაქსური როლი შესიტყვებაში. მაგალითად: „მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის“:

- |   |   |    |
|---|---|----|
| <ol style="list-style-type: none"> <li>1. მე მნიშნავს, მზრდის</li> <li>2. ცა მნიშნავს</li> <li>3. ერი მზრდის</li> </ol> | } | მე |
|---|---|----|

ან კიდევ: „[მე] გული მიტოკავს და მკლავი მითრთის“:

- |   |   |    |
|---|---|----|
| <ol style="list-style-type: none"> <li>1. გული მიტოკავს</li> <li>2. მკლავი მითრთის</li> </ol> | } | მე |
|---|---|----|

რამდენადაც მოყვანილ ზმნებს ახლავს თავ-თავისი ქვემდებარე, ამიტომ ისინი ცალკე ქმნიან სინტაქსურ წყვილებს.

საგანგებო ყურადღებას იპყრობს ისეთი ერთგვარუბრალო-დამატებიანი წინადადებები, რომლებშიც უბრალო დამატებები წარმოდგენილია სხვადასხვა ბრუნვის ფორმით: „ლოცვა არც ფულზედ და არც ფულით არ იყიდება“ (ილია); „ეს მთვრალეები კეტებით გაჩეჩკვავდნენ, მსხალივით“ (ჭილ.); „მუსიკასავით შეესმოდა მათი ჟღივილი, ხორცთა მატკობელ შეწყობილ ხმებად“ (ბარნ.).

დასახელებული სახის წინადადებები მიჩნეულია უბრალოდამატებიან შერწყმულ წინადადებად იმის მიხედვით, რომ წინადადებაში არსებული უბრალო დამატებები ერთ საერთო წევრს მიემართებიან (მაგ.: **ფულზედ და ფულით იყიდება; მუსიკასავით და ხმებად შეესმოდა; კეტებით და მსხალივით გაჩეჩკვავდნენ**). ე. ი., ყველა უბრალო დამატება მიემართება ერთ საერთო წევრს – შემასმენელს. გარდა ამისა, მათ შორის იოლად ჩაისმება და კავშირი, რაც, ასევე, შერწყმული წინადადების დადგენისათვის ერთ-ერთი პირობაა (ფულზედ და ფულით; მუსიკასავით და ხმებად, კეტებით და მსხალივით). ჩვენი აზრით, ასეთი ტიპის წინადადებები ფუნქციურად კი არიან იდენტურნი, მაგრამ სტრუქტურულად ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. სინამდვილეში აქ **არაერთგვარი** უბრალო დამატებები გვაქვს. სტრუქტურულად ისინი უბრალო დამატების სხვადასხვა ნიუანსია. ამაზე ისიც მიუთითებს, რომ გამოხატულების პლანიც შესაბამისადაა რეალიზებული: ერთ შემთხვევაში ზმნა-შემასმენელი მოქმედებით ბრუნვაში მართავს სახელს (ფულით), მეორე შემთხვევაში კი იგივე ზმნა-შემასმენელი **-ზე** თანდებულის მეშვეობით მიცემით ბრუნვაში მართავს უბრალო დამატებას (ფულ-ზე) – ე. წ. შუალობითი მართვა [ბურჭულაძე 2014: 89-90]. ასეთი სტრუქტურის წინადადებები საინტერესოა შესიტყვებათა გამოყოფის თვალსაზრისითაც. ვფიქრობთ, აქ შერწყმული წინადადებისათვის დამახასიათებელი სინტაქსური წყვილები არ გამოიყოფა. თითოეული ასეთი უბრალო დამატება ცალ-ცალკე შევა შესიტყვების შემადგენელ ნაწილად. მაგალითად წინადადებაში „ლოცვა არც ფულზედ და არც ფულით არ იყიდება“ წყვილები ასე გამოიყოფა:

1. არ იყიდება ფულზედ
2. არ იყიდება ფულით
3. ლოცვა არ იყიდება

ან კიდევ – „ეს მთვრალეები კეტებით გაჩეჩქვავდნენ, მსხალივით“:

1. ეს მთვრალეები
2. კეტებით გაჩეჩქვავდნენ
3. მსხალივით გაჩეჩქვავდნენ

როგორც აღვნიშნეთ, აქ არაერთგვარი უბრალო დამატებები გვაქვს და არა ერთგვარი წევრები.

შერწყმული წინადადების განხილვისას ერთგვარ წევრთა გვერდით გამოყოფენ არაერთგვარწევრებიან შერწყმულ წინადადებასაც. აღვნიშნულია, რომ ერთ საერთო წევრთან დაკავშირებულია რამდენიმე (თანწყობილად შეკავშირებული) სხვადასხვა წევრი, რომლებიც მაერთებელი კავშირით თუ უკავშიროდ ისე არიან შეერთებული, როგორც ერთგვარი წევრები. კერძოდ:

„სადა და როდისა თქრიალს მოიღებს ჯარიო...“ (ვაჟა); „გლახკაცობაში საიდამ და როგორ უნდა დაწულიყო ამისთანა ზნე...“ (ილია); „სად, რისთვის და როდის ეჩქარებოდა ქართველს...“ (ჯავ.).

სპეციალურ ლიტერატურაში არაერთგვარწევრებიან წინადადებაში გამოყოფენ სხვადასხვა ჯგუფს: ორი სხვადასხვა სახის გარემოება, გარემოება და უბრალო დამატება, ქვემდებარე და გარემოება, პირმიმართი დამატება და გარემოება, ვითარების გარემოება და პრედიკატული განსაზღვრება [იმნაიშვილი 1988: 161-163]. დასახელებული ტიპის წინადადებები მიჩნეულია ახალჩამოყალიბებულად, მათი აღნუსხვა XIX ს-ის მწერალთა ნაწარმოებებიდან იწყებს ათვლას. მაგრამ ძველი ქართული მწერლობის რიგი ნიმუშის გაცნობამ არაერთგვარწევრებიანი წინადადების ძველად არსებობა ფაქტობრივ დაადასტურა [ბურჭულაძე 2005: 124-125]. ის გვხვდება ქართულის ზოგ დიალექტშიც.

არაერთგვარწევრებიანი წინადადება გაერთიანებულია შერწყმულ წინადადებაში ავტორთა მიერ (ლ. კვაჭაძე, ივ. იმნაიშვი-

ლი) იმის საფუძველზე, რომ არაერთგვარი წევრები ერთმანეთთან კავშირით თუ უკავშიროდ ერთგვარ წევრთა მსგავსად არიან დაკავშირებული. ფორმოზირივი თვალსაზრისით კავშირი ერთ სინტაქსურ დონეზე აყენებს ერთგვარ და არაერთგვარ წევრებს [იმნაიშვილი 1983: 166-170]. ჩვენი თვალსაზრისით, ისინი სინტაქსურად სხვადასხვა წევრია. ასეთი ტიპის წინადადებებს ვუწოდეთ შეკვეცილი სახის თანწყობილი წინადადება [ბურჭულაძე 2005: 128]. ამ ფაქტორის გათვალისწინებით, შესიტყვებები გამოიყოფა არა შერწყმული წინადადების მიხედვით, არამედ რთული თანწყობილი წინადადების მსგავსად: „სად, რისთვის და როდის ეჩქარებოდა ქართველს“:

1. სად ეჩქარებოდა
2. რისთვის ეჩქარებოდა
3. როდის ეჩქარებოდა
4. ეჩქარებოდა ქართველს

მაშასადამე, დასახელებულ შემთხვევებში იმდენი სინტაქსური წყვილი გამოიყო, რამდენი წევრიცაა წინადადებაში ერთის გამოკლებით. შესიტყვებათა გამოყოფის თვალსაზრისით წინადადების ეს ტიპი განსხვავდება სხვა სახის შერწყმული წინადადებებისაგან.

ქართულ ენაში საკმაოდ დასტურდება ისეთი წინადადებები, რომლებშიც გაუჩინარებულია უახლოესი (პირდაპირი) ობიექტი ან სუბიექტი. მსგავსი შემთხვევები გვხვდება როგორც მარტივ, ისე რთულ წინადადებებში. სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ ესაა ელიფსური შესიტყვებები. „რიგ შემთხვევაში გარდამავალი ზმნის შემცველ შესიტყვებაში შეიძლება არ აღმოჩნდეს გარდამავლობის განმსაზღვრელი ძირითადი სინტაქსური ნიშნები: უახლოესი (პირდაპირი) ობიექტი ან სუბიექტი... ამგვარი ელიფსური შესიტყვებები ძირითადად ნასახელარ ზმნებს ახასიათებს“ [სუხიშვილი 1986: 58-59]: „რა ხანია მამლაყინწამ იყივლა და გაათენა“; „გაციებულ თუჯის გროვაზე მუშა იჯდა, აბოლებდა“; „დასვენების მაგივრად ცის ქვეშ ათენებ“; „ოღონდ მაგას მადირსა, ოღონდ შშვიდად დამაძინა“; „ნეტავი ერთხელ კიდევ დამანახვა და მომკლა მეთქი“; „ნეტავ იმდენხანს მა-

ცოცხლა, ვიდრე ომის ვარამი ჩაივლის“ (მაგალითები მოყვანილია დასახელებული ნაშრომიდან).

გარდა ამისა, სამწერლობო ენაში შემჩნეულია არაერთი თავისებურება: ორზმნიანი მარტივი კონსტრუქციები, შემოკლებული რთული წინადადებები, ერთპრედიკატიანი ქვეწყობა, რთული წინადადების ნაწილების (პრედიკატული ერთეულების) სპეციფიკური განლაგება [კვანტალიანი 1990: 3].

ზემოთ დასახელებულ ყველა შემთხვევაში წინადადების **არსებული წევრების** მიხედვით გამოიყოფა სინტაქსური წყვილები.

### **3. რთული ქვეწყობილი წინადადება**

ცნობილია, რომ იბერიულ-კავკასიურ ენებში წინადადების ჰიპოტაქსური წყობა დამახასიათებელია ძირითადად ქართველური ენებისათვის. კერძოდ, ის სრულად არის ჩამოყალიბებული ქართულ ენაში. უფრო მეტიც, წინადადების ეს ტიპი უკვე ძველ სალიტერატურო ქართულში გვაქვს განვითარებული სახით წარმოდგენილი [როგავა 1948].

როგორც აღინიშნა, სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ წინადადების წევრები ერთმანეთს ენაში შემუშავებული გრამატიკული წესების მიხედვით უკავშირდება. ხოლო წევრებს შორის ენაში ისტორიულად შემუშავებული გრამატიკული წესების მიხედვით დამყარებულ კავშირს სინტაქსური კავშირი ჰქვია [კვაჭაძე 1996: 10]. რთული წინადადების შესახებ სინტაგმათა გამოყოფის მსჯელობისას შენიშნულია, რომ პარატაქსული წინადადების სინტაგმათა რაოდენობა მასში შემავალ წინადადებებში ცალ-ცალკე იანგარიშება [კვაჭაძე 1996: 17].

თუმცა ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ანალიზი არ გვხვდება იმის შესახებ, თუ რამდენი ან რა სახის სინტაგმები შეიძლება გამოიყოს რთულ ქვეწყობილ წინადადებაში. ეს საკითხი განსაკუთრებით საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ ჰიპოტაქსური წყობის წინადადება აგებულების მიხედვით ყველაზე რთულია და ვრცელიც. შენიშნულია, რომ ქართულში (ქართველურ

ენებში) **მეტყველების სემანტიკის** გარდამავალ ზმნათა მიერ შექმნილ **რთულ შესიტყვებებში** (მხედველობაშია რთული ჰიპოტაქსური კონსტრუქციები) შეიძლება გამოტოვებული იყოს გარდამავალზმნიანი შესიტყვების ძირითადი კომპონენტები – ქვემდებარე, პირდაპირი დამატება, შემასმენელი. ასეთ შემთხვევებში „ზმნის გრამატიკული კვალიფიკაცია არ იცვლება იმიტომ, რომ ქვემდებარის სინტაქსური ადგილი იგივე რჩება. ასევე პირდაპირი დამატების გამოტოვების შემთხვევაშიც: აქ პირდაპირი დამატების სინტაქსურ ადგილს პირდაპირ დამატებითი დამოკიდებული წინადადება იკავებს. ანალოგიურად უნდა ვიმსჯელოთ პრედიკატის გამოტოვების შემთხვევებშიც“ [სუხიშვილი 1999: 78].

ლ. კვაჭაძე მიუთითებდა ჰიპოტაქსური წყობის წინადადებაში შეკავშირების ერთ ტიპზე – იშვიათად გვაქვს ისეთი შემთხვევაც, როდესაც სიტყვის ფორმას ორი სხვადასხვა სიტყვა განსაზღვრავს: ერთი ბრუნვის მიხედვით, მეორე – რიცხვისა. ამის ნიმუშია მიმართებითი ნაცვალსახელი **რომელიც** (ასევე როგორიც). ეს ნაცვალსახელი ბრუნვაში ანგარიშს უწევს დამოკიდებული წინადადების იმ სიტყვას, რომელთანაც სინტაქსურ კავშირშია, ხოლო რიცხვში – მთავარი წინადადების მისამართ სიტყვას. ასევე ბრუნვაშიც – მას მოითხოვს გარკვეულ ბრუნვაში ზმნა-შემასმენელი, რომელთანაც ის წყვილში შედის: რომლებსაც გამოარჩევდით, რომლებიც გამოარჩიეთ. მაშასადამე, ნაცვალსახელი ეთანხმება რიცხვში მთავარი წინადადების ქვემდებარეს, ხოლო ბრუნვაში მართულია დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემასმენლისაგან [კვაჭაძე 1996: 30].

რუსულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში სინტაქსური კავშირისა და სინტაქსური ერთეულების საშუალებების შესახებ ანალიზისას გვხვდება მსჯელობა კავშირზეც. აღნიშნულია, რომ ის, როგორც ერთგვარწევრებიანი და რთული წინადადების ნაწილების დამაკავშირებელი საშუალება, გამოტახავს მათ **გრამატიკულ მნიშვნელობას**. მაგალითად მოყვანილია მაქვემდებარებელი კავშირები **როცა, რის შემდეგაც...** რომელნიც გამოხატავენ დროის მნიშვნელობას, ხოლო **იმიტომ რომ, ასე რომ...** – მიზეზის მნიშვნელობას [Бабайцева, Максимов 1981: 8-9].

ჩვენი თვალსაზრისით, რთულ ქვეწყობილ წინადადებაში სხვა კონსტრუქციისათვის დამახასიათებელი შესაძლებელი სიტყვათშეკავშირება ვერ გამოდგება. გასათვალისწინებელია ის ფაქტორი, რომ ჰიპოტაქსურ წინადადებაში ერთი წინადადების მეორისადმი დაქვემდებარებაა, თანაც, ზოგადად, დაქვემდებარება სხვადასხვა საშუალებითა და ხერხით ხორციელდება – აქვს თავისი ნიშნები, რომელთა უმეტესობაც გარეგნული მახასიათებლებითაა გამოხატული, ზოგი კი შინაგანი ნიშნითაა წარმოდგენილი. როგორც ცნობილია, დამოკიდებული წინადადების მთავრისადმი დაქვემდებარებისას გამოიყენება: მაქვემდებარებელი კავშირები, მიმართებითი ზმნიზედები და მიმართებითი ნაცვალსახელები. ამათგან მაქვემდებარებელი კავშირი დამოკიდებული წინადადების მთავართან გადაბმის, მისი დაქვემდებარების საშუალებაა, რადგან ის არ არის წინადადების წევრი. მიმართებითი სიტყვა კი წინადადების ერთ-ერთი წევრიცაა და ამავე დროს მაქვემდებარებელი კავშირის როლსაც ასრულებს, ე. ი., ის წევრ-კავშირია [კვაჭაძე 1996: 384]: „ამას ამბობდა იგი, **ვისაც** ასეთი ფაქიზი გული დაჰყოლია“ (გამს.); „ერთ დღეს კი მოხდა ის, **რასაც** არავინ არ ელოდა“ (ჭილ.); „იმისათვის საკმარისია ეს, **რაც** ახლა უეცრად გაიფიქრა“ (იოს.); „**რაც** გაქვთ, ის არ გინდათ“ (ჭილ.); „ამიტანე ისეთი, **როგორიცა** ვარ“ (ფანჯ.); „**რამდენიც** უნდათ, იმდენი მიყურონო“ (ჭილ.); „მე ის ფერები მიყვარდა, **რომელთა** შეზავება თვით მეწამლეებსა და მხატვრებსაც გადავიწყნიათ“; „შენ აასრულე, **რასაც** გიბრძანებენ“ (აკაკი); „**ვისაც** თვალი დაადგა, ყველანი მოიწონა“ (ჯავ.); „შენც ისა ხარ, **ვისიც** მოლოდინი ჩემს სულსა ჰქონია“ (ილია).

კვლევის ამ ეტაპზე ჩვენი ინტერესის სფეროა სინტაგმათა გამოყოფის საკითხი ისეთ ქვეწყობილ წინადადებაში, სადაც წინადადებათა დაქვემდებარების საშუალებად წევრ-კავშირები მოგვეპოვება. როგორც აღინიშნა, სინტაგმის გამოყოფას საფუძვლად უდევს ის გრამატიკული შეკავშირების პრინციპი, რომლის თანახმადაც ორი წევრი ქმნის ერთ სიტყვათა შეკავშირებას.

მაქვემდებარებელი კავშირი თუ წევრ-კავშირი დამოკიდებული წინადადების **სტრუქტურულ ნაწილს** წარმოადგენს. ის

ამავდროულად დამოკიდებული წინადადების გარეგნული ნიშანია – თუ რთული წინადადების რომელიმე ნაწილში მოიპოვება მაქვემდებარებელი კავშირი ან მიმართებითი სიტყვა, ეს იმის მანიშნებელია, რომ წინადადება მთლიანად რთული ქვეწყობილია, ხოლო თვით ამ სიტყვის შემცველი წინადადება – დამოკიდებული [კვაჭაძე 1996: 384]. ჰიპოტაქსური წინადადების მთავარ წინადადებაში ხშირად მოიპოვება ისეთი სიტყვა, რომელიც გვაპარაუდებინებს დამოკიდებულ წინადადებას. ასეთი სიტყვები ჩვეულებრივ ჩვენებითი ნაცვალსახელები და ზმნიზედებია, რომელთა ზოგად მნიშვნელობასაც აკონკრეტებს და აზუსტებს დამოკიდებული წინადადება. დამოკიდებული წინადადების მისათითებელ სიტყვებს, რომლებიც მთავარშია, საკორელაციო სიტყვები ჰქვია [კვაჭაძე 1996: 384-385]. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოყოფენ სხვადასხვა სახის კორელატებს: ის, იგი, ყოველი, ეს, რაც ვინც, რომელიც, იქ, მაშინ, ყველგან, მანამ, ამისათვის, ამიტომ, ასე, იმდენი, ისე, ისეთი... [ძიძიგური 1989: 323-364].

ჩვენი თვალსაზრისით, რთულ ქვეწყობილ წინადადებაში არსებული ნებისმიერი წევრ-კავშირი (მიმართებითი სიტყვები) სინტაქსურ წყვილში შესაბამის წევრთან ერთად მოიაზრება. რთული თანწყობილი წინადადების მსგავსად, აქ სინტაგმები ცალ-ცალკე იანგარიშება: ერთი მხრივ, მთავარი წინადადების, მეორე მხრივ – დამოკიდებულისა. მაგალითად, წინადადებაში „ვისაც ხალხი არ ჰყავს, იმას არც ღმერთი გააჩნია“ (რობ.) სინტაგმები შემდეგნაირად გამოიყოფა:

1. ვისაც არ ჰყავს
2. ხალხი არ ჰყავს
3. იმას გააჩნია
4. არც ღმერთი გააჩნია

დასახელებულ წინადადებაში ზუსტად ისე გამოიყო სინტაგმები, როგორც ცალკე აღებულ მარტივ წინადადებაში – მთავარი წინადადების სინტაგმების მსგავსად, რომელშიც წინადადების სამი წევრიდან (არც ნაწილაკია და, ცხადია, ის წინადადების წევრი არ არის. ამიტომ სახელთან (ღმერთი) ერთად შევა წყვილში) ორი წყვილი გამოიყო, დამოკიდებულ წინადადებაშიც ანა-

ლოგიურად დაიყო სინტაქსური წყვილები (მასში წინადადების სამი წევრია და, შესაბამისად, ორი წყვილი გამოვყავით) – ვისაც არ ჰყავს; ხალხი არ ჰყავს.

ან კიდევ, წინადადებაში „ავტორმა ზომით პატარა წერილში მოათავსა ყველაფერი, რაც დღემდე ცნობილია ფიროსმანის ცხოვრების შესახებ“ სინტაგმები ასე გამოიყოფა:

1. ავტორმა მოათავსა
2. წერილში მოათავსა
3. პატარა წერილში
4. ზომით პატარა
5. მოათავსა ყველაფერი
6. **რაც ცნობილია**
7. დღემდე ცნობილია
8. ფიროსმანის ცხოვრების შესახებ

ამათგან პირველი ხუთი სინტაგმა მთავარი წინადადების მიხედვით გამოიყო, ხოლო წყვილები – რაც ცნობილია, დღემდე ცნობილია და ფიროსმანის ცხოვრების შესახებ – დამოკიდებული წინადადების სინტაგმებია. ბოლო შესიტყვებაში **ცხოვრების შესახებ**, რა თქმა უნდა, ცალკე არ გამოვყავით, რადგან ნაწილაკები და თანდებულები წინადადების ცალკე წევრებად არ გამოიყოფიან, სინტაგმის კომპონენტები არ შეიძლება იყვნენ. ისინი იმ სიტყვებთან ერთად, რომელთაც ერთვიან, უკავშირდებიან სხვა სიტყვას და მთლიანად წარმოადგენენ სინტაგმას [კიზირია 1954: 213].

რა გვამღვეს იმის მყარ საფუძველს, რომ წევრ-კავშირი მივიჩნიოთ სინტაგმის ერთ-ერთ წევრად? პირველი ფაქტორი არის ის, რომ ასეთი სიტყვა წინადადების კავშირიცაა და ამავდროულად **წევრიც**. ის ასრულებს გარკვეული წევრის ფუნქციას ჰიპოტაქსურ წინადადებაში – ზოგჯერ ქვემდებარეა, ზოგჯერ – დამატება ან განსაზღვრება და ა. შ. მაგალითად, „ცოდვას ის კაცი, **ვინც** ამ დიდი ნიჭის გარეშე წავა ამ ქვეყნიდან“ (დუმბ.) – აქ წევრ-კავშირი **ვინც** ქვემდებარის ფუნქციას ასრულებს; „**რაც** შენთვის არ გინდა, იმას ნურც სხვას უზამო“ – წევრ-კავშირი **რაც** პირდაპირი დამატების ფუნქციისაა; „ახლა ზაზა სწორედ იმისათვის

იყო დაღუპული, **ვისთვისაც** სწადდა თავისი სიცოცხლე“ (გოთ.) – აქ **ვისთვისაც** უბრალო დამატებაა; „ფარნაოზს ეცოდებოდა მეგობარი, **რომელსაც** ყველაფერი ეცადა ამ ქვეყნად და ახლა ცალა დარჩენოდა იმედად“ (ქილ.) – **რომელსაც** განსაზღვრებაა; „მერე იქ მივიდა, **სადაც** ახალმღიებული ზესადგარები ელაგა“ (ფანჯ.) – **სადაც** ადგილის გარემოების ფუნქციას ასრულებს; „ეს გულები მყისვე უკან ისე იხევდნენ, **როგორც** ეს დღევანდელობას შეეხებოდა“ (რობ.) – **როგორც** აქ ვითარების გარემოებაა და ა.შ.

როგორც დაკვირვებამ აჩვენა, წევრ-კავშირი სინტაქსურ კავშირს ამყარებს მხოლოდ ზმნა-შემასმენელთან: ვინც წავა, რაც არ გინდა, რომელსაც დარჩენოდა, სადაც ელაგა, როგორც შეეხებოდა... წინადადების სხვა წევრთან სინტაქსურ კავშირში არ გვხვდება.

**მეორე ფაქტორია** მისი შესაბამის წყვილში მყოფი ზმნა-შემასმენლისგან ბრუნვის ფორმით მართვა და რიცხვში შეწყობა: ვინც წავა – შდრ. **ვისაც** ეს არ მოუსმენია, **ვისთვისაც** ეს მიუღებელი იყო, **ვისკენაც** გაიქცა; **რომელიც** მოვიდა – შდრ. **რომელსაც** ელაგა, **რომლისკენაც** წავიდა, **რომლისთვისაც** საჭირო გახდა... რიცხვში შეწყობის მაგალითები: რომელსაც – რომელთაც, როგორიც – როგორებიც: „რა იმედი უნდა ჰქონდეს ხალხს ისეთი **ხელადისა, რომელიც** ყველაზე ადრე **გარბის** ბრძოლის ველიდან“ (ჯავ.); მე ის **ფერები** მიყვარდა, **რომელთა** შეზავება თვით მეწამლეებსა და მხატვრებსაც **გადავიწყნიათ** უკვე“ (გამს.); „არ არის **ადამიანი, რომელსაც** არ **უყვარდეს** თავისის მამული“ (ილია); „მათ წინ მიუძღოდნენ შებორკილი **ტუსალები, რომელთაც** გარს შუბიანი ჯარისკაცები **მისდევდნენ**“ (გრიშ.); „ისეთი უხეში ხაზი გამოჰყავდა მის ხელში საჭრეთელს, როგორიც „მეჯადაგე ოსტატებს“ სჩვეოდა“ (გამს.). სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ არაერთი ცდის მიუხედავად, სალიტერატურო ქართულში **როგორაც** ნაცვალსახელის მრავლობითის ფორმები ვერ მკვიდრდება: ისეთი შორეული ქალაქებიც კი, **როგორებიც** ნიურბერგი და ლუბეკი იყვნენ, მონგოლთა თავდასხმას ახლო მომავლის საქმედ თვლიდნენ; სიყვარულისა და სიჭაბუკის წყვილ ფრთას კიდევ უფრო უმაგრებს და უქმნიანებს უტყუარი სიყვა-

რული ისეთი პოეტებისა, **როგორნიც** იყვნენ ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი და გიორგი ლეონიძე [კვანტალიანი 1983: 68]. **რომელიც/როგორიც** მიმართებითი ნაცვალსახელების მრავლობით რიცხვში შეწყობა, ცხადია, დამოკიდებულია არდა ზმნა-შემასმენელზე, არამედ იმ წევრზე, რომელსაც ის განსაზღვრავს მთავარ წინადადადებაში: ბელადი – რომელიც; ტუსალები – რომელთაც; ხაზი – როგორიც ქალაქები – როგორებიც; პოეტები – როგორნიც...

ის ფაქტი, რომ მოყვანილ მაგალითებში მიმართებითი ნაცვალსახელები და ზმნიზედებია შესიტყვების წევრად, ეს სულაც არ უშლის იმაში ხელს, რომ ჩაითვალოს სინტაგმის წევრად. კოორდინაციულ სისტემაში ცალკე აღებულ ნაცვალსახელებზე, როგორც სინტაგმის წევრზე, საუბრისას არნ. ჩიქოზავა სამართლიანად აღნიშნავდა, რომ, მიუხედავად ნაცვალსახელის ფორმალუცვალბობისა, ის ისევე ჩაითვლება კოორდინატად, როგორც სხვა წევრი წინადადებისა – ე. ი. შედის სინტაქსურ წყვილში. არნ. ჩიქოზავა **თქვენ, შენ, ჩვენ, შენ, მე** ნაცვალსახელებს მიიჩნევს მიცემითისა თუ სხვა ბრუნვის როლის აღმასრულებლად. იგი შენიშნავს, რომ **ჩვენ** ნაცვალსახელის გამოყენებისას – სახელი მიცემითში თუ არის, ზმნას შეუძლია მისი მხოლოდობითობაც აღნიშნოს და სახელობით ბრუნვაში დასმული სახელისაც; მოწაფეები გვეკითხებიან ჩვენ (კაცებს) [ჩიქოზავა 2010: 109]. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნავენ, რომ ნაცვალსახელი აღნიშნავს პირს ლექსიკურად, ზმნაში კი პირი გამოხატულია გრამატიკულად, ფორმოზრივ. მაშასადამე, ლექსიკურად გამოხატულ პირს გრამატიკული პირი ეფარდება, გრამატიკულს – ლექსიკური. აქაც მსგავსი ვითარება გვაქვს. რაკი ის წინადადების გარკვეულ წევრს გამოხატავს, სინტაგმაში შევა, მისი სრულფასოვანი წევრია. პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელები ისეთი სიტყვებია, რომელთაც სახელის მორფოლოგიური კატეგორიები (ბრუნვა და რიცხვი) არ გააჩნიათ. ლექსიკური მნიშვნელობის მხრივ **მე** და **შენ** ერთზე მიუთითებენ, **ჩვენ** და **თქვენ** კი – მრავალზე. ეს ნაცვალსახელები მათი მნიშვნელობის (და არა ფორმის) მიხედვით

ითანხმებენ ზმნას რიცხვში, ე. ი. შეთანხმება აქ ლექსიკურ-ფორ-  
მობრივია [კვაჭაძე 1996: 21-22].

სინტაქსური კავშირის დასამყარებლად მნიშვნელობა აქვს  
იმასაც, თუ რა მეტყველების ნაწილით არის გადმოცემული წინა-  
დადების ესა თუ ის წევრი. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია  
მათ შორის მიმართებაც. აღნიშნავენ, რომ წინადადებაში შემავალ  
სიტყვათა მიმართება ძირითადად ორგვარია: დაქვემდებარები-  
თი და არადაქვემდებარებითი. დაქვემდებარებითია ისეთი სი-  
ტყვათა შეკავშირება, რომლებიც ერთმანეთის მიმართ არ არიან  
თანასწორნი: წყვილის ცალთაგან ერთი მთავარი ანუ წამყვანი  
სიტყვაა, მეორე კი – დაქვემდებარებული, ე. ი. დაქვემდებარება  
ცალმხრივია (სუბორდინაციული). ასევე გვაქვს საურთიერთო  
დაქვემდებარებაც – წყვილის წევრთაგან ერთი ნიშნის მიხედვით  
ერთი იქვემდებარებს მეორეს, სხვა ნიშნის მიხედვით მეორე –  
პირველს (კოორდინაცია). ასეთი საურთიერთო დაქვემდებარება  
გვაქვს, მაგალითად, ზმნა-შემასმენელსა და ქვემდებარეს შორის  
[კვაჭაძე 1996: 17]. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზოგჯერ და-  
ქვემდებარებული სიტყვა გაბატონებულ სიტყვასთან შეწყობი-  
ლია ლექსიკური მნიშვნელობის მიხედვით, მაგრამ ამას მორფო-  
ლოგიური გამოხატულება არ ახლავს. უფრო ხშირად სიტყვათა  
შეკავშირებებს ქმნიან ფორმაცვალებადი სიტყვები, რომლებთა-  
განაც სინტაქსურად გაბატონებული სიტყვა დაქვემდებარებულს  
გარკვეული ფორმით შეიწყობს სათანადო შინაარსის გადმოსაცე-  
მად [კვაჭაძე 1996: 19].

რა სინტაქსური ურთიერთობა იქნება წევრ-კავშირის შე-  
მცველ სინტაქსურ წყვილთა შორის? ვფიქრობთ, აქ შეკავშირების  
ორი სახე – მართვა და მირთვა გვაქვს. ისეთ შესიტყვებებში, სა-  
დაც წევრ-კავშირი გამოხატავს წინადადების მთავარ წევრს (ქვემ-  
დებარეს, პირდაპირ და ირიბ დამატებას) ან უბრალო დამატებას,  
მაშინ ის მართვაა. ასეთ შემთხვევაში ზმნა-შემასმენელი მარ-  
თავს წევრ-კავშირის შესაბამის ბრუნვაში. აქ საურთიერთო მართვა  
არ გვექნება, მხოლოდ ცალმხრივ მართვასთან გვაქვს საქმე, ანუ  
სუბორდინაციული მიმართება: ცოდვაა ის კაცი, ვინც ამ დიდი  
ნიჭის გარეშე წავა ამ ქვეყნიდან – **ვინც წავა** – ზმნა-შემასმენელი

მართავს წევრ-კავშირს სახელობით ბრუნვაში (ვინც – კაცი წავა); ვისაც ეს არ უნდა, ნუ მოვა – აქაც მართავა, ზმნა-შემასმენელი მიცემით ბრუნვაში მართავს წევრ-კავშირს (ვისაც არ უნდა – კაცს არ უნდა), რომლისთვისაც საჭიროა – ნათესაობით ბრუნვაში მართავს (რომლისთვისაც საჭიროა – კაცისთვის საჭიროა). თუ წევრ-კავშირი, რომელიც მიმართებითი ზმნიზედითაა გადმოცემული, რომელიმე სახის გარემოებას გამოხატავს, აქ, ცხადია, მირთვა გვექნება – სადაც მივიდა, როგორც უნდოდა, რისთვისაც დასჭირდა... აქ ვითარება ისეთივე იქნება, როგორც ნებისმიერი სახის გარემოების გადმოცემისას გვხვდება – **ყველა გარემოება მიერთვის ზმნა-შემასმენელს**. თუმცა სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია განსხვავებული მოსაზრებაც, რომ გარემოება, რომელიც წარმოდგენილია სახელის ამა თუ იმ ბრუნვის ფორმით (უთანდებულო, შერწყმულთანდებულიანი თუ ცალკე მდგომი თანდებულით) ყოველთვის მართული იქნება ზმნა-შემასმენლის მიერ. ამ ტიპის შემთხვევები განხილულია როგორც მართვის ერთ-ერთი სახეობა – ნულამდე დაყვანილი მართვა, მაგრამ მაინც მართვა (წარვედ წყლისა პირს, შევიდა სახლში, ლამაზად თოვს...), ხოლო ყველა სხვა შემთხვევაში გარემოება მირთული იქნება (გუშინ ჩამოვიდა, შევიდა იქ...) [ვაშაკიძე 2012: 70].

ჩვენთვის ერთი და იგივე სინტაქსური მიმართებაა შესიტყვებებში: **აქ მოვიდა და სადაც მოვიდა; გუშინ გავიგე და როდესაც გავიგე; უცხად გამოჩნდა და როგორც გამოჩნდა; იმიტომ მერჩივნა და რადგანაც მერჩივნა; ამისთვის დამჭირდა და რისთვისაც დამჭირდა**.

ცალკეა აღსანიშნავი ისეთი ჰიპოტაქსური წინადადებები, რომლებშიც არის მიმართებითი სიტყვები, მაგრამ დამოკიდებულ წინადადებაში არ არის ზმნა-შემასმენელი (ის მთავარშია და ამიტომ დამოკიდებულ წინადადებაში აღარ მეორდება): „ჭემმარიტად არაფერი ისე არ ნუსხავს ადამიანს, როგორც დამაბული სიჩუმე და მოლოდინი“ (გოთ.); „დამწყაზრებული პატარმალნი იდგა, როგორც აღმასცხეული ყაყაო“ (ლეონ.); „როგორც კედელმა ქვა, ისე აისხლიტა მისმა სმენამ“ (ჭილ.); „სიტყვასა და ფიცს კი შაჰ-აბასისათვის ისეთივე ფასი ჰქონდა, როგორც აბანოს

ქოშებს“ (გოთ.); „გავქრი, როგორც ბოლი და კვალი ნიავისა“ (ლეონ.); „შერიგებას შეუღლება სჯობს, ვით გაჟეჟილს გატეხილი“ (გოთ.); „ტკბილი სიტყვითა და კეთილი გულით უფრო მეტს გარეგებ, ვიდრე მუქარით“ (ჯავ.). მოყვანილ შემთხვევებში დამოკიდებულ წინადადებაში ზმნა-შემასმენელი იგულისხმება, ოღონდ ივარაუდება არა სხვა ზმნა-შემასმენელი, არამედ იგივე, რაც მთავრ წინადადებაშია. ამიტომ მოცემულ კონსტრუქციაში მიმართებითი სიტყვა ვედარ შევა შესიტყვებათა გამოყოფისას. მაგალითად, ჭეშმარიტად არაფერი ისე არ ნუსხავს ადამიანს, როგორც დაძაბული სიჩუმე და მოლოდინი:

1. ჭეშმარიტად არ ნუსხავს
2. ისე არ ნუსხავს
3. არ ნუსხავს ადამიანს
4. არაფერი არ ნისხავს
5. დაძაბული სიჩუმე და მოლოდინი

აქ რომ ყოფილიყო ზმნა-შემასმენელი **ნუსხავს**, მაშინ სინტაგმად ასევე გამოვყოფდით – როგორც ნუსხავს.

მაშასადამე, ჰიპოტაქსური აგებულების წინადადებებში როგორც მთავარი წინადადების კორელატი შედის სინტაქსურ წვილში შესაბამის წევრთან, ასევე დამოკიდებული წინადადების წევრ-კავშირები ქმნიან შესიტყვებას ზმნა-შემასმენელთან. შევადაროთ:

ის/იგი/ყველა მოვიდა	ვინც/რაც/რომელიც მოვიდა
იქ/აქ/ყველგან ჩანდა	სად/სადაც ჩანდა
მაშინ/მანამ, მყის გამოჩნდა	როცა/როდესაც გამოჩნდა
ისე/ასე/ეგრე/იმგვარად/იმნაირად	როგორც გააკეთა
	გააკეთა
ისეთი/იმნაირი ადამიანი	როგორიც/რანაირიც უნდოდა
იმდენი/მაგდენი ილაპარაკა	რამდენიც/რამდენი ილაპარაკა
ამისთვის/მაგისთვის უნდოდა	ვისთვისაც/რისთვისაც უნდოდა
იმისკენ/ამისკენ წავიდა	ვისკენაც/რისკენაც წავიდა

ცხადია, რომ ორივე სახის მოყვანილ ფორმებში ერთნაირი ვითარება გვაქვს – ორივეში შესიტყვების წევრებად წინადადების

წევრი გვაქვს და ორივე შემთხვევაშიც სინტაგმის წევრებს შორის გარკვეული გრამატიკული დამოკიდებულება გვაქვს.

გასაანალიზებელია შესიტყვებათა გამოყოფის საკითხი ისეთ ქვეწყობილ წინადადებაში, სადაც წინადადებათა დაქვემდებარების საშუალებად შემდეგი მაქვემდებარებელი კავშირები მოგვეპოვება: **თითქოს, თუმცა, ვინაიდან, თუნდაც/თუნდ, ვიდრე, თორემ, სანამ, ვითომ, გინდ/გინდაც, რომ, თუ**. ისინი ძირითად შემთხვევებში საკორელაციო სიტყვასთან ერთად აკავშირებენ ქვეწყობილი წინადადების ნაწილებს ერთმანეთთან (ზოგიერთ შემთხვევაში დასახელებული კავშირები, ცალკე, საკორელაციო სიტყვის გარეშეც გამოიყენება):

ისე – თითქოს

ისეთი – თითქოს

ისე – რომ

ისეთი – რომ

მანამ – სანამ

ისე – ვითომ

ამათგან **ვიდრე, სანამ** დროულობის კავშირებია, **ვინაიდან** – მიზეზობითი კავშირი, **თუნდ, გინდ, თუმცა** – გამორიცხვითი კავშირი, **თითქოს, ვიდრე, ვითომ** – ვითარებით-შედეგობითი კავშირები [ძიძიგური 1989: 55-216]: „**ვიდრე** ისინი ერთმანეთს ესიყვარულებოდნენ, მე გულმოდგინედ ვათვალისწინებდი ამ კაცს“ (იოს.); „**სანამ** ნატაშა ამ აზრების გამოკვლევაში იყო, ვაჟმა ისევ გააგრძელა ლაპარაკი“ (ყაზბ.); „მე მათი მოზრძანება არაფრად მეპიტნავებოდა, **ვინაიდან** გული ტყე-მინდვრებსა და სამწყემსურისაკენ მქონდა“ (აკაკი); „არ ვიმეტებდი, **თორემ** ადრევე იყო ჩემის ხელისაგან გასანიავებელი“ (ილია); „**თუნდ** მიაშობო, რა დასაძრახია?“ (ილია); „**გინდაც** ჯერ კიდევ სჭეროდა სისხლიანი დანა მკვლელს, ბოჩია ხელს მაინც ვერ დაადებდა“ (ჭილ.); „ამხანაგები დასცინოდნენ, **თუმცა** მის ენერგიას პატივს სცემდნენ“ (ფანჯ.); „ქალიშვილმა ისე ჩაუარა, **თითქოს** ქუჩაში კაცის ნაცვლად ხე იდგა“ (დუმბ.); „მე ისე მეჩვენა, **ვითომც** სახის მეტყველება შესცვლოდა“ (ილია).

მოყვანილ წინადადებებში შესიტყვებები, ვფიქრობთ, შემდეგი სახით გამოიყოფა – ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ რამდენიმე ნიმუშს:

ამხანაგები დასცინოდნენ, თუმცა მის ენერგიას პატივს სცემდნენ.

მთავარი წინადადების შესიტყვებები:

1. ამხანაგები დასცინოდნენ

დამოკიდებული წინადადების შესიტყვებები:

1. **თუმცა პატივს სცემდნენ**

2. მის ენერგიას

3. ენერგიას პატივს სცემდნენ

ვიდრე ისინი ერთმანეთს ესიყვარულებოდნენ, მე გულმოდგინედ ვათვალიერებდი ამ კაცს.

მთავარი წინადადების შესიტყვებები:

1. მე ვათვალიერებდი

2. გულმოდგინედ ვათვალიერებდი

3. ამ კაცს

4. ვათვალიერებდი კაცს

დამოკიდებული წინადადების შესიტყვებები:

1. **ვიდრე ესიყვარულებოდნენ**

2. ისინი ესიყვარულებოდნენ

3. ერთმანეთს ესიყვარულებოდნენ

ან კიდევ: მე მათი მობრძანება არაფრად მეპიტნავებოდა, ვინაიდან გული ტყე-მინდვრებსა და სამწყემსურისაკენ მქონდა.

მთავარი წინადადების შესიტყვებები:

1. მე მეპიტნავებოდა

2. მათი მობრძანება

3. არაფრად მეპიტნავებოდა

დამოკიდებული წინადადების შესიტყვებები:

1. **ვინაიდან მქონდა**

2. გული მქონდა

3. ტყე-მინდვრებსა და სამწყემსურისაკენ მქონდა

გინდაც ჯერ კიდევ სჭეროდა სისხლიანი დანა მკვლელს, ბოჩია ხელს მაინც ვერ დაადებდა.

მთავარი წინადადების შესიტყვებები:

1. ბოჩია ვერ დაადებდა;

2. ხელს ვერ დაადებდა

დამოკიდებული წინადადების შესიტყვებები:

1. გინდაც სჭეროდა

2. სჭეროდა დანა

3. სისხლიანი დანა

4. სჭეროდა მკვლელს

ყველა ზემოთ მოყვანილი კავშირი აზრობრივად მიემართება ზმნა-შემასმენელს. ეს მაქვემდებარებელი კავშირები აზრობრივ კავშირს ამყარებენ ზმნა-შემასმენელთან. ამიტომ ქმნიან შესიტყვებას. ყველა ზემოთ მოყვანილი მაქვემდებარებელი კავშირი კავშირს ამყარებს მხოლოდ ზმნა-შემასმენელთან: ვიდრე ესაყვარულეობდნენ, სანამ იყო, ვინაიდან მქონდა, თორემ გასანიაგებელი იყო, თუნდ მიამბო, გინდაც სჯეროდა, თუმცა პატივს სცემდნენ, თითქოს იდგა. რამდენადაც სინტაგმა უმცირესი ერთეულია, რომელიც ემყარება ორ სიტყვას შორის სინტაქსურ ურთიერთობას და ის გამოიხატება შეთანხმებით, მართვითა და მირთვით [კიზირია 1954: 214], ჩვენს შესიტყვებებშიც სწორედ სინტაქსური ურთიერთობაა, მაქვემდებარებელი კავშირი მიერთვის ზმნა-შემასმენელს. აქ ზუსტად ისეთივე მიმართება გვაქვს, როგორც უფორმო სიტყვასა (ზმნიზედა ან ზმნიზედის წყებაში ჩამდგარი თანდებულისანი სახელი) და შემასმენელს შორის არსებობს – მირთვა. ზმნა-შემასმენელი შინაარსობრივ ისე იკავშირებს მოყვანილ მაქვემდებარებელ კავშირებს, რომ ამას რაიმე გრამატიკული გამოხატულება არ აქვს.

ჩვენთვის ზუსტად ისეთივე შესიტყვებაა მაქვემდებარებელ კავშირებსა და ზმნა-შემასმენელს შორის, როგორც ფორმაულვლელ ზმნიზედებს შორის:

გუშინ მოვიდა

ახლა ვისწავლი

სანამ მოვიდა

ვინაიდან ვისწავლე

შემდეგ ააშენებს	გინდ ააშენოს
გარეთ გავიდა	თუნდ გავიდეს
აქედან წავა	თორემ წავა
ძალიან გამრავლდნენ	თითქოს გამრავლდნენ
გვიან დაბრუნდა	თუმცა დაბრუნდა
აქამდე მოაღწია	ვიდრე მოაღწევდა
მუდამ მუშაობდა	ვითომ მუშაობდა

ვფიქრობთ, ორივე სახის შესიტყვებებში მართლაც ანალოგიური ვითარება გვაქვს. ამიტომ რთული ქვეწყობილი წინადადების შესიტყვებათა გამოყოფისას გათვალისწინებული უნდა იყოს მაქვემდებარებელ კავშირთა ადგილი სინტაგმაში.

მოყვანილ მაქვემდებარებელ კავშირთაგან **ვითომ** და **თითქოს** ნაწილაკია. სამეცნიერო ლიტერატურაში მართებულად შენიშნავენ, რომ ნაწილაკს არ აქვს სინტაქსური ურთიერთობა იმ სიტყვასთან, რომელსაც იგი დაერთვის [კვაჭაძე 1996: 325]. „ნაწილაკები და თანდებულები წინადადების ცალკე წევრებად არ გამოიყოფიან, ამიტომ ისინი სინტაგმის კომპონენტები არ შეიძლება იყვნენ. ისინი იმ სიტყვებთან ერთად, რომელთაც ერთვიან, უკავშირდებიან სხვა სიტყვას და მთლიანად წარმოადგენენ სინტაგმას“ [კიზირია 1954:213]. ეს ასეცაა, მაგრამ ჩვენ მიერ მოყვანილ წინანადადებებში ისინი მაქვემდებარებელი კავშირები არიან და არა ნაწილაკები. სწორედ ამიტომ ისინი საკორელაციო სიტყვასთან ერთად აკავშირებენ ქვეწყობილი წინადადების ნაწილებს ერთმანეთთან, ისევე როგორც ეს სხვა მაქვემდებარებელი კავშირებისას ხდება (ისე – თითქოს, ისე – ვითომ). ამიტომაც, ვფიქრობთ, ისინი ქმნიან შესიტყვებას შესაბამის ზმნა-შემასმენელთან ერთად ჰიპოტაქსური წყობის წინადადებებში. ცხადია, ეს ვითარება არ იქნება მარტივი წინადადების შესიტყვებათა გამოყოფისას, რადგან იქ ისინი ნაწილაკები არიან და არა კავშირები: ის **თითქოს** ამას მიხვდა; კაცი **ვითომ** სიმართლეს ამბობდა. შდრ. „ქალიშვილმა ისე ჩაუარა, **თითქოს** ქუჩაში კაცის ნაცვლად ხე იდგა“ (დუმბ.); „მე ისე მეჩვენა, **ვითომც** სახის მეტყველება შესცვლოდა“ (ილია).

რაც შეეხება **თუ, რომ** მაქვემდებარებელ კავშირებს, ისინი ვერ ქმნიან შესიტყვებას ზმნა-შემასმენელთან. ამის მიზეზი ისაა, რომ ისინი მიემართებიან არა ერთ რომელიმე წევრს, არამედ მთლიან წინადადებას (მთავარს). ისინი საკუთრივ კავშირები არიან, ამიტომ ვერ შექმნიან შესიტყვებას. მაგალითად, „**მე რომ** ჩემი სიყვარული და ენერგია მთელ კაცობრიობას გავუნაწილო, ჩემს ძმას ერთი მემილიარდედიც არ ერგებოდა (ჯავ.)“; „**ლევანი** მიხვდა, **რომ** თავისუფალი სავარძელი იმ ახალგაზრდას ეკუთვნოდა“ (ფანჯ.). „**შენც** დაიჯერებ, **რომ** უნდობლობა თანდაყოლილი გრძნობაა კაცის“ (ჭილ.); „**თუ** ლაპარაკში მამაკაცები შეესწრებოდათ, მყისვე ჩაჩუმდებოდნენ“ (ლეონ.); „**ძალიან** კარგი იქნებოდა, **თუ** ამას ლიტერატურულ განყოფილებაშიც შეიგნებდნენ“ (რობ.); ცნობილია, რომ კავშირი **რომ** პოლისემანტიკურია. დამოკიდებული წინადადება, რომელიც ამ კავშირს შეიცავს, იმისდა მიხედვით, თუ რომელი საკავშირებელი სიტყვა აღმოჩნდება მთავარ წინადადებაში, სხვადასხვა ტიპისა შეიძლება იყოს [ერთელიშვილი 1962: 222]. ცხადია, მისი პოლისემანტიკურობა ვერ განსაზღვრავს შესიტყვების შექმნა-არშექმნას.

მაშასადამე, რთულ ქვეწყობილ წინადადებაში მიმართებით ნაცვალსახელებთან ერთად (მიმართებითი ზმნიზედები, მიმართებითი ნაცვლსახელები) მაქვემდებარებელი კავშირები ზმნა-შემასმენელთან ქმნიან შესიტყვებას (რომ და თუ კავშირების გარდა) მირთვის სახით. რთული ქვეწყობილი წინადადების შესიტყვებათა გამოყოფისას ეს პრინციპი, ვფიქრობთ, გათვალისწინებული უნდა იყოს.

როგორ, ან რა სახით გამოიყოფა შესიტყვებები ისეთ რთულ ქვეწყობილ წინადადებაში, რომელშიც მოგვეპოვება **ნეტა/ნეტავ, ოღონდ, კიდევ/კიდევავ, იქნებ, კინაღამ, მაინც, ბარემ** ნაწილაკები. ზოგ შემთხვევაში ისინი კავშირის ფუნქციითაც ჩნდება. საკითხი ასე დაისმის – აღნიშნული ნაწილაკები ქმნიან თუ არა შესიტყვებას შესაბამის წევრთან ერთად? მაგ.: გულში გაიფიქრა, **ნეტავ** ჩემთან არ მოვიდესო; ყველანი თანახმანი იყვნენ, **ოღონდ** რამე შეცვლილიყო; **კიდევ** დააპირა ფრთხილად სიტყვა გაეტარებინა: სიტკბო და სიყვარული არ მომიკლია, შრომა და

გულისმოდგინებაო; რაც უნდა ბნელი ღამე იყოს, მაინც ■ ბაქთი-  
ადს ველით; იქნებ საქმე ისე მოაწყოს, ვერავინ ვერაფერი ლაპარაკოს?;  
ისე ავად გახდა, რომ კინაღამ ბავშვი თან გადაიტანა; ბაბურქოც  
ცხლები დაგვმარხონ, ასეთ სიცოცხლეს აჯობებს.

როგორც აღინიშნა, „ნაწილაკები და თანდებულელებში წინა-  
დადების ცალკე წევრებად არ გამოიყოფიან, ამიტომ ისინი სინ-  
ტაგმის კომპონენტები არ შეიძლება იყვნენ“ [კიზირია 1999: 213].  
თუმცა სინტაქსური კავშირისათვის ფასეულია აგრეთვე „თანდე-  
ბული, კავშირი, ნაწილობრივ ნაწილაკიც [ფიქრიშვილი 1996:  
18]. თანდებულები და თანდებულის ფუნქციით გამოყენებული  
სახელები კი არიან არა წყვილის ცალები, არამედ – წყვილის ცა-  
ლის შემადგენელი ნაწილები [გეგუჩაძე 2010: 23]. თუმცა ნაწი-  
ლაკთა ანალიზისას ძირითადად განიხილავენ მიგებით ან უარ-  
ყოფით ნაწილაკებს: ნუ წახვალ; არ გააფუჭო; დიახ, წა მოვალ...  
ასეთ შემთხვევებში აღნიშნული ნაწილაკები შესაბამის სახელ-  
თან ერთად ზმნასთან შედის შესიტყვებაში, ოღონდ არაა ცალკე  
სახით, რადგან ისინი წინადადების წევრები არ არიან. მაშასადა-  
მე, შესიტყვება ამგვარად გამოიყოფა:

1. ნუ წახვალ სახლში
2. არ გააფუჭო რვეული და სხვ.

არ ჩანს მსჯელობა ისეთ შემთხვევებზე, როცა წინადადება-  
ში ნეტა/ნეტავ, ოღონდ, კიდევ/კიდევაც, იქნებ, კინაღამ, მაინც,  
ბარემ ნაწილაკებია.

ვფიქრობთ, აქ ისეთივე ვითარებაა, როგორც ცალკე მდგომ-  
ში თანდებულების შემთხვევაში – აღნიშნული ნაწილაკები შესა-  
ბამის წევრთან ერთად შევლენ შესიტყვებაში. ცხადია, ნაწილაკი  
ცალკე არ გამოიყოფა, თუმცა მთლიანი წინადადებიდან მისი  
უგულებელყოფა შესიტყვების გამოყოფის დროს არ შეიძლება.  
ნაწილაკი მიემართება ზმნა-შემასმენელს. ამიტომ ის მასთან ერ-  
თად ქმნის სიტყვათშეკავშირებას შესიტყვებაში მყოფ მორე  
წევრთან. როგორც უარყოფითი და მიგებითი ნაწილაკები (არ  
მოვა, ვერ გააკეთა) ზმნა-შემასმენლებთან ერთად შედიან შესი-  
ტყვებაში, ასევეა აღნიშნული ნაწილაკები: მაინც განთავადს ვე-  
ლით; ნეტავ ჩემთან არ მოვიდესო; ოღონდ რამე შეცვლილიყო;

**კიდევ დააპირა გაეტარებინა; ზარემ ცოცხლები დაგვმარბონ.** ესე იგი, გამოიყოფა შესიტყვებათა სამწევრა ფორმები. ცხადია, ისინი შესიტყვებათა სრულფასოვანი წევრები არ არიან და მხოლოდ მიმართებიან და არა მიერთვიან შესაბამის წევრს.

ზემოთ განვიხილეთ აღნიშნულნაწილაკიანი შემთხვევები მარტივ წინადადებაში. რამდენი ან როგორი სახის გამოიყოფა შესიტყვებები რთულ ქვეწყობილ წინადადებაში, თუ მასში ნაწილაკებიცაა? მაგალითად: ისე ავად გახდა, რომ კინალამ ბავშვი თან გადაიტანა. თავდაპირველად უნდა ითქვას, რომ რთულ ქვეწყობილ წინადადებაში ცალ-ცალკე გამოვყოფთ მთავარი და დამოკიდებული წინადადებების შესიტყვებებს, ისე როგორც ეს გამოიყოფა რთულ თანწყობილ წინადადებაში. დამოკიდებული წინადადების რომელიმე წევრს ვერ შევუწყობთ მთავარი წინადადების რომელიმე წევრს და პირიქით – მთავარი წინადადების წევრი ვერ შექმნის შესიტყვებას დამოკიდებულის წევრთან. ამის მიხედვით, მთავარ წინადადებაში გამოიყოფა შემდეგი შესიტყვება:

1. ავად გახდა

ხოლო დამოკიდებულ წინადადებაში გამოვყოფთ ამ სახის შესიტყვებას:

1. კინალამ ბავშვი გადაიტანა

ან კიდევ: ყველანი თანახმანი იყვნენ, ოღონდ რამე შეცვლილიყო

მთავარ წინადადებაში კი შემდეგი შესიტყვებაა:

1. ყველანი თანახმანი იყვნენ (აქ შედგენილი შემასმენელია და ამიტომ სახელადი და ზმნური ნაწილი მთლიანად შევა შესიტყვებაში);

დამოკიდებულ წინადადებაში კი ამგვარი შესიტყვება გამოიყოფა:

1. ოღონდ რამე შეცვლილიყო;

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ თუ წინადადების წევრი ერთზე მეტი სიტყვით არის გადმოცემული, მაშინ წევრების რაოდენობა ნაკლებია, ვიდრე სიტყვებისა [კვაჭაძე 2010: 15]. მაგალითად: სახლის გასწვრივ; ტყის გარშემო; ჭიშკრის

უკან... ჩვენს შემთხვევებში დასახელებული ნაწილაკები წინადადების წევრები არ არიან და შესიტყვების ცალკე წევრი ვერ იქნება. ისინი მხოლოდ იმ სიტყვასთან ერთად შევლენ შესიტყვების წევრად, რომლებსაც მიემართებიან.

ჩვენ მიერ დასახელებულ წინადადებებში მსგავსი შემთხვევა არაა – **სახლის გასწვრივ** ორივე ერთად გამოხატავს ერთ წევრს (ადგილის გარემოებას). წინადადებებში „ოღონდ რამე შეცვლილიყო“, „კინაღამ ბავშვი თან გადაიტანა“ **კინაღამ გადაიტანა**, **ოღონდ რამე შეცვლილიყო** არ გამოხატავს ერთ წევრს, როგორც ეს **ტყის გარშემო**, **ჭიშკრის უკან** ფორმებთან გვექონდა. ნაწილაკი აქ დამატებით ელფერს სძენს, მხოლოდ სემანტიკური დანიშნულება აქვს და მის გარეშეც დამოუკიდებლად შეიძლება აღინიშნოს ესა თუ ის სიტყვა: ბავშვი გადაიტანა, რამე შეცვლილიყო და სხვ. მაშასადამე, ისეთი სინტაქსური ძალისა არ არის, როგორც ზემოთ დასახელებული ფორმები. ნაწილაკი შესიტყვების დამოუკიდებელი წევრი კი არა, მისამართ სიტყვასთან თანმხლები ფორმაა, რომელსაც ვითვალისწინებთ შესიტყვების გამოყოფის დროს.

როგორც აღვნიშნეთ, ზოგჯერ ნაწილაკი ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში კავშირის ფუნქციით გვხდება: მე ყოველთვის მაინტერესებდა ის ადამიანი, ოღონდ არ ვაღიარებდი ამას; ის დამპირდა, იქნებ რამე გაგიხერხო. შევადაროთ: ამ კაცს იქნებ მოსვლა უნდა. თუ შევადარებთ, ვნახავთ, რომ კავშირის ფუნქცია ექნება მას თუ ნაწილაკის, შესიტყვების თვალსაზრისით სხვაობა არ გვექნება – ვერცერთ შემთხვევაში ცალკე სახით ვერ ქმნის შესიტყვებას.

განსხვავებული ვითარება გვაქვს **უნდა** სიტყვის შემთხვევაში – ქმნის თუ არა ის შესიტყვებას შესაბამის ზმნასთან ან სახელთან ერთად? აქ გასათვალისწინებელია ის ფაქტორი, თუ რა წევრს ახლავს **უნდა** ნაწილაკი – ზმნა-შემასმენელს თუ სახელ-ზმნას: მას **უნდა**, რომ წავიდეს/მას **უნდა** წასვლა. ცნობილია, რომ ეს ნაწილაკი სპეციფიკურია, რადგან წარმოშობით ზმნაა. თუ ის შემასმენელთან კავშირითაა გამოყოფილი (უნდა, რომ წავიდეს), არ ქმნის შესიტყვებას, ხოლო, თუ სახელზმნას ახლავს (მას უნდა

წასვლა), მაშინ ის როგორც ზმნა შევა შესიტყვებაში – 1. **უნდა წასვლა**; 2. **მას უნდა**. შესაძლებელია, **უნდა** ნაწილაკი ახლდეს სახელსაც – მას უნდა სახლი. აქაც ის შემასმენლის ფუნქციითაა, ცალკე სახით შევა შესიტყვებაში – 1. **მას უნდა**; 2. **უნდა სახლი**. გამოიკვეთა, რომ კავშირებითისა და ბრძანებითის მწკრივებთან ის ნაწილაკია (უნდა შეძლოს; უნდა იმღეროს) და მაშინ სამწევრა შესიტყვებებს მივიღებთ – **მან უნდა შეძლოს**; **მას უნდალა შეყვარებოდა**.

მსგავსი ვითარებაა **ჩანს, ეტყობა** სიტყვებთანაც. ზოგ შემთხვევაში ის დამხმარე სიტყვაა, ზოგან კი – სრულმნიშვნელოვანი [ჩიქობავა 2015: 245]. მაგალითად, ის გოგო არსად **ჩანს – ჩანს**, ის გოგო არ მოვა; დედას სიხარული ეტყობა სახეზე – ეტყობა, დედა წასული დახვდა. მოყვანილ შემთხვევებში თუ **ჩანს, ეტყობა** სრულმნიშვნელობიანი სიტყვა, ანუ ზმნა-შემასმენელია, მაშინ ის შევა შესიტყვების წევრად ცალკე სახით:

ის გოგო არსად ჩანს

1. ის გოგო (შეთანხმება)
2. გოგო ჩანს (მართვა, კოორდინაცია);
3. არსად ჩანს (მირთვა)

ან:

დედას სიხარული ეტყობა სახეზე

1. დედას ეტყობა (მართვა, კოორდინაცია);
2. სიხარული ეტყობა (მართვა, კოორდინაცია);
3. სახეზე ეტყობა (მართვა)

მაგრამ როცა მათ დამხმარე სიტყვის ფუნქცია აქვთ, მაშინ ის ვერც ცალკე წევრად შევა შესიტყვებაში და ვერც სხვა წევრთან ერთად – ანუ ვერანაირი სახით ვერ იღებს მონაწილეობას შესიტყვებაში. ამასთან ერთად, წინადადებაში **ჩანს, ის გოგო არ მოვა** – სიტყვა **ჩანს** ცალკე დგას, განკერძოებულად და არცერთ წევრს არ მიემართება. ანალოგიურია **ეტყობა** სიტყვაც: 1. ეტყობა, კარგი ადამიანია; 2. სახეზე კმაყოფილება ეტყობა. პირველ შემთხვევაში ის დამხმარე სიტყვაა და ვერ შევა სინტაქსურ წევილში. მეორე წინადადებაში კი **ეტყობა** სრულმნიშვნელოვანი სიტყვაა, ზმნა და შექმნის შესიტყვებას სათანადო წევრთან ერთად:

## 1. სახეზე ეტყობა

## 2. კმაყოფილება ეტყობა

როგორც ცნობილია, ამჟამად დამხმარე სიტყვაა **ეგებ**, თუმცა ის წარმოშობით სრულმნიშვნელობიანი სიტყვაა, ზმნა (**ეგების** – შეეფერება, ხამს, საჭიროა... არ ეგების ) – აღნიშნავს არნ. ჩიქობავა [ჩიქობავა 2015: 245].

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ **ნეტა/ნეტავ, ოღონდ, კიდევ/კიდევაც, იქნებ, კინაღამ, მაინც, ბარემ** ნაწილაკები სათანადო წევრთან ერთად ცალკე, დამოუკიდებელი სახით ვერ ქმნიან შესიტყვებას. ისინი კი არ მიერთვიან, არამედ **მიემართებიან** შესაბამის სიტყვას და მხოლოდ მასთან ერთად შევლენ შესიტყვებაში როგორც მარტივ, ისე რთულ ქვეწყობილ წინადადებაში. ისინი ზმნა-შემასმენელს არ მიერთვიან და ამიტომ არაა ზმნა-შემასმენელსა და ნაწილაკს შორის სინტაქსური კავშირი (ამ შემთხვევაში მირთვა, როგორც ეს სხვა ფორმალური წევრის შემთხვევაში გვაქვს ხოლმე ქართულში). ნაწილაკი მხოლოდ მიემართება, ებმის შემასმენელს და ამის გამო სინტაქსური ძალა შესიტყვების შესაქმნელად არ აქვს.

## შესიტყვების გამოყოფის საკითხები ფრაზეოლოგიზმებში

ქართული ენა მდიდარია ნაირგვარი ფრაზეოლოგიური გამოთქმებით. ისინი მყარი შესიტყვებებია, რომლებიც დამახასიათებელია ამა თუ იმ ენისთვის. ფრაზეოლოგიზმები მოიცავს: აფორიზმს, ციტატას, ხატოვან გამოთქმას, ანდაზას, სხარტ გამოთქვამს. ამათგან დიდი ნაწილი უკავია ხატოვან გამოთქმებს, იდიომებს. ის შეიცავს ორ კომპონენტს მაინც. ცალკე აღებული სიტყვა, მარტივი იქნება ის თუ კომპოზიტი, არ მიიჩნევა იდიომად. მაშასადამე, აგებულების მიხედვით ის მკვეთრად განსხვავდება სიტყვისაგან, თუმცა ემთხვევა ჩვეულებრივ თავისუფალ შესიტყვებას. იდიომის კომპონენტებს შორის გრამატიკული შეკავშირება ემთხვევა თანამედროვე ენის ნორმებს. ის არის „შესიტყვების ფორმის მქონე დაუშლელი ერთეული, რომლის მნიშვნელობა არ გამომდინარეობს კომპონენტების მნიშვნელობათა ჯამიდან“ [ონიანი 1966: 5-7]. ცნობილია, რომ არსებობს მეორე განმასხვავებელი ნიშანიც იდიომსა და თავისუფალ შესიტყვებას შორის – თავისუფალი შესიტყვების აგება მეტყველებისას სხვადასხვაგვარად ხდება, ხოლო იდიომები მზა ფორმით არსებობენ ენაში. ესე იგი, მისი შედგენილობა ხასიათდება სიმყარით.

რუსულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ სინტაქსური სიტყვათშეკავშირება უნდა გამოიყოს ფრაზეოლოგიზმებისაგან, რომლებიც არ წარმოადგენენ შესიტყვებას, ის მზა სახით მონაწილეობს ენობრივ სქემაში. ფრაზეოლოგიზმები, როგორც მთლიანი სიტყვათა კავშირი, წინადადებაში ასრულებს **ერთი წევრის** ფუნქციას [Бабайцева, Максимов 1981: 55-56].

ფრაზეოლოგიზმები შესაძლოა წარმოდგენილი იყოს ორი, სამი ან მეტი კომპონენტით: აბუჩად აგდება, ტყემალზე ზის, ხელი მოეცარა (ორკომპონენტიანი); ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული, ყვავს კაკალი გააგდებინა, გაჩენის დღეს აწყევლინებს, შეაყარე კედელს ცერცვი (სამკომპონენტიანი); მგლის თავზე სახარების კითხვა, მტრის წისქვილზე წყლის დასხმა, მოწმენდილ ცაზე მების გავარდნა (ოთხკომპონენტიანი); ზოგჯერ დასტურდე-

ბა მეტწევრიანი გამოთქმებიც: ცა ქუდად არ მიაჩნია, დედამიწა – ქალამნად; ერთ ყურში შეუშვა და მეორიდან გაუშვა...

ფრაზეოლოგიზმთა სინტაქსური თვალსაზრისით გაანალიზებისას გამოიკვეთება შემდეგი საკითხები – არიან თუ არა ისინი წინადადების წევრები? შესაძლებელია თუ არა მათი შესიტყვებად გამოყოფა? თუ შესაძლებელია, რა პრინციპით უნდა გამოიყოს სინტაქსური წყვილები?

სამეცნიერო ლიტერატურაში ორკომპონენტის ფრაზეოლოგიურ გამოთქმათა სინტაქსური კვალიფიკაციის შესახებ მითითებულია, რომ მათ ძველსა და ახალ ქართულში წინადადების ერთი წევრის სტატუსი აქვთ. გარდა ამისა, შენიშნულია, რომ ისინი გრამატიკულად **ზმნის აღწერით წარმოებას უტოლდება** (შედგება სახელური და ზმნური ნაწილებისაგან), რომელშიც სახელური კომპონენტი წარმოშობით შეიძლება იყოს სუბიექტი, პირდაპირი ობიექტი, უბრალო დამატება, ვითარების გარემოება და სხვ. ხოლო ზმნა-შემასმენელი მართავს სახელს ბრუნვაში და თავადაც იმართვის სათანადო სახელისაგან, ამავდროულად, ვლინდება რიცხვში შეთანხმებაც [ვაშაკიძე 2013: 43-44].

ხატოვანი გამოთქმების შემადგენელი სიტყვები წინადადების წევრები არიან, თუმცა ისინი წინადადებაში არა სხვადასხვა, არამედ ერთ წევრად მოიაზრება. ამიტომ ასეთ ფრაზეოლოგიურ გამოთქმებში არ გამოიყოფა შესიტყვებები. მაგ.: ეს ამბავი მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნა იყო – ასეთ შემთხვევებში მხოლოდ ერთი შესიტყვება გამოიყოფა: **მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნა იყო** (და არა: 1. მოწმენდილ ცაზე, 2. მეხის გავარდნა იყო). როგორც აღინიშნა, თვითონ ფრაზეოლოგიზმში გამოყენებული სიტყვები ერთმანეთთან სინტაქსურად არიან დაკავშირებული, როგორც ეს ჩვეულებრივ წინადადებაში ხდება ხოლმე, ცალკე აღებული კი ის შესაძლოა ქვემდებარეს, დამატებას ან გარემოებას გამოხატავდეს. მაგალითად, ფრაზეოლოგიზმში **ყვავს კაკალი გააგდებინა – ყვავი ქვემდებარეა, კაკალი – პირდაპირი დამატება, გააგდებინა – შემასმენელი**. რაკი ისინი არა ერთ წევრს, არამედ ერთ მთლიან აზრს გამოხატავენ, ამიტომ ცალ-ცალკე ვერ შექმნიან შესიტყვებას. მხოლოდ იმ წევრთან შექმნის მთლიანი სახით

სინტაქსურ წყვილს, რომელსაც მიემართება. მაგალითად, წინადადება „ეს გოგო ბედნიერ ვარსკვლავზეა დაბადებული“ შედგება ხატოვანი გამოთქმისა (ბედნიერ ვარსკვლავზეა დაბადებული) და ორი დამოუკიდებელი წევრისაგან (ეს, გოგო). შესაბამისად, დასახელებულ წინადადებაში გამოიყოფა ორი შესიტყვება:

1. ეს გოგო
2. გოგო ბედნიერ ვარსკვლავზეა დაბადებული

ან კიდევ:

„ეს ამბავი მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნა იყო“, აქაც ორი შესიტყვება გამოიყოფა:

1. ეს ამბავი
2. ამბავი მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნა იყო

მამასადამე, წინადადებაში ფრაზეოლოგიურ გამოთქმასთან ერთად რამდენი დამოუკიდებელი წევრიც იქნება, იმის მიხედვით გამოიყოფა შესიტყვებები + ფრაზეოლოგიური გამოთქმა. ორ, სამ- და მეტკომპონენტთან იდიომებს წინადადების ერთი წევრის სტატუსი აქვთ. რადგან ერთ შემთხვევაში უკავშირდებიან ერთმანეთს სინტაქსურად, გასარკვევია, რა სინტაქსური კავშირია მათ შორის. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხატოვან თქმებში გამოყენებული სიტყვები ერმანეთთან სინტაქსურად არიან დაკავშირებულნი, თითქოს რიცხვში შეთანხმებაც ახასიათებს, მაგრამ მთლიანად მიემართებიან ერთ საერთო წევრს, უკავშირდებიან ძირითადად ლექსიკურად, გრამატიკული დაკავშირება კი ფორმოზრივია. ცნობილია, სინტაქსურ კავშირთაგან ასეთი შეკავშირება ახასიათებს მირთვას – “მართვის დასუსტების სახით მივიდივართ მირთვისაკენ. ამ ხაზზე კი შეიძლება შეგვხვდეს ისეთი მოვლენები, რომელთა შესახებ ძნელია თქმა, მართვია იგი თუ მირთვა“ [ჩიქობავა 1968: 120].

ვფიქრობთ, მათ შორის სინტაქსური კავშირი **მირთვბა**, რადგან აქაც სწორედ სრულმნიშვნელობიან სიტყვათა ისეთი შეკავშირებაა, როცა წამყვანი სიტყვა დამოკიდებულს შინაარსობრივად იკავშირებს. მართალია, დასახელებულ შემთხვევებში ფრაზეოლოგიზმთა შემადგენელი სიტყვები ერთმანეთს სინტაქსურადაც უკავშირდებიან (შესაბამისი ბრუნვისა თუ რიცხვის ფორმით), ესე იგი, მათ შორის გარკვეული გრამატიკული გამოხატულებაა, მაგრამ მირთვის მსგავსად, შინაარსობრივი მიმართება ერთ საერთო წევრთან (ასეთი სიტყვის არსებობის შემთხვევაში წინადადებაში), სხვა ფორმით კი ვერ შექმნიან სინტაქსურ წყვილებს.

ფრაზეოლოგიზმებში, გარდა ხატოვანი გამოთქმებისა, მოიზარება აფორიზმებიცა და ანდაზებიც: „ავსა კაცსა ავი სიტყვა ურჩევნია სულსა, გულსა“, „სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა“, „ჭირსა შიგან გამგარება ასრე უნდა ვით ქვითკირსა“, „გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი“, „ჯერ მწარე ჭამე, კვლავ ტკბილი, თუ ეძებ გემოვნებასა“, „ორი კურდღლის მადევარი ვერცერთს ვერ დაიჭერსო“, „არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი“, „კვიცი გვარზე ხტისო“, მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტიაო“...

აფორიზმიცა და ანდაზაც თავისი არსით შეგონების, სიბრძნის შემცველი აზრია. ანდაზა ბრძნულად გააზრებული ხალხური ან მწერლისა თუ პოეტის მიერ შექმნილი ალეგორიული გამოთქმაა, ხოლო აფორიზმი მოკლე და მხატვრულად გამოთქმული ზნეობრივი, დამრიგებლობითი ხასიათის ბრძნული აზრია. როგორ დადგება შესიტყვების გამოყოფის საკითხი მათში, როგორც წინადადებაში? ვფიქრობთ, აქაც ანალოგიური მიდგომა იქნება, როგორც ეს ხატოვანი სიტყვა-თქმების შემთხვევაში გვქონდა. ე. ი., აფორიზმებსა და ანდაზებში გამოყენებული სიტყვები წინადადების დამოუკიდებელი წევრები კი არა, ისინი წინადადების ერთი წევრის ტოლფასნი არიან. რასაკვირველია, ამ შემთხვევებშიც თვითონ აფორიზმისა და ანდაზის შემადგენელი სიტყვები ერთმანეთს სინტაქსურად უკავშირდებიან, მაგრამ ისი-

ნი ერთი მთლიანი აზრის შემცველნი არიან და ვერ ქმნიან სინტაქსურ წყვილებს.

ამ რიგს განეკუთვნება სენტენციაც. ის არის სხარტი გამონათქვამი, ზნეობრივი დარიგება: „არა კაც კლა“ (ზიბ.); „კარგისათვის კარგი არავის უქმნია“ (საბა); „ჭეშმარიტი ვაჟკაცობა სიფრთხილეა“ (ევრიპიდე); „ნახევარცოდნა ბევრჯერ უცოდინარობაზე უარესია“ (პასტერი). სხარტი გამოთქმები თავისი არსითა და მნიშვნელობით, ასევე აგებულებით სინტაქსურად უტოლდება სხვა ფრაზეოლოგიურ გამოთქმებს და ისინიც ერთ დაუშლელ წევრად მოიაზრება.

შესაძლოა აფორიზმი, ანდაზა თუ სენტენცია რთულ ქვეწყობილი წინადადების შემადგენელ ნაწილადაც დადასტურდეს: „მერწმუნეთ, არ ვაჭარბებ, რადგან „ზოგჯერ თქმა სჯობს არათქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების“; „ვაის გავეყარე, ვუის შევეყარეო, იმ დღეში ვართ“; „ჩემ გარშემო ბევრია ისეთი ადამიანი, რომელიც ამბობს, ვაის გავეყარე და ვუის შევეყარეო“; „მოსვენება არ მომცა იმაზე ფიქრმა, რომ ორი კურდღლის მადევარი ვერც ერთს დაიჭერსო“; „მეექვსე მცნების შესახებ არა კაც-კლა დაისმის კითხვა“; „უსაქმო ყოფილა და საქმე გაუჩენია ამ ანდაზის ძალით: „ცუდად ჯდომას ცუდად შრომა სჯობიაო“.

დასახელებულ შემთხვევებშიც გამოყენებული აფორიზმი, ანდაზა თუ სენტენცია რთული წინადადების ერთ წევრად მოიაზრება და დამოუკიდებლად, ცალ-ცალკე სინტაქსურ წყვილად კი არ შევა შესიტყვების გამოყოფისას, არამედ მთლიანად მიემართება ერთ წევრს, იმ სიტყვას, რომელსაც სინტაქსურად უკავშირდება ის. მაგალითად: „ჩემ გარშემო ბევრია ისეთი ადამიანი, რომელიც ამ ამბის გამო ამბობს, ვაის გავეყარე და ვუის შევეყარეო“ – შესიტყვებები ასე გამოიყოფა:

1. ჩემ გარშემო ბევრია
2. ისეთი ადამიანი
3. ბევრია ადამიანი
4. ამბობს ვაის გავეყარე და ვუის შევეყარეო
5. ამ ამბის გამო
6. ამბის გამო ამბობს

ვფიქრობთ, ყველა ზემოთ მოხმობილ შემთხვევებში, სადაც გამოიყენება იდიომი, ხატოვანი სიტყვა-თქმა, აფორიზმი თუ ანდაზა, ისინი ცალკე სახით ვერ ქმნიან შესიტყვებას. ხოლო, თუ ის წინადადების შემადგენელ ნაწილად დადასტურდა, მაშინ მთლიანი ფორმით შევა სინტაქსურ წყვილად იმ სიტყვასთან ერთად, რომელსაც მიემართება შინაარსობრივად.

## სინტაგმური ნეოლოგიზმები თანამედროვე ქართულში

ნეოლოგიზმი ამა თუ იმ ენაში ახლად გაჩენილ სიტყვას გულისხმობს. ენა მუდმივად ვითარდება და, შესაბამისად, გარკვეულ ეტაპზე ახალი შინაარსის გამოსახატავად ახალი სიტყვის გაჩენა ხოლმე აუცილებელია. როგორც ცნობილია, ნეოლოგიზმების მნიშვნელოვანი ნაწილი იქმნება მშობლიური ენის ენის სიტყვაწარმოებითი შესაძლებლობების გამოყენებით. ამათ გვერდით ახალი სიტყვების დიდი ნაწილი უცხო ენიდან ახლად შემოსული სიტყვები და მათზე დამყარებული ნაწარმოები ფორმებია [არაბული 2004: 232-234].

ნეოლოგიზმები ხშირია ოფიციალურ-საქმიან სფეროშიც. ამგვარი ენის, ასევე ცალკეული დარგობრივი (სპეციალური) ენების ჩამოყალიბების ობიექტური თანამდევნი პროცესია კონსტრუქციების მაქსიმალური ფორმალიზება, „საკვანძო“ გამონათქვამების, ცალკეული სინტაგმებისა და ფრაზების სტანდარტიზაცია, სპეციფიკური ენობრივი კლიშეების შექმნა. ასეთი სტანდარტიზებული სინტაგმები და გამონათქვამები ოფიციალური ენის ერთ-ერთ ძირითად მახასიათებლად გვევლინება და ენის ფუნქციონირებისა და განვითარების პროცესში საკმაოდ მყარ, სტაბილურ კომპონენტს წარმოადგენს. ამავდროულად, ცალკეული გამონათქვამები, არცთუ იშვიათად, გარკვეული ეპოქის იდეოლოგიურ თუ პროპაგანდისტულ ნიშანს ატარებს და, შესაბამისად, სათანადო პირობების ცვლასთან ერთად, ასპარეზს უთმობს ანალოგიური დატვირთვის სხვა გამონათქვამებს [სახელმწიფო ენის ოფიციალურ-საქმიანი სფერო 2017: 47-48].

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ენის მიმართ წაყენებული ახალი მოთხოვნები და ამოცანები დაკავშირებულია კომუნიკაციის სფეროს ისეთ ზოგადსა და სპეციფიკურ თავისებურებებთან, რომლებსაც შეუძლიათ გამოიწვიონ ახალი მოვლენები ენის შინასტრუქტურულ დონეებზე. ამიტომაც ენის ფუნქციონირების შესწავლა ამა თუ იმ სფეროში უნდა წარიმართოს ენის ფუნქციური და შიდასტრუქტურული განვითარების

ურთიერთმიმართების კვლევის გზით [კვარაცხელია 1990: 6].

იმ შინაგანმა პროცესებმა, საგარეო ურთიერთობებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ისეთმა ინტენსიურმა გარდაქმნამ, რაც ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობისა და ორიენტაციის ცვლას მოჰყვა საუკუნეთა მიჯნაზე, აგრეთვე იმ ცვლილებებმა, რაც ჩვენს კულტურასა და განათლებაში მიმდინარეობს, განსაკუთრებით დააჩქარა თანამედროვე ქართულ ენაში მიმდინარე პროცესები.

როგორც ჩანს, თანამედროვე დინამიკური და, ამდენადვე, იდეოლოგიურად აქტიური პროცესებისათვის დამახასიათებელია გარკვეული ენობრივი ფორმულების პერიოდული გავრცელება საზოგადოებაზე ზემოქმედების მიზნით, რაც უპირველესად ოფიციალურ-საქმიანსა და მასმედიის ენაში პოვებს გავრცელებას. მაგალითად, ბოლო პერიოდში საზოგადოების ცნობიერების ნაწილია ისეთი სიტყვები თუ სტანდარტული შესიტყვებები, როგორებიცაა: გლობალიზაცია, დემოკრატიზაცია, კოჰაბიტაცია, გენდერი, ცნობადი სახეები, გენდერული ბალანსი/თანასწორობა...

ამგვარად ყალიბდება სტერეოტიპული გამონათქვამები გარკვეული აქტუალური სიტყვა-ტერმინების გარშემო (რომლებიც ძალზე ხშირად უცხო სიტყვებია, მეტიც, ნეოლოგიზმებია).

თანამედროვე ქართულში, განსაკუთრებით მასმედიასა თუ საჯარო მოხელეთა მეტყველებაში, ოფიციალურ-საქმიან სფეროში, ხშირად ვხვდებით ნეოლოგიზმებისა თუ ბარბარიზმების გამოყენების შემთხვევებს. ამავე დროს, ჩვენ თვალწინ იქმნება ერთგვარი სინტაგმები, რომელთა შემადგენელი კომპონენტები ხშირ შემთხვევაში ნეოლოგიზმებით არის წარმოდგენილი. შედგენილობის თვალსაზრისით გამოვეყოფთ სხვადასხვა სახის სინტაგმებს, რომლებიც სულ ახლახანს, ეპოქის შესაბამისად შეიქმნა და ასახავს თანამედროვე პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი ცხოვრების ამსახველ აქტიურ სიტყვებს, სიტყვა-ტერმინებსა თუ შესიტყვებებს.

ა) გამოიყოფა ისეთი სინტაგმური ფორმები, რომლებშიც ერთ-ერთი ან ორივე შემადგენელი სიტყვა ნეოლოგიზმია: პოლი-

